ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 6 სექტემბერი 2007 №205 (3128) ფასი 50 თეთრი

## კლაუს ტოპმიოლერის ყველაზე ღია დახურული



## გერმანელმა საქართველო გაამთლიანა: ეროვნულ ნაკრებს ეროვნული ჩემპიონატი მიუერთა

უკრაინასთან და აზერბაიჯანთან მატჩების წინ საქართველოს ნაკრებმა გუშინ საღამოს პირველად ივარჯიშა სრული შემადგენლობით — ჯერ „ამერის“ სტადიონზე გამართულ დილის ვარჯიშზე ვთქვათ, სადაც კახა კალაძე და ოთარ ხიზანეიშვილი არ იყვნენ, რადგან გუშინ ლამის გამთენიისას ჩამოვიდნენ თბილისში. ამათზე ცოტა ადრე ჩამოსულები, ზურაბ მენთეშაშვილი და ზაალ ელიავა ნაკრების ერთ-ერთმა მწვრთნელმა ზაურ სვანაძემ ცალკე არბენინა. ჩვეულებრივი ვარჯიში იყო, დაახლოებით ერთ საათს გაგრძელდა.

საღამოს კი საქართველოს ნაკრები ეროვნულ სტადიონს მიადგა, სადაც ოთხი 15-15 წუთიანი ტაიმისგან შემდგარი ორმხრივი მატჩიც გაიმართა და 2:2 დასრულდა. გუშინაც ვწერდით, რომ ორივე ვარჯიში დახურული იყო.

ტოპმიოლერმა ერთ მხარეს უფრო გამოცდილი ფეხბურთელები ათამაშა, თუმც ტაიმებს შორის შემადგენლობებში გადანაცვლებებს აკეთებდა.

ორმხრივში არ უთამაშიათ ლევან კობიაშვილს, კახა კალაძესა და ილია კანდელაკს. კობიმ მხოლოდ მსუბუქად ივარჯიშა, მისი მცირე ტრავმის ამბავი იცით, უკრაინასთან ან ითამაშებს, ან ვერა. კანდელაკმა კი გუშინწინანდელ ვარჯიშზე იტკინა ფეხი და ისიც მსუბუქ ვარჯიშს დასჯერდა, თუმც დღეიდან, სავარაუდოდ, სრული დატვირთვით მოემზადება.

და ახალწვეულები: ლევან ყენიას, გიორგი მაკარიძეს, გიორგი მერებაშვილს, სანდრო კობახიძეს, ალექსანდრე კვახაძეს და დიმიტრი ტატანაშვილს გუშინდელ ორმხრივ მატჩში ჩვენს ჩემპიონატში მოთამაშე რამდენიმე ფეხბურთელიც დაემატა: ამერელები, დავით ბოლქვაძე, გრიგოლ დოლიძე და გიორგი დეკანოსიძე და ვიტჯორჯიელი დავით ლომაია.

ილია ნანობაშვილი

## ქართულ კალათბურთს ანდაზაც აღარ უდგება: ურემი გადაბრუნდა. გზა?



იმედი ბოლოს კვდებაო, მაგრამ საქართველოს საკალათბურთო ნაკრებისთვის ყველაფერი ისლანდიაში წაგებით დასრულდა და გუშინდელი შვეიცარია — რუმინეთის შედეგს გულისფანცქალით ამაოდ ელოდა მთელი საქართველო. სასწაულები როგორ არ ხდება, ერთი თამაში ვის არ მოუგია, მაგრამ ამ გუნდების დაპირისპირებას ისეთი სარჩული ჰქონდა, რომელშიც საქართველო თავს ვერანაირად შეყოფდა.

ერთი სიტყვით, რუმინეთს შვეიცარიაში უნდა მოეგო, რითაც მასპინძლებს პლეი ოფს მიღმა დატოვებდა, ხოლო საქართველო საუკეთესო მეორეადგილოსნის სტატუსით გადიოდა ჯგუფიდან. შვეიცარიის გამარჯვება ორივე გუნდს საპლეიოფო გზას უხსნიდა და რუმინეთი ის გუნდი არ იყო, გადამწყვეტი მატჩების წინ უმოტივაციოდ შეეკლა თავი ვინმესთვის.

არც შეუკლია — თამაში შვეიცარიელების გალაღებით როგორც დაიწყო, ისევე დამთავრდა და მწარე ბედს შეგუებული საქართველოსთვის ყველაფერი საბოლოოდ დამთავრდა. წუხელ ალბათ ყველას გაახსენდა ისლანდიაში ბოლო წამს მიღებული ჯალათური სამქულიანი და ერთხელაც შევჩივლეთ ბედს — რატომ? ის ბურთი რომ არ ჩაეგდო იაკობ სიგურდარსონს, დღეს საქართველოს ნაკრები იზეიმებდა პლეი ოფში გასვლას, მაგრამ როგორც ბოლო დღეებში გაირკვა, მხოლოდ ის სროლა არ ყოფილა ნაკრების ერთადერთი ტკივილი — პრობლემა გაცილებით ღრმაა და ფესვებს გუნდის წიაღიდან, მისი ლიდერის, ზაზა ფაჩულიას თქმით, არასწორი მომზადებიდან იღებს.

ურემი რომ გადაბრუნდა, მერელა გავიგეთ, რომ თურმე ნაკრებს არასახარბიელო პირობები ჰქონდა მოსამზადებლად. ფინეთთან მოგებული მატჩის შემდეგ ზაზა ფაჩულიამ საჯაროდ დაიჩივლა ამაზე, მაგრამ კალათბურთის ფედერაციას რეაქცია არ ჰქონია — მორჩეს ყველაფერი და მერელა დავარქვათ ყველაფერს თავისი სახელიო. ცხადია, ნაკრების უფროსობას ვითარების გამწვავება არ უნდოდა და გუნდის ლიდერთან პირადად სურდა ყველაფრის გარკვევა.

სავარაუდოდ, ეს ალბათ ასეც მოხდება და ფედერაცია საუკეთესო ქართველ კალათბურთელთან საერთო ენას გამონახავს, რათა ნაკრებმა 2 წლის მერე მაინც მოახერხოს დივიზიონთშორისი რუბიკონის გადალახვა.

ჩვენ რაღა შუაში ვართ, მაგრამ მაინც ვთქვათ იმ იღბლიანი 4 გუნდის შესახებ, რომლებმაც პლეი ოფში გააღწიეს: ფინეთი, შვეიცარია, რუმინეთი და ინგლისი. 11-15 სექტემბერს ეს რნგუნდები A დივიზიონის ორ საგზურს გაითამაშებენ. ფინეთი შვეიცარიას დაუპირისპირდება, ხოლო რუმინეთი — ინგლისს.

ირაკლი ბერტაია

# უკრაინა ალპებისკენ, საქართველო მეხუთისკენ



**საქართველო — უკრაინა**

**7 მატჩი: +0=2-5 ბურთები 4:11**

1998. 19 აგვისტო. კიევი. ამხ.

**უკრაინა 4:0 საქართველო**

1999. 20 მარტი. თბილისი. ამხ.

**საქართველო 0:1 უკრაინა**

2001. 14 თებერვალი. თბილისი. ამხ.

**საქართველო 0:0 უკრაინა**

2002. 17 აპრილი. კიევი. ამხ.

**უკრაინა 2:1 საქართველო**

გოლი: ბურდული

2004. 13 ოქტომბერი. ლვოვი. მჩშ

**უკრაინა 2:0 საქართველო**

2005. 3 სექტემბერი. თბილისი. მჩშ

**საქართველო 1:1 უკრაინა**

გოლი: გახოკიძე

2006. 6 სექტემბერი. კიევი. მჩშ

**უკრაინა 3:2 საქართველო**

გოლები: შ. არველაძე, დემეტრაძე

**კიევის** „დინამო" საბჭოთა კავშირის მასშტაბით ყველაზე ტიტულოვანი გუნდი იყო, მაგრამ თბილისური „სეხნია" მისი „ბულკი" არასოდეს ყოფილა — ამდენწლიანი საბჭოეთის ჩემპიონატების ისტორიაში, ურთიერთშეხვედრებში კიეველები მცირედით სჯობდნენ თბილისელებს, მაგრამ საბჭოეთის დაშლის შემდეგ უკრაინელებმა ქართველები სადაც დაიჭირეს, არ გააჩარეს.

შვიდი ურთიერთშეხვედრიდან საქართველოს ნაკრებმა მხოლოდ ორჯერ შეჰბედა ფრე სლავებს, ამ შვიდიდან კი სამი ოფიციალური, ევრო ან მსოფლიოს შესარჩევი მატჩი იყო.

ნეტა, საქართველოსთვის ხელსაყრელი მეტოქე გვანახა სადმე, მაგრამ ეს უკრაინა ნამეტანი არახელსაყრელია, ძალიან გაგვაწამა.

ამჟამად პოლიტიკურად დამეგობრებული ქვეყნების ნაკრებები პირველად 1998 წელს კიევში შეხვდნენ ამხანაგურად, აგვისტო იყო და შესარჩევი ციკლი ახლოვდებოდა. ქართველებს მაშინ ვლადიმერ გუცაევი წვრთნიდა და იმ წლის დასაწყისში მალტის ტურნირიც მოიგეს, მაგრამ კიევში საშინელი 0:4 იწვნიეს — სერგეი რებროვმა პირველივე წუთზე გაიტანა გოლი.

შვიდ თვეში ისევ გუცაევის გაწვრთნილები შინ დაუხვდნენ ამხანაგურად უკრაინას, ორივე გუნდი ექსპერიმენტული შემადგენლობით იყო და სტუმრებმა მატჩის მილეულს გატანილი ეული გოლით მოიგეს.

მესამე შეხვედრაც ამხანაგური იყო და ამხანაგურადვე, 0:0 დასრულდა — 2001 წლის თებერვლის ამ თბილისურ თამაშს არ შეეხედებოდა...

პირველი გოლი ქართველებმა უკრაინას 2002-ში სტუმრად გამართულ ამხანაგურში გაუტანეს: ლადო ბურდულმა მეორე ტაიმის შუაწელს ბრწყინვალე დარტყმით შეაგდო, მაგრამ მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე ანატოლი ტიმოშჩუკმა თავით გადამწყვეტი გაუტანა ალექსანდრე ჩივაძის ნაკრებს.

ამის შემდეგ ქართულ-უკრაინული ჯახი ოფიციალურებში გადაიზარდა: მუნდიალ 2006-ის შესარჩევი ალენ ჟირესის გუნდმა ორ ტურში ალებული ოთხი ქულით დაიწყო და ლვოვში დიდი იმედით ჩავიდა. ჩვენებმა ძალიან კარგად ითამაშეს და უკრაინელები ბურთს ძლივს პოულობდნენ, მაგრამ რად გინდა, ორი შეცდომა დაცვაში და 0:2. მეორე გოლი ანდრეი შევჩენკოსი იყო.

იმავ შესარჩევში თბილისური მატჩი 1:1 დამთავრდა. უკრაინელები 89-ე წუთამდე უგებდნენ გაიოზ დარსაძის გუნდს, მაგრამ გოგა გახოკიძემ ისეთი საჯარიმო შეაგდო, შოვკოვსკი კი არა, ათი ბუფონი ვერ აიღებდა. ეს იყო დარსაძის ხელში ნაკრების საუკეთესო თამაში, რომელიც ცარიელი ტრიბუნების წინ გაიმართა. მოგების შემთხვევაში უკრაინელები ავტომატურად ინალდებდნენ მუნდიალის საგზურს, მაგრამ იმ დღესვე ჯგუფის პარალელურ შეხვედრაში თურქეთ — დანიის ფრემ მაინც იმ დღესვე გაახარა შევჩენკო და კომპანია. ასე რომ, საქართველომ უკრაინა მხოლოდ ნაწილობრივ გაამწარა.

შარშან კი საქართველო გამწარდა და თან როგორ.. კლაუს ტოპმიოლერის ნაკრებმა კიევში მასპინძლებს თითქმის აჯობა, შევჩენკოს გოლს შოთა არველაძემ ლამაზი დარტყმით უპასუხა, მეორე ტაიმის დასაწყისში კი ნაცადი ხერხით გიორგი დემეტრაძემ ჯარიმიდან შეაგდო, მაგრამ მხოლოდ ნახევარ წუთს ვიგებდით — ცენტრიდან დაწყება და 2:2 ერთი იყო. ქართველებს კიდევ ჰქონდათ მომენტები, მაგრამ აქეთ გაუშვეს. სამივე გოლი თავით გაიტანეს ოლეგ ბლოხინის ფეხბურთელებმა.

იმ დღეს მსაჯიც არ იყო კეთილგანწყობილი ქართველების მიმართ. ტოპმიოლერმა კი ნამატჩევს თქვა და ამასწინათაც აღნიშნა, კიევში კახა კალაძე რომ გვყოლოდა, დარწმუნებული ვარ, სულ მცირე, ქულას ჩამოვიტანდითო.

ეს შვიდივე მატჩი წარსულია, ჩვენ კი 8 სექტემბერს მერვეს მოლოდინში ვართ. სამწუხაროდ, სხვადასხვა მიზნებს ეჭიდებიან დამეგობრებული ქვეყნები: უკრაინა შვეიცარია-ავსტრიისკენ მიმავალ გზას იკვლევს, საქართველოს კი ჯგუფში მეხუთე ადგილზე გასვლა უნდა.

**ილია ნანობაშვილი**



## მწვრთნელის გული

**3 სექტემბერს** თბილისის „დინამომ" „მერანი" 3:0 დაამარცხა. მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე „მერანის" მთავარი მწვრთნელი თამაზ კოსტავა არ გამოცხადდა — შეუძლოდ შეიქნა. როგორც გუშინ „მერანის" მწვრთნელმა დავით ეჯიბიშვილმა გვითხრა, კოსტავა სამშაბათს თბილისის მეხუთე საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში მოუთავსებიათ, თუმც მისი მდგომარეობა ამჟამად სტაბილურია.

სანამ კოსტავა მომჯობინდება, „მერანს" დავით ეჯიბიშვილი უთავკაცებს.

**ნუკრი ლოლაძე**

## ქალბატონო სუდია!



ლალი გახოკია

**პირველად** ქართული ფეხბურთის ისტორიაში საქართველოს ჩემპიონატის მატჩებს ქალი მსაჯები მოემსახურნენ. სუსტი სქესის წარმომადგენლებმა საქმიანობა პირველი ლიგის შეხვედრების მსაჯობით დაიწყეს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა აკადემიის სტუდენტებმა ლალი გახოკიამ და ხათუნა მაისურაძემ, შესაბამისად, „დინამო 2" — „ჩიხურას" და „ოლიმპიკი" — „კახეთის" მატჩებში მთავარი მსაჯის ასისტენტის მოვალეობა შეასრულეს.

გოგონების მსაჯობა სპეციალისტებმა დადებითად შეაფასეს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# საქართველო — უკრაინა ჩაიცვით თეთრი და წითელი და წავედით ბილეთებზე!

**შაბათს** საქართველოს ეროვნული გუნდი მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალისტ უკრაინის ნაკრებს უმასპინძლებს.

გულშემატკივრებო, ჩავიცვათ თეთრი და წითელი მაისურები და მხურვალედ ვუქომაგოთ ჩვენი ქვეყნის ნაკრებს!

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია გაცნობებთ, რომ თამაშის დღეს ეროვნულ სტადიონზე საქართველოს ნაკრების („დიადორას") მაისურები, შორტები და გეტრები გაიყიდება. მაისურა (წითელი, თეთრი) — 100 ლარი; მაისურა (გრძელმკლავიანი: წითელი, თეთრი) — 110 ლარი; შორტი (წითელი, თეთრი) — 50 ლარი; გეტრები (წითელი, თეთრი) — 20 ლარი;

**8 სექტემბერს** საქართველოს ეროვნული გუნდი თბილისში, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე უკრაინის ნაკრებს უმასპინძლებს.

მატჩზე დასასწრები ბილეთები გაყიდვა უკვე დაიწყო, „ეროვნულის" 10 სალარო იმუშავებს 11-დან 18 საათამდე. მატჩის დღეს, 8 სექტემბერს, სალაროები იმუშავებს 11-დან 16 საათამდე. 19 საათამდე იმუშავებს 4 სალარო ცაბაძის ქუჩაზე.

ბილეთები 5, 10 და 20 ლარი ეღირება.

5 ლარი: ჩრდილოეთ და სამხრეთ ტრიბუნების სექტორები. 10 ლარი: აღმოსავლეთ ტრიბუნა, II იარუსი — მე-20, 21-ე, 22-ე, 25-ე, 26-ე და 27-ე სექტორები; დასავლეთ ტრიბუნა, II იარუსი — მე-5, მე-6, მე-11 და მე-12 სექტორები. 20 ლარი: აღმოსავლეთ ტრიბუნა, I იარუსი — მე-13, 14-ე, მე-15 და მე-16 სექტორები; აღმოსავლეთ ტრიბუნა, II იარუსი — 23-ე და 24-ე სექტორები; დასავლეთ ტრიბუნა, II იარუსი — მე-7, მე-9 და მე-10 სექტორები.

**სფფ-ის პრესცენტრი**

## გერმანია

**ჩრდილოეთ რეგიონალლიგა**

**VII ტური**

ვერლი 1:2 ობერჰაუზენი
ჰამბურგი (მ) 1:1 ალენი
კოტბუსი (მ) 0:3 დორტმუნდი (მ)
დინამო 0:0 დიუსელდორფი
მაგდებურგი 3:0 ლიუბეკი
ესენი 0:0 ბრაუნშვაიგი
უნიონი 1:1 ბაბელსბერგი
ვუპერტალი 7:2 ვოლფსბურგი (მ)
ვერდერი (მ) — ემდენი
გადაიდო

## შვეიცარია

**ჩელენჯლიგა**

**გადადებული მატჩი**

ვადუცი 5:2 კიასო

## შოტლანდია

**ჩელენჯ ქაფი. II ეტაპი**

კლაიდი 1:4 დანფერმლაინი
როსი 0:2 სენტ ჯონსტონი

## ესპანეთი

**თასის II ეტაპი**

ალკოიანო 2:0 კონკენსე
ალხესირასი 0:1 დენია
ოსპიტალეტი 1:0 უესკა
ლემონა 4:5პენ.(0:0დ.დ.) პონფერადინა
პონტევედრა 1:0 კარკახენა
პუერტოლიანო 2:1დ.დ. (1:1) ბადალონა
ხაენი 0:2დ.დ. (0:0) რაიო ვალეკანო
სან ისიდორო 2:5 პორტუენსე
ტალავერა 2:1დ.დ.(1:1) ბარაკალდო
უნივერსიდადი 0:1 ალიკანტე
ვალე დე ეგესი 1:2 ბურგოსი
ალავესი 1:0 ხიმნასტიკი
სალამანკა 1:2 ელჩე
ალბასეტე 1:0 კასტელიონი
კორდობა 2:3დ.დ. (1:1) კადისი
მალაგა 2:1 სელტა
ხერესი 3:1 ფეროლი
გრანადა 1:0 სპორტინგი
ერკულესი 2:0 ნუმანსია
ტენერიფე 1:0 პოლი ეხიდო
სალა — ვესინდარიო
გადაიდო



# პინგ-პონგი კონჩა-ზასპაში

**უკრაინის** ნაკრები საქართველოსთან მატჩისთვის საკუთარ ბაზაზე, კონჩა-ზასპაში ემზადება და უკვე ორჯერ ივარჯიშა.

გუშინდელ ვარჯიშზე არ გამოჩენილან ტრავმირებულები, ტარას მიხალიკი და ანდრეი ნესმაჩნი — მათი ამბავი გარკვეულია, ისინი თბილისში ვერ ითამაშებენ. ცალკე, ინდივიდუალური პროგრამით ივარჯიშეს სერგეი ნაზარენკომ და ანდრეი რუსოლმა, რომელთა თამაში სათუოა, ხოლო ნატრავმალი რუსლან როტანი და მაქსიმ კალინიჩენკო უკვე მომჯობინდნენ და სრული დატვირთითაც ივარჯიშეს. ტრავმიანობით შეთხელებული შემადგენლობის შესავსებად ოლეგ ბლოხინმა ნაკრების დებიუტანტს, „შახტარის“ მცველ ვიაჩესლავ შევჩუკს უხმო.

ვარჯიშისას ფეხბურთელები ჯერ ბლოხინის თანაშემწე ოლეგ კუზნეცოვმა გაახურა, შემდეგ კი ორკარა გაჩაღდა. ბლოხინმა ფეხბურთელები ანატოლი ტიმოშჩუკის და ანდრეი ვორონინის გუნდებად დაჰყო და სამი შეხებით თამაში დაავალა. იქაური ჟურნალისტების თქმით, ბურთი ისე სწრაფად მოძრაობდა, ფეხბურთელები ერთმანეთის სახელის დაძახებას ვერ ასწრებდნენ. ამ ყოველივეს მწვრთნელები და დამსწრენი თავის აქეთ-იქით მოძრაობით ადევნებდნენ თვალს, გეგონებოდათ, მაგიდის ჩოგბურთს უყურებენო. ნეტავ, გუნდმა თბილისშიც ასე ითამაშოსო — წერენ ჩვენი უკრაინელი კოლეგები.

უკრაინელთა კაპიტანი და ლიდერი ანდრეი შევჩენკო, მოგეხსენებათ, კაი ხნის უთამაშებელია და ცხადია, ფორმაში ვერ არის. გუშინდელი ორკარას დროს შევჩენკო ტიმოშჩუკის გუნდში მოხვდა, თამაში კი ვორონინის გუნდმა მოიგო. თავად ვორონინს ერთხელ ისეთი დაურტყამს, ერთ ტელეჟურნალისტს კინაღამ ფეხი მოტეხა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# თბილისი ასიანია

## ანდრეი ვორონინის ნაცნობი „ტექსტი“: საქართველო ძალიან ტექნიკურია!

**ანდრეი ვორონინს კვირაზე მეტი ხნის წინ ტრავმა აწუხებდა, თუმც მალე განიკურნა და სათბილისო მატჩისთვის გულმოდგინედ ემზადება. ანდრეი შევჩენკო ჩვეულ ფორმაში არ არის და ვორონინიც უკრაინელთა შეტევის მთავარ ძალად ითვლება. გუშინ „ლივერპულის“ ფორვარდს უკრაინელი ჟურნალისტები ესაუბრნენ...**



— მადლობა ღმერთს, ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა და მალევე მოვირჩინე. ახლახან ვარჯიში განვაახლე და „დერბისთან“ ბოლო 17 წუთიც ვითამაშე.

**— ეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ საქართველოსთან და იტალიასთან მატჩები გადამწყვეტი იქნება ჯგუფიდან გასვლისთვის ბრძოლაში?**

— რა თქმა უნდა, თუ ამ ორ მატჩში ექვსი ქულა ავიღეთ, ჯგუფიდან გასვლის რეალური შანსი გვექნება, თან არა მეორე, არამედ პირველი ადგილით. სექტემბრის მატჩები უმნიშვნელოვანესია ამ შესარჩევში.

**— ოლეგ ბლოხინი გამოტყდა, რომ ფეხბურთელების ტრავმებმა გეგმები აურია და არ იცის, როგორ მოამზადოს ფეხბურთელები ამ მატჩებისთვის. როგორი განწყობაა გუნდში?**

— მეც და სხვებსაც კარგად გვესმის ამ შეხვედრების მნიშვნელობა. რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელის არ გვყავს, მაგრამ მხოლოდ პოზიტიურ შედეგზე ვფიქრობთ. ჯერ თავში მხოლოდ თბილისური მატჩი გვიტრიალებს. სამი ქულის აღება ჯერ საქართველოსთანაა საჭირო, მერე კი მსოფლიოს ჩემპიონებთან.

**— საქართველოს ნაკრებთან რამდენჯერმე გითამაშიათ. თქვენი აზრით, რისი წყალობით შეგიძლიათ მოუგოთ კლაუს ტოპმოლერის გუნდს?**

— გოლი უნდა გავიტანოთ. ქართველებთან თამაში იოლი არ იქნება. ეს გუნდი ძალიან ტექნიკურია, ამიტომ ნახევარდაცვაში ბურთის გაკონტროლების საშუალება არ უნდა მივცეთ, არც სივრცეები დავუთმოთ და მათსავე ნახევარზე პრესინგი უნდა შევთავაზოთ. ინდივიდუალურად ძლიერი ფეხბურთელები ჰყავთ კარგი ევროპული კლუბებიდან და მათი შეუფასებლობა არ შეიძლება.

**— არის თუ არა შესაძლებელი, რომ ფეხბურთელებს თავში იტალიასთან მომავალი თამაში უტრიალებდეთ და შეეცადნონ, ქართველებთან ისე მოიგონ, ნაკლები ენერგია დახარჯონ?**

— გამორიცხულია. შესაძლებლობების 70 ან 80 პროცენტით საქართველოს ნაკრებს სტუმრად ვერ მოვუგებთ. შაბათს ფრე ხელს არ გვაძლევს, ამიტომ სამი ქულის ასაღებად თავი არ უნდა დავზოგოთ. ამასთან, იტალიელები საფრანგეთს ეთამაშებიან და მათაც მოუწევთ ენერგიის დახარჯვა, აღსადგენად კი ორივეს ოთხი დღე გვრჩება.

# საქართველოა!

**უკრაინის** ნაკრების ვიცე-კაპიტანი ანატოლი ტიმოშჩუკი შესანიშნავ ფორმაშია და ამას რუსეთის ჩემპიონატშიც ამტკიცებს. თუ ბლოხინმა ანდრეი შევჩენკო არ ათამაშა, შესაძლოა, კაპიტნად სწორედ იგი ვიხილოთ. ტიმოშჩუკი ბრძოლის ხასიათზეა და თანაგუნდელების იმედიც აქვს...

„ჯერ მხოლოდ ორი დღეა, რაც შევიკრიბეთ და ბევრს ვერაფერს გეტყვით, თუმც იმის თქმა კი შემიძლია, რომ ბიჭების განწყობა საბრძოლოა. ამ ორ მატჩს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის. მართალია, საქართველოს ნაკრებთან დადებითი ბალანსი გვაქვს, მაგრამ მეტოქის შეუფასებლობა არ შეიძლება. ახლა თითოეულ ქულას ოქროს ფასი აქვს. ჯგუფში ისეთი სიტუაციაა, რომ ყველა მატჩი ისე უნდა ვითამაშოთ, როგორც ბოლო და გადამწყვეტი. სხვა თუ არაფერი, ჩვენი კონკურენტები მსოფლიოს ჩემპიონები და ვიცე-ჩემპიონები არიან“ — განუცხადა ტიმოშჩუკმა უკრაინელ ჟურნალისტებს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# დანაკლისები არა საჩვენოდ

**8 და 12 სექტემბერს** ევრო 2008-ის შესარჩევ ჯგუფში საქართველოს ნაკრების მეტოქეები ორ-ორ მატჩს გამართავენ და ამ შეხვედრებს დანაკლისით შეხვდებიან.

საფრანგეთის ნაკრებში საეჭვოა გუნდის კაპიტან პატრიკ ვიეირას თამაში. „ინტერის“ ფრანგ ნახევარმცველს მუხლის მყესი აწუხებს და შესაძლოა, იტალიელებთან მატჩი გამოტოვოს.

თავად იტალიელებს კი თავდამსხმელი ლუკა ტონი დაუშავდათ. ახლახან „ბაიერნში“ გადასული აპენინელი ფრანგებთან ვერ ითამაშებს, უკრაინასთან კი თავისიანებს დაეხმარება.

ყველაზე მეტი დანაკლისი შოტლანდიის ნაკრებს აქვს: კენი მილერი და გარი ნეისმიტი ტრავმის გამო ლიტვასა და საფრანგეთთან ვერ დაეხმარებიან გუნდს. საეჭვოა ლიტვასთან რასელ ანდერსონის თამაშიც. ბალტიისპირელებთან მატჩს დისკვალიფიკაციის გამო კაპიტანი ბარი ფერგიუსონიც გამოტოვებს, ფრანგებთან თამაში კი შეეძლება.

შოტლანდიის დანაკლისითვე ესტუმრება ლიტვაც, ბალტიისპირელებს ორი თავდამსხმელი დაუშავდათ — როსტოველი რობერტას პოშკუსი და ჩეხეთში მოთამაშე ტომას რაძინიავიჩუსი. მათ ნაცვლად ალგიმანტას ლიუბინსკასმა ჰართსელი რიჩარდას ბენიუშასი და „ეკრანასის“ შემტევი მანტას სავენასი გამოიძახა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# დიარას შავ-თეთრი აზრები

## ფრანგმა ზანგმა ყველა დაიმოწმა: იტალია თაღლითების გუნდია

**საფრანგეთის** ნაკრების ნახევარმცველმა ლასანა დიარამ იტალიელებზე თქვა, პროვოკატორები და თაღლითები არიანო და ევროშესარჩევი მატჩის წინ ცეცხლს ნავთი გადაასხა: „ყველამ იცის, რომ იტალიელებს ფეხბურთში თაღლითების და პროვოკატორების რეპუტაცია აქვთ. მთავარია, მათ პროვოკაციას არ წამოვეგოთ. მე შავი კაცი ვარ და შავკანიანებს იტალიაში ხშირად შეურაცხყოფდნენ. არა მარტო ქომაგები, არამედ ფეხბურთელებიც. ამ მხრივ ახლა ვითარება ცოტა უმჯობესდება“. წლების წინ „იუვენტუსის“ ფრანგ ნახევარმცველ პატრიკ ვიეირას ლაციოელმა სინიშა მიხაილოვიჩმა შავი მაიმუნი უწოდა. ახლა ისინი „ინტერში“ ერთად არიან, ვიეირა თამაშობს, მიხაილოვიჩი კი რობერტო მანჩინის თანაშემწეა. ალბათ ამას გულისხმობს დიარა ვითარების გაუმჯობესებაში.

დისკვალიფიცირებულ მწვრთნელზე რაიმონ დომენეკზე დიარამ განაცხადა: „ჩვენ გვერდით არ იქნება, მაგრამ მისმა თანაშემწეებმა კარგად იციან, რაც უნდა აკეთონ. იტალიას ჰყავს ჯენარო გატუზო და ანდრეა პირლო, ჩვენ კი — კლოდ მაკელელე და პატრიკ ვიეირა. არა მგონია, მათი წყვილი ჩვენსას სჯობდეს“.

**გაჟა ხუციშვილი**

# ყაზახებს მინიმალური ტექნიკურად გაუდიდეს

**ევრო-2009-ის** შესარჩევ ჯგუფში 22 აგვისტოს ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები პოლონეთს რომ სტუმრობდა და 1:3 წააგო, იმავე დღეს იმავე ჯგუფში ყაზახებმა შინ 0:1 დათმეს რუსებთან, თუმც 0:3 მარცხი ჩაეთვალათ — საქმე ისაა, რომ ყაზახებს დისკვალიფიცირებული ფეხბურთელი, აზატ ნურგალიევი უთამაშებიათ და გუშინ უეფამ ისედაც წაგებული ყაზახები დიდანგარიშიანი მარცხით დასაჯა.

ეს რომ კარგ ხასიათზე ვერ დააყენებს თბილისში გუშინ ჩამოსულ ყაზახთა გუნდს, ფაქტია.

ხვალ საქართველო — ყაზახეთის 21-წლამდელთა მატჩია რუსთავში და იმედია, პეტარ სერგტის გუნდი მეორე წაგებას ჩაუწერს სტუმრებს.

**ილია ნანობაშვილი**



რონალდოს მოკეთებას ჯერაც ელიან

# გალიანიმ რონალდო არ იცის

„მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ არ იცის, როდის ითამაშებს რონალდო. ერთი თვის წინ ამბობდნენ, ბრაზილიელი სეზონის დასაწყისისთვის მზად იქნებაო, მაგრამ სერია A-ში ორი ტური მიილია და მოედანზე ჯერ არ გამოჩენილა.

რონალდოს ფეხი 31 ივლისს, „მილანის“ პირველი ვარჯიშისას ასტკივდა. მან ხუთი კილოც დაიკლო ამ ზაფხულის შეკრებისას და მწვრთნელიც და ფანებიც მეგოლეს მოუთმენლად ელოდნენ. რონალდოს მარცხენა ბარძაყის კუნთის ტრავმა აქვს და კლუბის ექიმებმაც არ იციან, ზუსტად როდისთვის მომჯობინდება ფეხბურთელი.

„განსაკუთრებული არაფერია, მაგრამ ჯერ ტკივილი აწუხებს — თქვა გალიანიმ — ვიდრე არ დავრწმუნდებით, რომ 100 პროცენტით მზად არის, არ ვათამაშებთ“.

ერთი კვირის წინ კარლო ანჩელოტი ამტკიცებდა, რომ რონალდო 16 სექტემბერს „სიენასთან“ ითამაშებდა, მაგრამ გალიანის კომენტარმა მწვრთნელის ნათქვამი გააბუნდოვნა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# იუვედან გერმანელმა გამოუშონა

**იტალიური** მედიის ცნობით, „იუვენტუსი“ იანვარში „ჩელსიდან“ მიხაელ ბალაკის იჯარით წაყვანას აპირებს. გერმანელი ნახევარმცველი ჟოზე მაურინიომ ჩემპიონთა ლიგის განაცხადში არ შეიყვანა, რამაც ფეხბურთელიც გააოგნა და გერმანიის ნაკრების მწვრთნელ იოახიმ ლიოვის განრისხებაც გამოიწვია.

ბალაკი შარშან გადავიდა „ბაიერნიდან“ „ჩელსიში“ და უფრო ხშირად თამაშობდა ძირითად შემადგენლობაში, ვიდრე მასსავით ახალწვეული ანდრეი შევჩენკო. ფეხის ტრავმის გამო მან ამ ზაფხულს სეზონისწინა შეკრება ვერ გაიარა და ლიგის განაცხადის მიღმა დატოვების ოფიციალური მიზეზიც ესაა.

იტალიაში კი უკვე ლაპარაკობენ, რომ „იუვენტუსი“, რომელსაც ნახევარდაცვის გაძლიერება სჭირდება, მიხაელ ბალაკის გადაბირებას გეგმავს.

იანვრამდე ჯერ შორია, მაგრამ ფეხბურთელთან დაახლოებული პირები აცხადებენ, რომ ბალაკი უახლოეს ხანში თავის მომავალს გაარკვევს.

**ვაჟა ხუციშვილი**





ტიმ ვიზე

# ვიზე ლიოვზე

**ბრემენის** „ვერდერის“ მეკარე ტიმ ვიზე იოახიმ ლიოვზე ნაწყენია, რადგან ნაკრებში არ იძახებენ. ბუნდესნაკრების მწვრთნელმა ტიმო ჰილდებრანდს უხმო, რომელიც „ვალენსიაში“ სათადარიგოთა სკამზე ზის, ვერდერელი კი მუდამ ძირითად შემადგენლობაშია, მაგრამ ლიოვის ყურადღება მაინც ვერ მიიპყრო.

გერმანიის ნაკრებში „შალკეს“ გოლკიპერი მანუელ ნოიერიც „დაპატიჟეს“ და კიოლნში გუნდთან ერთად შეკრებაზეც იყო. პირველი მეკარე არსენალელი იენს ლემანია, მეორე ტიმო ჰილდებრანდი, მესამე კი ჰანოვერელი რობერტ ენკე. ვიზეს ეიმედებოდა, რომ მეოთხე მაინც იქნებოდა, მაგრამ ოცდაორ გამოძახებულში მანუელ ნოიერი აღმოჩნდა.

„ბუნდესლიგაში თუ ევროთასებზე მუდმივად ვთამაშობ და ვერ გამიგია, რატომ არ მაქცევენ ყურადღებას — დაიჩივლა ბრემენელმა „ბილდთან“ — ტიმო ჰილდებრანდი „ვალენსიას“ ძირითადში ვერ ხვდება და მაინც ნაკრებშია, რობერტ ენკეც იშვიათად თამაშობდა თავის გუნდში, ხოლო ნოიერს ბუნდესლიგაში ერთი სრული სეზონიც არ ჩაუტარებია. აშკარაა, რომ მე ვერ ჩავეწერე იმ წრეში, რომელიც გერმანიის საფეხბურთო კავშირმა შექმნა, რადგან მათ ალბათ სულ სხვა ხედვა აქვთ. გული კი მწყდება, მაგრამ ეს თემა ჩემთვის დახურულია და დისკუსიის გამართვას არ ვაპირებ“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# შენ ამერიკას ვერ შეცვლი

**ალექს ფერგიუსონმა** დევიდ ბექემს შეუთვალა, ამერიკაში ფეხბურთს მარტო შენ ვერ გააცოცხლებო.

გეცოდინებათ, „მანჩესტერისა“ და „რეალის“ ყოფილი ნახევარმცველი ამ ზაფხულს „ლოს ანჯელეს გალაქსიში“ გადავიდა და ხუთწლიანი კონტრაქტით 250 მილიონი დოლარი უნდა მიიღოს. ბექემმა დაიფიცა, რომ ამერიკაში ფეხბურთს ახალ საფეხურზე აიყვანს და პოპულარულს გახდის, მაგრამ მის ყოფილ მწვრთნელს ამ ზღაპრების არ სჯერა.

„70-იანი წლების ბოლოს ამერიკაში „აბერდინთან“ ერთად ჩავედი. მაშინ იქ თეოფილე კუბილასი და პიტერ შილტონი თამაშობდნენ. მათზე ადრე პელე, კრუიფი და ბეკენბაუერიც იყვნენ, მაგრამ მათაც ვერ გააცოცხლეს ფეხბურთი. არ ვიცი, რა უნდა გააკეთოს დევიდმა საიმისოდ, რომ აშშ-ში სპორტის ეს სახეობა პოპულარული გახდეს. მარტო ბექემი ქვეყანას ვერ შეცვლის“ — განაცხადა ფერგიუსონმა.

„მანჩესტერის“ მწვრთნელის აზრით, ტერიტორიულად აშშ-ის სიდიდის იქიდან ნიჭიერი მოთამაშეების ევროპისკენ გადინების გამო იქ ფეხბურთი ვერ იფეხბურთებს: „თუ თქვენ ბოსტონში ხართ და ლოს ანჯელესში წასვლა გინდათ, ექვსი საათი უნდა იფრინოთ. გულშემატკივრები ასეთ მანძილზე გუნდს მხარდასაჭერად არ გაჰყვებიან და ამიტომაც არ იქნება სხვადასხვა გუნდების ფანთა მეტოქეობა“.

ალექს ფერგიუსონმა ძველი ამბავიც გაიხსენა და თქვა, რომ ვიქტორიაზე დაქორწინების შემდეგ ბექემის დამოკიდებულება ფეხბურთთან რადიკალურად შეიცვალა: „დაქორწინებამდე მას არასოდეს ჰქონდა გუნდში პრობლემები. ცოლის მოყვანის შემდეგ კი იმდენად პოპულარული გახდა, რომ ფეხბურთი მის ცხოვრებაში მეორეხარისხოვნად იქცა“.

**ვაჟა ხუციშვილი**


ალექს ფერგიუსონისთვის
დევიდ ბექემი
ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო

AFP

# ლაპორტა — მოტა: კაცი თუ ხარ, თქვი!


ხუან ლაპორტა

**ტიაგო მოტამ,** მადრიდის „ატლეტიკოში“ გადასვლის შემდეგ, იმ ინტერვიუში, რომელიც გუშინდელ „სარბიელში“ წაიკითხეთ, განაცხადა, რომ „ბარსელონაში“ რთულ ვითარებაში იყო და იქაური თავკაცები — პრეზიდენტი ხუან ლაპორტა და სპორტული დირექტორი ჩიკი ბეგირისტაინი მასთან საქმეზე პირდაპირ საუბარს გაურბოდნენ.

„მწვრთნელ ფრანკ რაიკარდისგან განსხვავებით, „ბარსელონას“ უფროსობამ ჩემთან სატრანსფერო და სხვა მნიშვნელოვან საქმეებზე საუბარი ერთხელაც არ ისურვა“ — ამონარიდი მოტას ინტერვიუდან.

ჰოდა, წუხელ ექსბარსელონელის ბრალდებას კატალონიური გუნდის პრეზიდენტი ხუან ლაპორტა გამოეხმაურა.

„სიმართლე გითხრათ, ვერ ვხვდები, ტიაგო მოტა რაში მადანაშაულებს. მასთანაც ისეთი ურთიერთობა გვქონდა, როგორიც გუნდის სხვა ფეხბურთელებთან. იმედი მაქვს, იგი თავისი ბრალდებების არსს მალე ამიხსნის და თუ ეს არ გააკეთა, ზრდასრული ადამიანი კი არა, მოუმწიფებელი ბიჭუნა იქნება, რომელსაც შეცდომების აღიარების ვაჟკაცობა არ ჰყოფნის“ — განაცხადა ლაპორტამ.

**ლადო ხომერიკი**

# სტივენ ლომგული და ერთი ნემსი


სტივენ ჯერარდი სტივ მაკლარენს ტრამვირებულიც კი სჭირდება

**ინგლისის** ნაკრების თავკაც სტივ მაკლარენს ისრაელის ნაკრებთან შაბათის თამაშში სტივენ ჯერარდი ისე სჭირდება, რომ არ გამორიცხავს „ლივერპულის" ტრავმირებულ კაპიტანს ტკივილგამაყუჩებელი გაუკეთოს და ისე გაუშვას მოედანზე — ჯერარდს ფეხის თითი აქვს მოტეხილი. თუ მაკლარენი ასე მოიქცევა, ნუ გამორიცხავთ, რომ „ლივერპულის" მწვრთნელმა რაფა ბენიტესმა მის წინააღმდეგ დიდი ომი წამოიწყოს. ესპანელმა არაოფიციალურად ნათლად თქვა, რომ არ სურს მისმა ფეხბურთელმა „ნემსით ითამაშოს".

მაგრამ ინგლისის ნაკრების თავკაცი არ ცხრება: „სტივენმა რამდენიმე კვირის წინ „ჩელსის" წინააღმდეგ „ლივერპულის" შემადგენლობაშიც ნემსით ითამაშა. რაც შემეხება მე, გავაკეთებ ზუსტად იმას, რასაც საჭიროდ ჩავთვლი, რათა შაბათს ისრაელის ნაკრებს მოვუგოთ".

და, რას ამბობს ამაზე ის ხალხი, ვისაც ყველაზე კარგად ესმის, რა შედეგს მოიტანს წამლით გაყუჩებული ფეხის დატვირთვა ანუ რას ამბობენ ექიმები? ისინი იმედოვნებენ, რომ სტივენ ჯერარდი შაბათამდე მომჯობინდება და გამაყუჩებლის გარეშეც შეძლებს თამაშს, თუმცა, ამას ნაკრების ექიმები ბრძანებენ, მათმა ლივერპულელმა კოლეგებმა კი, არაა გამორიცხული, თქვან, რომ ამ ჯერზე ჯერარდის თამაში გამორიცხულია.

„სეზონის წინ ჯონ ტერი და ფრენკ ლამპარდიც თითმოტეხილნი იყვნენ, მაგრამ გამაყუჩებლებს იკეთებდნენ და ისე თამაშობდნენ ამხანაგურებს — განმარტა მაკლარენმა — ვიცი, საკლუბო დონეზე ამ მეთოდს ხშირად მიმართავენ, რადგან გაყუჩების გარეშე თამაში მტკივნეულია. მეორე მხრივ, ეს არ ნიშნავს, რომ გაყუჩებული თითით თამაში მის შემდგომ გამიზეზებას გამოიწვევს.

ასე და ამგვარად, ჩვენ ყველა ღონეს ვიხმართ, რათა ჯერარდი შაბათს ვათამაშოთ, თუმცა ამის შესახებ რაფას და ლივერპულელ ექიმებს საქმის კურსში ჩავაყენებთ".

შემდეგ მაკლარენს ჰკითხეს, რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ჯერარდს ნემსი დასჭირდება, რაფა კი ამის კატეგორიული წინააღმდეგი წავა?

„ამ ხიდზე მაშინ გადავალთ, როდესაც მივადგებით — უპასუხა ნაკრების თავკაცმა და განაგრძო — ეჭვი არ მეპარება, რომ სტივ ჯი საჭირო შეხვედრაში ჩვენთან იქნება. მინდა, რომ ითამაშოს, თანაგუნდელებს უნდათ რომ ითამაშოს, ხალხს, ქვეყანას უნდა რომ ითამაშოს და თვითონაც უნდა, რომ ითამაშოს. ისრაელთან დიდი თამაში გველის და ამ შეხვედრაში დიდი ფეხბურთელები გვჭირდება. ჩვენ „ლივერპულთან" კავშირს არ ვწყვეტთ და ფეხბურთელის ჯანმრთელობას ეჭვქვეშ არ დავაყენებთ".

„ლივერპულმა" კომენტარისგან ჯერჯერობით თავი შეიკავა, რაც გასაკვირი სულაც არ გახლავთ, რადგან მართლა მთელ ინგლისს სურს, შაბათ ჯერარდმა ისრაელის წინააღმდეგ რომ ითამაშოს, ოღონდ ფანები იმასაც კითხულობენ: რომ ითამაშოს, მერე რა მოხდება?

კაცმა რომ თქვას, გამაყუჩებლით თამაში მსოფლიოში გავრცელებული მეთოდია. „ჩელსის" კაპიტანი ჯონ ტერიც ამბობს, რომ ნემსის გაკეთება ნატკენის გამიზეზებას და ჯანმრთელობის რისკის ქვეშ დაყენებას არ ნიშნავს.

ინგლისის ნაკრების ის ქომაგები, რომელთათვისაც „ლივერპული" სულ ერთია, ბუნებრივია, რაფა ბენიტესს და მის შესაძლო პროტესტებს ყურადღებას არ მიაქცევენ და ჯერარდს თამაშს მოსთხოვენ, ხოლო საკუთრივ ჯერარდი უშიშარი ახალგაზრდა კაცია, რომელიც გმირობის სურვილით ანთებული ამბობს, რომ თამაში წყურია — ნაკრების ბაზაზე ფანები მასთან მიდიოდნენ და მხარზე ხელის ტყაპუნით ეკითხებოდნენ, როგორ ხარო, რაზეც ის პასუხობდა, რომ არაფერი უჭირს. ამაზე ინგლისელი ჟურნალისტები წერენ, რომ ჯერარდს მართლა სჯერა, რომ არაფერი აწუხებს.

საინტერესოა, რომ რაფა ბენიტესის თქმით, ჯერარდს შაბათს, „ლივერპულისა" და „დერბი ქაუნთის" შეხვედრაშიც ძალიან უნდოდა თამაში, მაგრამ მან არ დართო ნება — ბენიტესი დარწმუნებულია, რომ თუკი ფეხბურთელის მორიგი დაშავების ოდნავი შანსი მაინც არსებობს, მწვრთნელმა ის არ უნდა ათამაშოს.

**ბაპუნა ძიძია**





# რომანი და ჟოზე

## მრავალმოქმედებიანი სპექტაკლის მორიგი სცენა: იგივენი და ჰინი

**დავუბრუნდეთ „ჩელსის" მეპატრონის რომან აბრამოვიჩისა და მწვრთნელის ჟოზე მაურინიუს დაპირისპირების მარადიულ თემას — თურმე, ამ სეზონში გასახდელში ჩასულ რუს მილიარდელს დანა პირს არ უხსნის და მასთან ყველაზე დაახლოებული ფეხბურთელებიც კი ვერ ახერხებენ პატრონის მორბილებას**

**ბოლო ტურში,** „ასტონ ვილასთან" დამარცხების შემდეგ კი არა, მანამდე, „პორტსმუთთან" გამარჯვების შემდეგაც კი, მიუხედავად იმისა, რომ „ლურჯები" „მანჩესტერ იუნაიტედს" ცხრილში ბევრი ადგილით უსწრებდნენ, აბრამოვიჩის ბაგეს ღიმილი არ მიჰკარებია. მიზეზი: „ჩელსი" ულამაზოდ თამაშობს.

ზაფხულზე, როდესაც აბრამოვიჩი მაურინიუს შეხვდა და ეს შეხვედრა ყველამ ორ კაცს შორის ურთიერთობის გარკვევისა და მოგვარების წინაპირობად მიიჩნია, რუსმა პორტუგალიელს გარკვევით უთხრა, რომ მისი „პრაგმატული ფეხბურთის" ამტანი ის აღარ არის. როგორც ამბობენ, მაშინ აბრამოვიჩს მაურინიუმ და ამ საქმესთან დაკავშირებულმა სხვა ადამიანებმა აღუთქვეს, რომ ახალი სეზონიდან „ჩელსი" ისეთ ფეხბურთს ითამაშებდა, ინგლისური პუბლიკა „მანჩესტერ იუნაიტედისგან" რომ არის დაჩვეული. მაგრამ, აი, ეს ჩემპიონატიც დაიწყო და „ლურჯები" კვლავ წვალობენ, ძალებს ხარჯავენ, იბრძვიან და ამ ყველაფერს სილამაზისა არაფერი სცხია.

მდგომარეობიდან გამოსვლას ისევ პრეზიდენტი ცდილობდა. ერთი ხნის წინ ლონდონში გახლდათ ჩასული ბრაზილიელი ვარსკვლავის რონალდინიოს ძმა რობერტო დე ასის მორეირა, რომელიც ადრიანოს „ინტერიდან" „მანჩესტერ სიტიში" გადაყვანას ცდილობდა. რუსმა მილიარდელმაც, არც აცია, არც აცხელა და მორეირას მისი ძმის ყიდვის სურვილი გაანდო. შინ დაბრუნებულმა მორეირამ, რამდენადაც ყოვლისმცოდნე ხალხისთვის გახდა ცნობილი, აბრამოვიჩს დაურეკა და უთხრა, რომ რონალდინიო, პრინციპში „სტემფორდ ბრიჯზე" გადასახლების წინააღმდეგი არ იქნებოდა, ხოლო ამ საქმეს 85 მილიონი გირვანქა დასჭირდებოდა, მაგრამ შემდეგ საჯაროდ გამოვიდა პიტერ კინიონი და განაცხადა, რომ მსგავსი არაფერი ხდება.

ასე და ამგვარად, ურთიერთობა მაურინიუსა და აბრამოვიჩს შორის კვლავ დაიძაბა.

„ჩელსის" მავანი თანამშრომელი: „რომანსა და ჟოზეს შორის კიდევ რაღაც თუხთუხებს. აშკარაა, რომ რომანს ასეთი ფეხბურთი ყელში ამოუვიდა. ჟოზე დაპირდა, რომ ამიერიდან „ჩელსი" ლამაზად ითამაშებდა, მაგრამ ეს ასე არ არის და რომანმაც რონალდინიოს ყიდვით მისი კედელთან მიყენება გადაწყვიტა. იფიქრა, რომ ბრაზილიელი ვარსკვლავის მიყვანა ჟოზეს ფაქტის წინაშე დააყენებდა და აიძულებდა ახლებურ ფეხბურთზე გადაწყობილიყო.

მაგრამ რონალდინიო ის ფეხბურთელია, რომელიც ჟოზეს არაფრად სჭირდება. ის მას ვერ გამოიყენებს და ამიტომაც მაურინიუს არ უნდოდა, რომ რომანს ის ეყიდა. გარდა ამისა, ჟოზე სასტიკად ნაწყენი იყო იმის გამო, რომ რომანმა ფეხბურთელის ყიდვა მის ზურგსუკან გადაწყვიტა, მაშინ, როდესაც მან ზაფხულში პატრონის ნდობის აღსადგენად ყველა ღონე იხმარა".

საინტერესოა, „ჩელსის" სხვა თანამშრომლის მოგონებაც, თუ რას ამბობდა ჟოზე რონალდინიოზე ლონდონელთა და „ბარსელონას" ჩემპიონთა ლიგაში დაპირისპირების შემდეგ.

„ჟოზე ამბობდა, რომ რონალდინიო დიდი ფეხბურთელია, მაგრამ „ჩელსისთვის" ხიფათი არ შეუქმნია. მთელი ორი მატჩიდან მან მხოლოდ 10 წუთი ჩაატარა ისე, რომ მისი მოხელთება ძნელი იქნებოდა, დანარჩენი დროის განმავლობაში კი სახიფათო არ იყო. ჟოზე გრძნობდა, რომ თუ რონალდინიოს უყიდდნენ, მას გუნდის გადაწყობა დასჭირდებოდა, არადა, მთელი ზაფხული გუნდი სულ სხვა რაღაცისთვის ემზადებოდა".

საქმეში ჩახედული ხალხი ეჭვობს, რომ აბრამოვიჩს მაურინიუს წინააღმდეგ სუპერაგენტი პინი ზაჰავი ქოქავს. ეს ის სუპერაგენტია, რომელმაც რუს ოლიგარქს „ჩელსი" აყიდინა.

შემდეგ ორი წლის წინ ზაჰავი „ლურჯი" სარბიელიდან მოულოდნელად გაქრა და ის მაურინიუს აგენტმა ჟორჟე მენდეშმა შეცვალა, მაგრამ ამ ბოლო დროს ზაჰავი ისევ აბრამოვიჩის შორიახლოს გამოჩნდა.

**ბაპუნა ძიძია**

# ბილბაომ ფულემს ფერნანდო არ ანდო

**ბასკურმა** „ბილბაომ" ფერნანდო ლორენტეს გასხვისებაზე უარი განაცხადა. ბასკ თავდამსხმელს ინგლისში ეპატიჟებოდნენ — იქაურმა „ფულემმა" „ატლეტიკს" მის სანაცვლოდ 6 მილიონი ევრო შესთავაზა, თუმც კლუბის უფროსობისგან თანხმობა ვერ მიიღო.

ინგლისელები თავიდან ლორენტეს აგენტს ხესუს მედინას დაუკავშირდნენ, რომელმაც „ფულემის" სურვილი „ბილბაოს" გაანდო. „ატლეტიკის" ოფიციალურმა წარმომადგენელმა კი პრესასთან თქვა, რომ ფერნანდო ლორენტე ტრანსფერგარეშეა და ბასკეთის მთავარი გუნდიდან არც თავად აპირებს წასვლას.

„სან მამესზე" ლორენტეს დარჩენის ერთ-ერთი მთავარი მომხრე „ბილბაოს" მწვრთნელი ხოაკინ კაპაროსია. ამ კაცმა ფერნანდოს სრული ნდობა გამოუცხადა და თქვა, რომ ფორვარდი „ატლეტიკის" სამომავლო პროექტის მნიშვნელოვანი ნაწილია.

ერთი სიტყვით, ფერნანდო ლორენტემ ბასკურ ფლაგმანთან კონტრაქტი 2006 წლის ივნისში 2011 წლის 30 ივნისამდე გაახანგრძლივა. მოიერიშე არსად წასვლას არ აპირებს და მოჰამედ ალ ფაიედის „ფულემსაც" სხვა თავდამსხმელის მოძებნა მოუწევს.

**ლადო ხომერიკი**


ფერნანდო ლორენტე

# რაიან გიგზი: გიგზი მარადიული არაა

რაიან გიგზმა „მანჩესტერ იუნაიტედთან“ კონტრაქტი ერთი წლით გაახანგრძლივა. ალექს ფერგიუსონმა დაარწმუნა კლუბის შეფები, რომ რაიანი გუნდს მომავალ სეზონშიც წაადგება. 33 წლის უელსელმა სანაკრებო კარიერა დაასრულა და ახლა ძალ-ღონეს „მანჩესტერისთვის“ დახარჯავს.

კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ინტერვიუში გიგზი ახალდაწყებულ სეზონზე და სამომავლო გეგმებზე საუბრობს. იგი მეცხრედ გახდა პრემიერლიგის ჩემპიონი და „ლივერპულის“ ფილ ნილს და ალან ჰანსენს გაასწრო



AFP

**— ფილ ნილმა და ალან ჰანსენმა მეცხრე ჩემპიონობის მოსალოცად არ დაგირეკეს?**

— არა, მაგრამ მათი რეკორდი რომ მოვხსენი, უკვე სასიამოვნო ამბავია. ჰანსენის დროინდელი „ლივერპული“ უძლიერესი იყო. მაინც არა მგონია, რომ ბევრი ჯილდოები მაქვს, ერთ-ორს კიდევ დავამატებდი და კარიერის დასრულების შემდეგ ვიამაყებდი.

**— ყველა რეკორდს თავი რომ დავანებოთ, ალბათ, მეათედ ჩემპიონობაზეც ოცნებობთ...**

— ურიგო ნამდვილად არ იქნებოდა მეათედ ოქროს მედლის მოგება, მეთერთმეტესი კი — უკეთესი. ხარბი არ ვარ, მაგრამ 11-ნომრიანი მაისურით ვთამაშობ და...

**— წინა სეზონში „მანჩესტერის“ ჩემპიონობას ბევრი არ ელოდა...**

— მართალია. ხალხს გუნდი ისევ ჩამოყალიბების პროცესში ეგონა. ვერავინ იფიქრებდა, რომ „ჩელსის“ ტოლ-სწორად შევეჯიბრებოდით. საბედნიეროდ, ჩემპიონატი საუცხოოდ დავიწყეთ და ტრავმებსაც არ შევუწუხებივართ. მერე ზედიზედ რამდენიმე ფეხბურთელი დაგვიშავდა, მაგრამ გუნდის შეჩერება უკვე შეუძლებელი იყო. ტრავმირებულთა შემცვლელებიც შემადგენლობაში უპრობლემოდ ჩაეწერნენ.

**— ტიტულის შენარჩუნება უფრო ძნელია თუ მოპოვება?**

— შენარჩუნება გაცილებით რთულია, რადგან ყველას სურს ჩემპიონთან კარგად თამაში და მისი დამარცხება. ტიტული ტვირთად გაწვება, თუმც ფეხბურთელებს, რომლებმაც ჩემპიონობის გემო გაიგეს, კიდევ მეტის მოგების სურვილი უჩნდებათ.

**— ამ სეზონში „მანჩესტერის“ კონკურენტებად ვის მიიჩნევთ?**

— რა თქმა უნდა, „არსენალს“, „ლივერპულს“ და „ჩელსის“. ამ ზაფხულს სამივე გუნდი საკმაოდ გაძლიერდა. „ტოტენჰემმაც“ კარგი ფეხბურთელები იყიდა და ანგარიშგასაწევი გახდა. „ლივერპულში“ ბევრი ახალწვეულია, რომლებსაც თავის გამოჩენა სურთ. „არსენალმა“ ტიერი ანრი გაყიდა, მაგრამ ედუარდო და სილვა შეიძინა. მისი თამაში ენაზე და ძლიერი ფორვარდი ჩანს. რობინ ვან პერსიმ და ემანუელ ადებაიორმაც მოუმატეს. მართალია, ანრის ბევრი გოლი გაჰქონდა, მაგრამ „არსენალს“ სხვა გამტანებიც ჰყავს. „ჩელსიდან“ კი ფლორენ მალუდას გამოვარჩევ. სუპერთასზე ჩვენს წინააღმდეგ შესანიშნავად ითამაშა. ყველა კონკურენტმა დაიმატა ფეხბურთელი იმ პოზიციაზე, რომლის გაძლიერებაც სჭირდებოდა. „მანჩესტერმაც“ კარგები შეიძინა და კმაყოფილნი ვართ.

**— სეზონისწინა შეკრებაზე ახალწვეულებმა როგორი შთაბეჭდილება დატოვეს?**

— ყველამ გულიანად იშრომა. ისინი ნიჭიერები არიან, მაგრამ არაერთხელ მითქვამს, რომ მთავარი ამოცანა დაცვაში კარგი თამაშია. ბევრი გოლი არ უნდა გავუშვათ, თორემ ჩვენი შემტევებით მეტოქის კართან მისვლა და გატანა არ უნდა გაგვიჭირდეს.

**— ნანი და ანდერსონი შენი თაობის შემცვლელებად იყიდეს. ძირითად შემადგენლობაში ადგილის დაკარგვის არ გეშინია?**

— ეს, ბუნებრივი პროცესია. გუნდი ბოლო წლებში ბევრ ახალგაზრდას ყიდულობდა, რადგან მწვრთნელი მომავალზე ფიქრობს. მე, ნევილი და სქოულზი მარადიულად ვერ ვითამაშებთ. საშუალო ასაკი უნდა შემცირებულიყო და ასეც მოხდა. „მანჩესტერი“ მუდმივად ვითარდება და ეს პროცესი არ უნდა შეწყდეს.

**— ალექს ფერგიუსონი პოზიციას ხომ არ შეგიცვლით?**

— [illegible] ბაზე. [illegible] ცენტრშიც და ფორვარდობაც შემიძლია. გამოცდილება საშუალებას მაძლევს ნებისმიერ პოზიციაზე ვითამაშო. ასე რომ, სულ ერთია ჩემთვის, მწვრთნელი სად გამამწესებს.

**— ბევრჯერ გითქვამს, რომ წაგება დიდხანს არ გავიწყდება. „მილანთან“ „სან სიროზე“ მარცხი კვლავ არ გასვენებს?**

— ძალიან გულდაწყვეტილი ვიყავი იმ მატჩის შემდეგ, მაგრამ მეტოქე ჩვენზე უფრო დასვენებული იყო და ფიზიკურად ვერ გავუძელით. თან დაცვაშიც ახალმომჯობინებული ფეხბურთელები გვყავდა, რომლებიც ფორმაში არ იყვნენ. „მილანი“ იტალიის ჩემპიონობისთვის არ იბრძოდა და მოთამაშეების დასვენების საშუალება ჰქონდა. მათ მოგება დაიმსახურეს, თუმც თანაბარ პირობებში რომ ვყოფილიყავით, სულ სხვა თამაში გამოვიდოდა.

**— ახლა რამდენად ხართ მზად ჩემპიონთა ლიგისთვის?**

— ვცდილობთ, რომ საკუთარ შეცდომებზე ვისწავლოთ. ვიმედოვნებთ, რომ ამჯერად უკეთესად გამოვალთ. ბევრი ფეხბურთელი ამიტომაც დავიმატეთ. თუ ვინმე დაშავდება, სრულფასოვანი შემცვლელი უნდა ჰყავდეს.

**— ალექს ფერგიუსონმა თქვა, რომ ამ სეზონში პრიორიტეტი ჩემპიონთა ლიგაა...**

— პირადად მე მიზნად არ ვისახავ რომელიმე კონკრეტული ჯილდოს მოგებას. ჩემთვის მთავარი ყოველ მატჩში გამარჯვებაა, მაგრამ არჩევანზე თუ მიდგა საქმე, მეც ჩემპიონთა თასს ავირჩევდი.

# ზიზინიოევიჩსაც ეპატიჟებიან

ჟოვანი დოს სანტოსი შეიძლება, მომავალში ერთი-ერთი ინგლისური გუნდის შემადგენლობაში ვიხილოთ. „ელ მუნდო დეპორტივო“ ამტკიცებს, რომ „ბარსელონას“ ახალგაზრდა ვარსკვლავის აგენტს პრემიერლიგის ჯერჯერობით უცნობი კლუბის წარმომადგენელი დაუკავშირდა და დოს სანტოსის ნისლიან ალბიონზე გადაბარგების თაობაზე მოეთათბირა.

„ბარსას“ მოიერიშე 18 წლისაა და ყოფილი ბრაზილიელი ფეხბურთელის, ზიზინიოს შვილია. კატალონიაში კი ამბობენ, რომ ჯოვანის დიდი მომავალი აქვს და ხუან ლაპორტამ იგი „ბარსელონადან“ არ უნდა გაუშვას.

ესპანურ მედიაში მექსიკელი ვარსკვლავით დაინტერესებული კლუბის სახელს არ ასახელებენ, თუმცა აღნიშნავენ, რომ საუბარია გუნდზე, რომელსაც სამწვრთნელო შტაბში ესპანური ფეხბურთის ბრწყინვალედ მცოდნე სპეციალისტი ჰყავს.

მოგეხსენებათ, „ბარსას“ შეტევაში ვარსკვლავები არ აკლია, რონალდინიოს, ტიერი ანრის, სამუელ ეტოოს და ლეო მესის ოთხეულს ესპანეთში უკვე შეარქვეს „კუატრო ფანტასტიკოს“ („ფანტასტიკური ოთხეული“) და კატალონიურ გუნდსაც წლეულს დიდი წარმატებების მოპოვებას უწინასწარმეტყველებდნენ. თუმც კამერუნელი ეტოოს მძიმე ტრავმის შემდეგ (სამ თვეზე მეტხანს ვერ ითამაშებს) ჯოვანის „ბარსელონას“ ძირითადში მოხვედრის მეტი შანსი ექნება.



ჯოვანი დოს სანტოსი

AFP

მიგელ ანხელ პორტუგალმა კი, მადრიდის „რეალს“ სპორტული დირექტორის თანაშემწემ „რადიო მარკასთან“ საუბარში აღნიშნა, თავის დროზე, „სამეფო გუნდს“ 14 წლის ჯოვანი დოს სანტოსის, ასევე ნორჩი ლეო მესისა და კრიშტიანუ რონალდუს ყიდვა თავისუფლად შეეძლო, თუმცა მაშინ „ელ გალაქტიკოს“ პოლიტიკას გამოდევნებულმა მადრიდელებმა პატარა ბიჭების შეძენა იუკადრისეს.

ჯოვანი დოს სანტოსს „ბარსასთან“ კონტრაქტი 2012 წლამდე აკავშირებს, თუმცა მისი გუნდიდან გამოსასყიდი თანხა ოდენ 30 მილიონი ევროა, რისი გადახდაც ინგლისურ გუნდებს თავისუფლად ხელეწიფებათ. ასე რომ, „ბარსა“ მექსიკელის შესანარჩუნებლად მასთან ახალი კონტრაქტის გაფორმებას და ხელშეკრულების ანულირებისთვის დაწესებული თანხის გაზრდას აპირებს.

**ლადო ხომერიკი**

ალექს ფერგიუსონმა „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელის თანამდებობაზე თავის შემცვლელად კარლუშ კეიროში დაასახელა, მაგრამ იქვე დასძინა, რომ ამას ზოგადად ამბობს, წასვლას კი არსად აპირებს. შეგახსენებთ: მანჩესტერელთა შეფი 2002 წელსაც აპირებდა თანამდებობიდან გადადგომას, მაგრამ მას მერე აგერ უკვე ხუთი წელიწადია გასული და ის კვლავ გუნდის სათავეშია

# ფერგის კარლუში და კიდევ სამი

„დაზუსტებით ჯერ არაფერი გადამიწყვეტია, მაგრამ ადრე თუ გვიან, ხომ უნდა წავიდე და მაშინ გადაწყვეტილების მიღება მეტისმეტად ძნელი იქნება.

მნიშვნელოვანი ძლიერი გუნდიდან წასვლა გახლავთ, ჩვენი დღევანდელი გუნდი კი ძალიან ძლიერია. მე დიდებული ასისტენტი მყავს, კარლუშ კეიროში, რომელიც დარწმუნებული ვარ, ჩემს ადგილას მოსვლის ერთ-ერთი უმთავრესი კანდიდატი იქნება.



AFP

საერთოდ, ჩვენ ახალი მეპატრონეები გვყავს და ნამდვილად არ ვიცი, ისინი იქ, ამერიკაში რას ფიქრობენ. არ არის გამორიცხული, მათ თავიანთი მოსაზრებები ჰქონდეთ“.

ამის შემდეგ კი „იუნაიტედის“ ლეგენდარულმა თავკაცმა დაასახელა სამი ადამიანი, რომლებიც ინგლისში, ოღონდ სხვა გუნდებში მუშაობენ.

„ალან პერდიუ, „ჩარლტონიდან“, აშკარად საინტერესო მწვრთნელია. იგივე შემიძლია ვთქვა როი კინზე, რომელსაც ჩემი შეცვლის კარგი შანსი აქვს და შედარებით უფროსებისგან სემ ალარდაისს დავასახელებდი. მისი მუშაობის სტილი სრულიად განსხვავებულია. ის უფრო სპორტულ მეცნიერებაშია ჩაღრმავებული. „ბოლტონში“ მის მხარდამხარ კიდევ 16 ადამიანი მუშაობდა. ალარდაისმა ზუსტად იცის, მისმა რომელმა ფეხბურთელმა რამდენი მეტრი გაირბინა, ამ გარბენებიდან რამდენი იყო სპრინტი და სხვა. მას სრული მონაცემი თამაშის მსვლელობისასვე აქვს ეკრანზე“.

**ბაკუნა ქედია**

# უნივერსალი სნეიდერი
## უესლის ბექამს ნურც შეადარებთ

**ესპანეთის ჩემპიონატის მეორე ტურის შემდეგ გულშემატკივართა და სპეციალისტთა ყურადღება ყველაზე მეტად მადრიდის „რეალის" ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა უესლი სრეიდერმა მიიპყრო. სნეიდერს მადრიდული „ასის" ჟურნალისტმა ამსტერდამში ჩააკითხა, სადაც ფეხბურთელი ნაკრებთან ერთად ბულგარეთთან ევროჩემპიონატის შესარჩევი მატჩისთვის ემზადება**



AFP

**ხოსე მარია გუტი და უესლი სნეიდერი: გაუმარჯოს „რეალს"!**

**— პატარა კაცი, გვარად სნეიდერი მადრიდელ ფანთა კერპად იქცა ანუ ტანმორჩილებს გაუმარჯოს?!**

— ყველაფერი კარგად მიდის. პრიმერადივიზიონში პირველი ორი მატჩი მოვიგეთ და გულშემატკივრებიც „რეალის" თამაშით კმაყოფილები არიან. ჩემპიონატი ახლახან დაიწყო, ჯერ ყველაფერი წინ არის, მაგრამ ამ დღეებში ჩემთან დაკავშირებულ სიტუაციას რაც შეეხება, უკმაყოფილო ნამდვილად ვერ ვიქნები.

**— თანამედროვე „რეალი", რომელმაც „ატლეტიკო" და „ვილიარეალი" დამაჯერებლად დაამარცხა, შესანიშნავ ფეხბურთს თამაშობს...**

— დიახ, ორი ძალიან კარგი მატჩი ჩავატარეთ. მწვრთნელის მიერ შემოთავაზებული სისტემა და თამაშის მანერა უკვე შევითვისეთ და ლამაზ, ეფექტურ ფეხბურთს ვთამაშობთ.

**— ესპანეთში ყველა თქვენსა და გუტის შთამბეჭდავ წყვილზე ლაპარაკობს...**

— „ატლეტიკოსთან" საგოლე კომბინაციისას ერთად ვიმოქმედეთ, გუტიმ პასი მომაწოდა, მე კი მიზნისთვის არ ამიცილებია და გამარჯვების გოლი გავიტანე. გენიალურია გუტის გვერდით თამაში. იგი დიდი ფეხბურთელია და მინდორზე მის მხარდამხარ ბევრი რთული რამ გიადვილდება. მიხარია, რომ გუტისთან ბურთაობის შესაძლებლობა მომეცა.

**— ხშირად ხდება, რომ კარგი ფეხბურთელები მოედანზე ერთმანეთს ჩინებულად უგებენ...**

— დიახ, ეს მართალია. მე გუტის მესმის, მას კი — ჩემი. ეფექტურ, მაგრამ მარტივ ფეხბურთს თამაშობს, თანაგუნდელი რომ არ დააბნიოს.

**— „რეალი" კი ლიდერია...**

— ჯერ ადრეა რამის თქმა, თუმც ლიდერობა ჩემპიონატის დასაწყისშიც კარგია, საკუთარი ძალების რწმენას გვმატებს. მთავარია, ცხრილში ასეთი მდგომარეობა პრიმერადივიზიონის დასასრულამდე შევინარჩუნოთ.

**— მოსამზადებელ პერიოდში ბევრს ბერნდ შუსტერის წარმატებულ მწვრთნელობაში ეჭვი ეპარებოდა, თუმცა... გერმანელმა გუნდი ასე გააძლიერა?**

— შუსტერი დიდი მწვრთნელია და, რაც მთავარია, მასთან ურთიერთობა პრობლემებს არ გვიქმნის. მშვენივრად ესმის, თითოეულ ფეხბურთელს რა უნდა და, რა სჭირდება. მწვრთნელი სულ ფეხბურთზე გველაპარაკება, მოსწონს, როცა შემტევ სტილში ვთამაშობთ და ამით სიამოვნებას ვიღებთ.

**— „ვილიარეალის" „ელ მადრიგალი" სტუმარი გუნდებისთვის, უმეტეს შემთხვევაში, აუღებელ ციხე-სიმაგრედ რჩება. თქვენ კი „ყვითლებს" ხუთი გოლი გაუტანეთ. ამ წარმატების საიდუმლოს არ გაგვიმხელთ?**

— „ვილიარეალი" ძლიერი გუნდია და მატჩის დებიუტშივე საკმაოდ ბევრი პრობლემა შეგვექმნა. შემდეგ პირველი გოლი გავიტანეთ, რასაც მეორე ტაიმში „რეალის" კარგი თამაში მოჰყვა და საბოლოოდ 5:0 მოვიგეთ. ბურთს, ძირითადად, ჩვენ ვაკონტროლებდით. ეს შესანიშნავი შედეგია და მომდევნო მატჩებშიც ასე უნდა გავისარჯოთ. „ვილიარეალთან" მატჩი უკვე უნდა დავივიწყოთ.

**— ერთი გოლი „ატლეტიკოსთან", ორიც „ვილიარეალთან". ორი მატჩის ჯამში სამი გოლი დაგიგროვდათ. ბომბარდირობას ხომ არ აპირებთ?**

— ბედი ჩემ მხარეს იყო. ორ თამაშში სამი გოლის გატანა ფანტასტიკურია, თუმც ამაზე გაჩერებას არ ვაპირებ. დარჩენილ მატჩებშიც უფრო მეტი უნდა შევძლო.

**— უამრავი ქომაგი ამბობს, რომ სნეიდერი „რეალისთვის" ახალი დევიდ ბექჰემია...**

— რომ გითხრათ, ეს ამბავი მახარებსო, მოგატყუებთ, რადგანაც სხვა ფეხბურთელებთან შედარებები არ მომწონს. ბექჰემს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს, მე ჩემი და საერთოდ, ჩვენ განსხვავებული სტილის ფეხბურთელები ვართ.

**— დღევანდელი „რეალი" ესპანეთში ახლა საუკეთესოა?**

— არ ვიცი. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ცხრილის სათავეში ვართ. თან ჩემპიონატი ახალი დაწყებულია და პროგნოზების გაკეთება ჯერ ადრეა. გავიდეს რამდენიმე ტური და მაშინაც თუ ლიდერები ვიქნებით, უკვე შეგვეძლება იმის თქმა, რომ საუკეთესონი ვართ.

**— „რეალში" თამაში გსიამოვნებთ?**

— დიახ, მოედანზე და მის გარეთ თავს შესანიშნავად ვგრძნობ. რატომ არ უნდა გავერთო? ჩემ გვერდით დიდებული ფეხბურთელები თამაშობენ. ასეთ გუნდში ყოფნა კი დიდი პატივია ჩემთვის და „რეალზეც" კარგის მეტი რა მეთქმის.

**— ამ შემადგენლობას რამდენი ჯილდოს მოგება შეუძლია?**

— რა გითხრათ, მინდა, რომ სადაც ვითამაშებთ, ყველა მოვიგოთ.

**— „ბარსელონაზე" რას გვეტყვით?**

— დიდი გუნდია, რომელსაც ძალიან კარგი ფეხბურთელები ჰყავს. „ბარსა" ლა ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბია და ჩვენი ყველაზე დიდი მეტოქე. წლეულს პრიმერადივიზიონში რთული კონკურენცია იქნება.

**— ხომ არ ფიქრობთ, რომ მსაჯები „ბარსელონას" ეხმარებიან?**

— ვამჯობინებ, მსაჯების შესახებ არ ვისაუბრო და არ ვიფიქრო იმაზე, არბიტრები „ბარსელონას" ეხმარებიან თუ არა. საერთოდ, ამის არ მჯერა. ყოველთვის ვამბობდი, რომ გრანდი გუნდები ჩემპიონატებს თავიანთი ძალებით იგებენ. მსაჯს არ შეძულია, ვინმეს ჩემპიონობა მიაკუთვნოს.

**— თქვენ უნივერსალურ ფეხბურთელად გთვლიან — მეტოქეს ბურთს ართმევთ, შეტევაში სახიფათო ხართ, თამაშს ჩინებულად კითხულობთ, ჯარიმებს ურტყამთ, კუთხურებს აწვდით...**

— კარგ ფორმაში ვარ. ვიცი, რომ თამაშის გაუმჯობესება კიდევ შემიძლია, მიუხედავად ამისა, ბედს დღესაც არ ვუჩივი. პირად მიღწევებზე წინ კი გუნდურ წარმატებას ვაყენებ. ტიტულს მხოლოდ ერთობლივი ძალებით თუ მოვიგებთ.

**— რაულზე რას ფიქრობთ? „რეალის" კაპიტანი საოცრად გამოცოცხლდა...**

— რაული ფანტასტიკური ფეხბურთელია, ყოველთვის იბრძვის. მე თუ მკითხავთ, ყოველ მატჩში უნდა ითამაშოს, რადგანაც „რეალისთვის" უმნიშვნელოვანესი მობურთალია.

**— რა არის ბერნდ შუსტერის „რეალის" მთავარი მიზანი?**

— ლოგიკურად რომ ვთქვათ, მოგება, თუმცა მოგება ეფექტურ სტილში.

**— გუნდის ლამაზი თამაში, ცხადია, ქომაგებმაც შეამჩნიეს და „სანტიაგო ბერნაბეუც" აფრთოვანებულია შუსტერის „რეალით"...**

— გეთანხმებით. ჩვენი ქომაგები წლეულს ლამაზ, შემტევ „რეალს" ნახავენ. უნდა მოვიგოთ, თუმცა, როგორც უკვე გითხარით, ამ გამარჯვებამდე შემტევი ფეხბურთით უნდა მივიდეთ. მომწონს, როდესაც მადრიდელ გულშემატკივრებს სიხარულს ვანიჭებთ.

## ჰალის ოკოჩა

**ნიგერიელი** ნახევარმცველი ჯეი-ჯეი ოკოჩა ინგლისის მეორე დივიზიონის „ჰალში" გადავიდა და ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ოკოჩამ ოთხი სეზონი (2002-2006) გაატარა „ბოლტონში", მერე კი სათამაშოდ ყატარში წავიდა. 34 წლის ნიგერიელის ევროკარიერა „აინტრახტში" დაიწყო, რასაც „ფენერბაჩე" და პსჟ მოჰყვა. მას მსოფლიოს სამ ჩემპიონატზე უთამაშია და 1996 წლის ოლიმპიური ჩემპიონია.

## მარცხენა სალომონი უიგანში

**კამერუნელი** მცველი სალომონ ოლემბე „უიგანის" ფეხბურთელი გახდა და ერთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. იგი „მარსელში" თამაშობდა და ივნისში ხელშეკრულების ვადა ამოეწურა. ოლემბე თავისუფალი აგენტი იყო და მის სანაცვლოდ „უიგანს" ფული არ გადაუხდია. 26 წლის მარცხენა მცველს ნაკრებში 60-ჯერ უთამაშია.

## დინამო ძენგას ჩააბარეს

**ბუქარესტის** „დინამოს" მწვრთნელად ვალტერ ძენგა დანიშნეს, რომელმაც ორწლიანი ხელშეკრულება გააფორმა. ამის შესახებ კლუბის პრეზიდენტმა ნიკოლაე ბადეამ გუშინ განაცხადა. ძენგას ადრე ბუქარესტის „ნაციონალში" და „სტიაუაში" უმუშავია. „დინამო" ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე რომის „ლაციოსთან" დამარცხდა და ძველი მწვრთნელი მირჩა რედნიჩიც ამიტომ მოხსნეს.

## სენეცკის ორშაბათი

**სლოვაკეთის** ნაკრების მეკარე სტეფან სენეცკი „ნიტრადან" „ანკარასფორში" გადავიდა. „თურქები კვირას დაგვიკავშირდნენ და ორშაბათს პირობებზე შევთანხმდით" — განაცხადა კლუბმა. სენეცკის დებიუტი ნაკრებში 22 აგვისტოს, საფრანგეთთან მატჩში შედგა, „ანკარასფორთან" კი ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

## ალ ჯაზირა, კალუ-კოკუ

**კოტდივუარელმა** ფორვარდმა ბონავენტურე კალუმ „ლანსთან" კონტრაქტი გაწყვიტა და კარიერას არაბულ „ალ ჯაზირაში" გააგრძელებს. იგი „ლანსმა" თვენახევრის წინ პსჟ-დან შეიძინა და სამწლიანი ხელშეკრულება გაუფორმა, მაგრამ საამიროებიდან სარფიანი წინადადება მიიღო და წასვლა გადაწყვიტა. ბონავენტურე კალუ „ალ ჯაზირაში" ჰოლანდიელ ფილიპ კოკუსთან ერთად ითამაშებს.

## კოკო გალმა დაპატიჟეს

**იტალიური** მედიის ცნობით, ფრანჩესკო კოკოს აშშ-ს მეიჯორლიგის „ნიუ ინგლენდი" ეპატიჟება. კოკოს ოდესღაც დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ვერ გაიბრწყინა. იგი ახლა 30 წლისაა და წინა სეზონი „ლივორნოში" გაატარა. მას „მილანში", „ინტერში" და „ბარსელონაში" უთამაშია.

## ყაზანში ზიდანს ელიან

**ზინედინ ზიდანი** ხვალ რუსეთში, ყაზანში ჩავა, სადაც მუსულმანური კინოს საერთაშორისო ფესტივალი „ოქროს მინბარი" გაიმართება. ფრანგი ერთი დღით დარჩება ქალაქში და თათრეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს მინტიმერ შაიმიევსაც შეხვდება. ფესტივალის ორგანიზატორებმა განაცხადეს, რომ შესაძლოა, ზიდანმა საქველმოქმედო მატჩშიც ითამაშოს.

## ანდერსონს არ შეცვლიან

**შოტლანდიის** ნაკრების მცველი რასელ ანდერსონი ტრავმის გამო ლიტვასთან და საფრანგეთთან მატჩებს გამოტოვებს. შოტლანდიელთა მწვრთნელის თანაშემწემ როი აიტკენმა განაცხადა, რომ „სანდერლენდის" ფეხბურთელის შემცვლელს არ გამოიძახებენ. ანდერსონის გარდა „დერბის" ფორვარდი კენი მილერიც ტრავმირებულია.

## მოსალოდნელი ოპერაცია

**„პალერმოს"** მცველ ჩირო კაპუანოს შესაძლოა, მხარზე ოპერაცია დასჭირდეს. იგი „ლივორნოსთან" მატჩში მეტოქესთან შეჯახებისას დაშავდა და ექიმები ახლა თავს დასტრიალებენ. თუ ოპერაციას გაუკეთებენ, გუნდს სამი თვით დააკლდება. მწვრთნელი კი იმედოვნებს, რომ ქირურგის ჩარევა საჭირო არ გახდება.

## ტრაბელსი ლე მანთან ვაჭრობს

**„აიაქსისა"** და „მანჩესტერ სიტის" ყოფილი ფეხბურთელის ჰატემ ტრაბელსის გადაბირება „ლე მანს" უნდა. 30 წლის მცველი ახლა თავისუფალი აგენტია, რადგან ამ ზაფხულს „სიტისთან" კონტრაქტი დაუსრულდა. ამჟამად ტრაბელსი ლე მანშია და იქაურ კლუბს პირობებზე ევაჭრება.

## არტური გრძელდება

**ბილეფილდის** „არმინიას" ფორვარდი არტურ ვიშნიარეკი კლუბში 2009 წლის ივნისამდე დარჩება, რადგან კონტრაქტი ერთი წლით გაახანგრძლივა. ვიშნიარეკი ბერლინის „ჰერტადან" წელიწადნახევრის წინ იყიდეს და მწვრთნელი ამ სეზონში პოლონელი თავდამსხმელით კმაყოფილია. არტურ ვიშნიარეკმა ბუნდესლიგაში ჩატარებულ ოთხ ტურში სამი გოლი გაიტანა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# საძაგელი და ძლიერი

## ეკუთვნის თუ არა მიხაელ ბალაკს დიდი ხელფასი?



ბერნდ შუსტერი

AFP

**მადრიდის** „რეალის“ გერმანელმა მწვრთნელმა ბერნდ შუსტერმა სრულიად მოულოდნელად რაფა ბენიტესსა და „ლივერპულს“ შეუტია. მან თქვა, რომ პრემიერლიგის ლიდერი „ულამაზო“ და „საძაგელ“ ფეხბურთს თამაშობს.

მეორე მხრივ, ისიც სათქმელია, რომ მადრიდელთა თავკაცმა „ლივერპულს“ მას მერე „გადაუარა“, რაც თქვა, რომ ბენიტესის ხელში ის გახდა ორიდან ერთი, „რეალისთვის“ ჩემპიონთა თასის მეათედ მოგებაში ხელის შეშლა რომ შეუძლიათ — შეგახსენებთ, რომ ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშების ფინალი 21 მაისს მოსკოვში, „ლუჟნიკებზეა“ დანიშნული.

ბერნდ შუსტერი: „ლივერპული“ ულამაზო ფეხბურთს მისდევს. მათ წინააღმდეგ თამაში საძაგლობაა. გაიხსენეთ, როგორ გამოთიშა ამ გუნდმა ლიგის გასული გათამაშებიდან „ბარსელონა“ და მიხვდებით, რომელ სტილზეც მოგახსენებთ.

ჩემპიონთა თასის აღმართვა განსაკუთრებით იმიტომ მინდა, რომ „ბარსელონაში“ ტერი ვენეიბლზის ხელმძღვანელობით თამაშის დროს, მასთან ძალიან ახლოს მივედი. 1986 წელს ჩვენ ფინალში გავედით, მაგრამ იქ ბუქარესტის „სტიაუასთან“ პენალტებით წავაგეთ. შემდეგ მადრიდის „რეალის“ შემადგენლობაში ნახევარფინალში დავმარცხდი.

ერთი სიტყვით, ლიგაში გამარჯვებას ვფიქრობ და ჩვენს მთავარ მეტოქეებად „ლივერპულსა“ და „მილანს“ მივიჩნევ. ამ ორ გუნდს ჯილდოს კვლავ და კვლავ მოგება არ ბეზრდება.

მეკითხებიან, როგორი ფეხბურთი გინდა, „რეალმა“ რომ ითამაშოსო. რომ შეიძლებოდეს, „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავდასხმასა და „ჩელსის“ დაცვას გავაერთიანებდი. აი, ეს იდეალური შერწყმა იქნებოდა“.

სხვათაშორის, მიმომხილველებმა შუსტერის სიტყვებში მისი „რეალის“ მწვრთნელობის მომავალ კანდიდატთან კამათიც დაინახეს. მოგეხსენებათ, მადრიდელები „ლივერპულში“ გადახვეწილ თანამემამულეს ამ ზაფხულს დაუკავშირდნენ და მათი გუნდის გაძღოლა სთხოვეს — გამოდის, რომ ის და შუსტერი თეორიულად და შორეულ პერსპექტივაში მაინც, ერთმანეთს თანამდებობას ეცილებიან. გერმანელმა „სამეფო გუნდში“ ჯერჯერობით კარგად დაიწყო, მაგრამ მოეხსენება, რომ ფეხი თუ დაუცდება, ზურგსუკნიდან მყისვე გაიგონებს ბენიტესის სახელს. მეორე მხრივ კი, გერმანელმა სატრანსფერო სეზონზე ისეთი ფეხბურთელები დაიმატა, რომელთა ძველებთან შერწყმა „რეალს“ ჩემპიონთა თასის მეათე გამარჯვებაზე რეალური ფიქრის ნებას მისცემს.

„მანჩესტერისგან“ ჰაინცეს ყიდვამ მხრიდან ტვირთი მომხსნა. ზუსტად ამ ტიპის ფეხბურთელი მჭირდებოდა. ის აგრესიულია, დაცვაში მჭიდროდ თამაშობს და ცაციაა.

რაც შეეხება არიენ რობენს, „ჩელსიმ“ მისი ყიდვის წინა პერიოდი ისე დგვიხლართა, რომ ფეხბურთელი სეზონისთვის ხეირიანად ვერ მოემზადა. ის, რომ მას ძალიან უნდა „რეალის“ შემადგენლობაში მალე ითამაშოს, მთავარი არ არის. მთავარია, რომ რობენი ახლა ნაკრებში წავა, იქაც კარგად ივარჯიშებს და სექტემბრის ბოლოსკენ მზად იქნება.

გვინდოდა, „ჩელსისგან“ მიხაელ ბალაკიც გვეყიდა, მაგრამ პრობლემა მისმა აგენტმა შეგვიქმნა. აგენტი დარწმუნებული იყო, რომ ბალაკს პირველხარისხოვანი ვარსკვლავის გასამრჯელო ერგებოდა. „ჩელსი“ რომ მას დიდძალ ხელფასს უხდის ნორმალურია, რადგან ის „ბაიერნიდან“ ლონდონში თავისუფალი აგენტის სტატუსით წავიდა, სხვა სიტყვებით კი, ლონდონელებს მის ყიდვაში კაპიკი არ გადაუხდიათ, ჩვენთან კი სხვა სიტუაციაა. მერედა, თავად აგენტი ითხოვდა მილიონ გირვანქას, რამაც გერმანელის ყიდვა შეუძლებელი გახადა“.

**ბაბუნა ძიდია**

# ვალდანოს არ ესმის: რას ერჩით მესის?!

**არგენტინელმა** ხორხე ვალდანომ პატაგონიელთა დღევანდელ ვარსკვლავზე ლეო მესიზე ისაუბრა. ეს ორნი სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები არიან, ხორხე ვალდანო მადრიდის „რეალის“ ექსმწვრთნელი და საერთოდ, „სამეფო გუნდის“ ისტორიაში ერთ-ერთი გამორჩეული პიროვნებაა, ხოლო ლიონელ მესი მადრიდელთა მარადიული მეტოქის „ბარსელონას“ ფეხბურთელია. თუმცა ცხადია, თანამემამულეებს ერთმანეთზე გული შესტკივათ.

„ლეოს ხშირად მარადონას ადარებენ, რაც დარწმუნებული ვარ, ახალგაზრდა კაცს მეტად ძაბავს. ასეთ დიდ ფეხბურთელთან დატოლება მესისთვის კარგი არაა, მაგრამ, საბედნიეროდ, ლეო ჭკვიანი ბიჭია და ზედმეტ ქება-დიდებას ყურადღებას ნაკლებად აქცევს“ — განაცხადა ვალდანომ.

შემდეგ ძველმა მადრიდელმა „რადიო აქტუალთან“ ინტერვიუში თანამედროვე ფეხბურთში ტექნიკურად დახვეწილი ოსტატების ნელ-ნელა გაუჩინარებაზეც დაიჩივლა.



AFP

ლეო მესი

„დღევანდელი ფეხბურთი სულ უფრო და უფრო ძალისმიერი ხდება. ფიზიკურ მომზადებას უდიდესი ყურადღება ეთმობა, ტაქტიკურს კი — ძალიან ნაკლები. სამწუხაროა, რომ ფეხბურთი ტექნიკურ ოსტატებზე უარს ამბობს“.

**ლადო ხომერიკი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

სერხიო რამოსი ამიტომ გააყვითლეს

AFP

# როცა სიკვდილთან კანონიც ფარსია

## სერხიო რამოსს ბარათი გაუუქმეს

**ესპანეთის** ჩემპიონატის სადისციპლინო კომიტეტმა „რეალის“ მცველ სერხიო რამოსს პრიმერადივიზიონის მეორე ტურში „ვილიარეალთან“ მიღებული ყვითელი ბარათი გაუუქმა. სერხიო მსაჯმა, მედინა კანტალეხომ, „სამეფო თეთრების“ მიერ ერთ-ერთი გატანილი გოლის შემდეგ დააჯარიმა, როდესაც ფეხბურთელმა მაისურა გაიძრო. შიდა მაისურაზე კი ყოფილი თანაგუნდელის, სევილიელი ანტონიო პუერტას ხსოვნისადმი მიძღვნილი სიტყვები ეწერა.

სხვა შემთხვევაში, ესპანეთში არბიტრ კანტალეხოს გადაწყვეტილებას ძალაში დატოვებდნენ, თუმცა კომიტეტმა იმსჯელა და დაადგინა, რომ საქმე განსაკუთრებულ შემთხვევასთან ჰქონდათ და შეეძლოთ, კანონებიდან მცირედით გადაეხვიათ.

„სერხიო რამოსისთვის ყვითელი ბარათის გაუქმება მადრიდის „რეალისადმი“ ჩვენს სიმპათიას არ ნიშნავს. უბრალოდ, მოთამაშის ქმედება უშუალოდ ფეხბურთისა და სევილიაში მომხდარ ტრაგედიასთან იყო დაკავშირებული, რაც შესაბამისად გავიგეთ. სხვა შემთხვევაში, რამოსს ჯარიმას დავუტოვებდით“ — განაცხადა მედიასთან კომიტეტის წარმომადგენელმა.

ექსსევილიელი სერხიო რამოსი სასიამოვნო ცნობამ ძალიან გაახარა. „გასაგებია, მაშინ ყვითელი ბარათი რატომაც მივიღე, თუმცა, მადლობელი ვარ მისი გაუქმებისთვის“ — თქვა „რეალის“ ფეხბურთელმა.

თავის მხრივ, მსაჯმა მედინა კანტალეხომ „კადენა სერთან“ ინტერვიუში ახსნა, რატომ გადაწყვიტა რამოსის დაჯარიმება: „ანტონიო პუერტას ბავშვობიდანვე ვიცნობდი, როცა ეს ახალგაზრდა ფეხბურთის თამაშს იწყებდა. რატომ დავაჯარიმე რამოსი? ამაზე მარტივად შემიძლია გიპასუხოთ — მხოლოდ იმისთვის, რომ რეგლამენტის წესები დამეცვა. ყვითელი ბარათი იმიტომ არ ამომიღია, რომ სერხიო რამოსმა ხალხს პუერტას ხსოვნისადმი მიძღვნილი წარწერა აჩვენა, არამედ, მაისურის გახდის გამო, რაც რეგლამენტით ყოველთვის ისჯება. მერე გაზეთებმა დაწერეს, ანტონიოს სიკვდილს მედინა კანტალეხოს გარდა, მთელი ესპანეთი გლოვობდაო. ეს ყველაფერი სისულელეა, პუერტას უბედურება მეც ძალიან განვიცადე, უბრალოდ, მსაჯი ვარ და მოედანზე ჩემი მოვალეობა შევასრულე“.

**ლადო ხომერიკი**

## ნაზაიცარს შჩასნი უშველის

**„ბოლესლავის“** მწვრთნელი ლუდეკ ზაიცი მოხსნეს და მის ნაცვლად ზდენეკ შჩასნი დანიშნეს. გუნდს წინა სეზონში თბილისის „დინამოს“ მწვრთნელის, დუშან უჰრინის ვაჟი პაველი თავკაცობდა და მესამე ადგილზე გავიდა, ეს სეზონი კი ზაიცის ხელმძღვანელობით დაიწყო. „ბოლესლავმა“ ოთხ ტურში მხოლოდ ერთი მატჩი მოიგო და ამიტომაც გაათავისუფლეს მწვრთნელი. 50 წლის ზდენეკ შჩასნის „სპარტაში“, „ვიქტორიაში“, ბერძნულ ოფი-ში და „პანათინაიკოსში“ უმუშავია. „ბოლესლავი“ უეფას თასზე „პალერმოს“ ხვდება.

## სანტუშის პაოკ-ი

**„ბენფიკადან“** გათავისუფლებული ფერნანდუ სანტუში პაოკ-ის მწვრთნელი გახდა. 52 წლის პორტუგალიელი ამ დღეებში ბერძნულ კლუბთან სამწლიან კონტრაქტს გააფორმებს. სანტუში ლისაბონელებმა 20 აგვისტოს დაითხოვეს „ლეიშოეშთან“ ფრის შემდეგ. „ბენფიკამდე“ იგი „პორტუში“, აეკ-ში, „პანათინაიკოსში“ და „სპორტინგში“ მუშაობდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. I ლიგა | | | | | | |
| | | 7 სექტემბერი | | | | | | |
| 23:45 | 3 | ბრაიტონი-მილუოლი | 2.15 | 3.20 | 2.80 | 1.28 | 1.21 | 1.49 |
| 22:45 | 6 | ჩელტენჰემი-სუონსი | 2.60 | 3.20 | 2.40 | 1.43 | 1.24 | 1.37 |
| 22:45 | 11 | ნორთჰემპტონი-დონკასტერი | 2.50 | 3.20 | 2.40 | 1.40 | 1.22 | 1.37 |
| | | 8 სექტემბერი | | | | | | |
| 16:00 | 4 | უოლსოლი-პორტ ვეილი | 2.10 | 3.20 | 2.90 | 1.26 | 1.21 | 1.52 |
| 18:00 | 5 | კარლაილი-ტრანმერი | 1.95 | 3.20 | 3.20 | 1.21 | 1.21 | 1.60 |
| 18:00 | 7 | ქრიუ-ჰადერსფილდი | 2.35 | 3.20 | 2.50 | 1.35 | 1.21 | 1.40 |
| 18:00 | 8 | ლიდსი-ჰარტლპული | 1.60 | 3.30 | 4.45 | 1.07 | 1.17 | 1.89 |
| 18:00 | 9 | ლეიტონი-ბორნმუთი | 1.65 | 3.30 | 4.20 | 1.10 | 1.18 | 1.84 |
| 15:00 | 10 | ლუტონი-როვერსი | 1.70 | 3.30 | 4.15 | 1.12 | 1.20 | 1.83 |
| | | 9 სექტემბერი | | | | | | |
| 19:00 | 13 | სუინდონი-იოვილი | 2.20 | 3.20 | 2.70 | 1.30 | 1.21 | 1.46 |
| | | ინგლისი. II ლიგა | | | | | | |
| | | 7 სექტემბერი | | | | | | |
| 22:45 | 17 | ჩესტერი-მორიკომბი | 1.60 | 3.40 | 4.30 | 1.08 | 1.16 | 1.89 |
| 22:30 | 18 | ჩესტერფილდი-ბერი | 1.50 | 3.50 | 4.90 | 1.04 | 1.14 | 2.04 |
| 22:45 | 21 | ლინკოლნი-ბრედფორდი | 2.20 | 3.20 | 2.80 | 1.30 | 1.23 | 1.49 |
| 22:45 | 22 | დონსი-ნოტსი | 1.60 | 3.40 | 4.60 | 1.08 | 1.18 | 1.95 |
| | | 8 სექტემბერი | | | | | | |
| 16:00 | 14 | როტერჰემი-დარლინგტონი | 2.20 | 3.20 | 2.70 | 1.30 | 1.21 | 1.46 |
| 18:00 | 15 | სტოკპორტი-შრიუსბერი | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| 18:00 | 16 | აკრინგტონი-გრიმსბი | 2.30 | 3.20 | 2.60 | 1.33 | 1.22 | 1.43 |
| 15:15 | 19 | დაგ ენდ რედი-ბარნეტი | 2.05 | 3.15 | 3.05 | 1.24 | 1.22 | 1.54 |
| 18:00 | 20 | ჰერეფორდი-მაკლსფილდი | 1.80 | 3.20 | 3.80 | 1.15 | 1.22 | 1.73 |
| | | 9 სექტემბერი | | | | | | |
| 17:00 | 23 | პიტერბრო-მენსფილდი | 1.45 | 3.50 | 5.80 | 1.02 | 1.15 | 2.18 |
| 16:30 | 25 | უიკომბი-ბრენტფორდი | 2.10 | 3.20 | 2.90 | 1.26 | 1.21 | 1.52 |
| | | ინგლისი. კონფერენსი | | | | | | |
| | | 6 სექტემბერი | | | | | | |
| 22:45 | 26 | სტ.რეინჯერსი-ჰალიფაქსი | 2.45 | 3.30 | 2.40 | 1.40 | 1.21 | 1.38 |
| | | იტალია. სერია B | | | | | | |
| | | 7 სექტემბერი | | | | | | |
| 23:00 | 82 | ასკოლი-რიმინი | 2.20 | 2.80 | 3.20 | 1.23 | 1.30 | 1.49 |
| | | 9 სექტემბერი | | | | | | |
| 17:00 | 80 | ტრიესტინა-ლეჩე | 2.65 | 2.70 | 2.65 | 1.33 | 1.32 | 1.33 |
| 17:00 | 81 | ალბინოლეფე-გროსეტო | 1.75 | 2.90 | 4.65 | 1.09 | 1.27 | 1.78 |
| 17:00 | 83 | ბარი-ვიჩენცა | 2.05 | 2.70 | 3.70 | 1.16 | 1.31 | 1.56 |
| 22:30 | 84 | ბოლონია-რავენა | 1.50 | 3.20 | 6.50 | 1.02 | 1.21 | 2.14 |
| 17:00 | 85 | ბრეშა-პიაჩენცა | 1.50 | 3.20 | 6.50 | 1.02 | 1.21 | 2.14 |
| 17:00 | 86 | ჩეზენა-პიზა | 1.90 | 2.80 | 4.00 | 1.13 | 1.28 | 1.64 |
| 17:00 | 87 | ფროზინონე-აველინო | 1.80 | 2.80 | 4.70 | 1.09 | 1.30 | 1.75 |
| 17:00 | 88 | მანტოვა-მესინა | 2.00 | 2.80 | 3.70 | 1.16 | 1.29 | 1.59 |
| 17:00 | 89 | მოდენა-სპეცია | 1.50 | 3.10 | 7.00 | 1.01 | 1.23 | 2.14 |
| 17:00 | 90 | ტრევიზო-კივო | 2.65 | 2.70 | 2.65 | 1.33 | 1.32 | 1.33 |
| | | ესპანეთი. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 8 სექტემბერი | | | | | | |
| 20:30 | 109 | სელტა-ეიბარი | 1.55 | 3.40 | 5.10 | 1.06 | 1.18 | 2.03 |
| 20:30 | 115 | სიუდადი-ტენერიფე | 2.30 | 3.00 | 2.75 | 1.30 | 1.25 | 1.43 |
| 20:30 | 118 | მალაგა -კორდობა | 1.55 | 3.50 | 5.00 | 1.07 | 1.18 | 2.05 |
| 20:30 | 119 | ტარაგონა-კასტელონი | 1.85 | 3.10 | 3.80 | 1.15 | 1.24 | 1.70 |
| | | 9 სექტემბერი | | | | | | |
| 21:00 | 110 | სოსიედადი-ეხიდო | 1.45 | 3.50 | 6.30 | 1.02 | 1.17 | 2.25 |
| 20:00 | 111 | ფეროლი-ლას პალმასი | 1.80 | 3.10 | 4.00 | 1.13 | 1.24 | 1.74 |
| 19:30 | 112 | სპორტინგი-ელჩე | 2.05 | 3.00 | 3.30 | 1.21 | 1.26 | 1.57 |
| 20:00 | 113 | ნუმანსია-სერესი | 1.80 | 3.10 | 3.90 | 1.13 | 1.23 | 1.72 |
| 21:00 | 114 | ჰერკულესი-ალბასეტე | 2.05 | 3.00 | 3.30 | 1.21 | 1.26 | 1.57 |
| 22:30 | 116 | კადისი-სალამანკა | 1.60 | 3.20 | 5.00 | 1.06 | 1.21 | 1.95 |
| 13:30 | 117 | სევილია ატლ-ალავესი | 1.80 | 3.10 | 4.00 | 1.13 | 1.24 | 1.74 |
| | | ჰოლანდია. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 7 სექტემბერი | | | | | | |
| 22:00 | 130 | ვეენდამი-ეინდჰოვენი | 1.60 | 3.30 | 4.30 | 1.07 | 1.16 | 1.86 |
| 22:00 | 131 | კამბური-ვოლენდამი | 2.70 | 3.20 | 2.20 | 1.46 | 1.21 | 1.30 |
| 22:00 | 132 | ტელსტარი-დორდრეხტი | 2.10 | 3.10 | 2.85 | 1.25 | 1.20 | 1.48 |
| 22:00 | 133 | ჰელმონდი-ჰაარლემი | 1.60 | 3.20 | 4.30 | 1.06 | 1.16 | 1.83 |
| 22:00 | 134 | მაასტრიხტი-სიტარდი | 1.70 | 3.20 | 4.00 | 1.11 | 1.19 | 1.77 |
| 22:00 | 135 | ზვოლე-დენ ბოსხი | 3.10 | 3.20 | 2.00 | 1.57 | 1.21 | 1.23 |
| 22:00 | 137 | დენ ჰააგი-ემენი | 1.60 | 3.20 | 4.50 | 1.06 | 1.18 | 1.87 |
| 22:00 | 138 | როზენდალი-იგლზი | 1.65 | 3.20 | 4.30 | 1.08 | 1.19 | 1.83 |
| 22:00 | 139 | ომნივორდი-ოსი | 2.05 | 3.10 | 3.00 | 1.23 | 1.21 | 1.52 |
| | | შვედეთი. სუპერეტა | | | | | | |
| | | 6 სექტემბერი | | | | | | |
| 21:00 | 225 | სირიუსი-ჰეკენი | 2.50 | 3.20 | 2.40 | 1.40 | 1.22 | 1.37 |
| | | ირლანდია | | | | | | |
| | | 7 სექტემბერი | | | | | | |
| 22:45 | 172 | უოტერფორდი-ბრეი | 2.15 | 3.00 | 2.90 | 1.25 | 1.23 | 1.47 |
| 22:45 | 173 | გალვეი-დროგედა | 3.85 | 3.20 | 1.75 | 1.74 | 1.20 | 1.13 |
| 22:45 | 174 | დერი-სტ.პატრიკსი | 2.05 | 3.20 | 2.90 | 1.24 | 1.20 | 1.52 |
| 23:00 | 175 | ლონგფორდი-სლიგო | 2.15 | 3.20 | 2.70 | 1.28 | 1.19 | 1.46 |
| | | აშშ | | | | | | |
| | | 6 სექტემბერი | | | | | | |
| 23:45 | 176 | ჩივასი-ვაშინგტონი | 2.25 | 3.10 | 2.65 | 1.30 | 1.21 | 1.42 |
| | | 8 სექტემბერი | | | | | | |
| 23:45 | 177 | ლოს ანჯელესი-კოლორადო | 2.15 | 3.10 | 2.85 | 1.26 | 1.22 | 1.48 |
| 23:45 | 178 | კოლამბუსი-ჩიკაგო | 2.00 | 3.10 | 3.10 | 1.21 | 1.21 | 1.54 |
| 23:45 | 179 | ჰიუსტონი-სოლტ ლეიკი | 1.40 | 3.50 | 6.20 | 1.00 | 1.14 | 2.23 |
| 23:45 | 180 | დალასი-ტორონტო | 1.45 | 3.50 | 5.75 | 1.02 | 1.15 | 2.17 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 9 სექტემბერი | | | | | | |
| 23:45 | 182 | ჩივასი-ნიუ იორკი | 2.00 | 3.20 | 3.15 | 1.23 | 1.22 | 1.58 |
| | | ბრაზილია | | | | | | |
| | | 6 სექტემბერი | | | | | | |
| 23:45 | 199 | ბოტაფოგო-პალმეირასი | 1.80 | 3.10 | 3.70 | 1.13 | 1.21 | 1.68 |
| 23:45 | 200 | პარანა-ნაუტიკო | 1.60 | 3.30 | 4.60 | 1.07 | 1.18 | 1.92 |
| 23:45 | 201 | სპორტ რესიფი-ფლუმინენსე | 1.90 | 3.20 | 3.20 | 1.19 | 1.19 | 1.60 |
| | | ევრ 2009 შესარჩევი მატჩები( 21) | | | | | | |
| | | 7 სექტემბერი | | | | | | |
| 18:00 | 370 | ჩერნოგორია21-ინგლისი21 | 6.70 | 3.60 | 1.37 | 2.34 | 1.13 | 1.00 |
| 18:00 | 371 | სან მარინო21-უნგრეთი21 | 16.00 | 7.50 | 1.04 | 5.10 | 1.00 | 1.00 |
| 18:00 | 372 | ისრაელი21-ლუქსემბურგი21 | 1.05 | 7.50 | 15.00 | 1.00 | 1.00 | 5.00 |
| 19:00 | 373 | რუსეთი21-პოლონეთი21 | 1.75 | 3.10 | 3.80 | 1.11 | 1.19 | 1.70 |
| 20:15 | 374 | დანია21-ლიტვა21 | 1.20 | 4.60 | 8.50 | 1.00 | 1.05 | 2.98 |
| 21:00 | 375 | სლოვაკეთი21-ისლანდია21 | 1.38 | 3.70 | 6.50 | 1.00 | 1.13 | 2.35 |
| 21:00 | 376 | საფრანგეთი21-უელსი21 | 1.13 | 5.50 | 11.00 | 1.00 | 1.02 | 3.66 |
| 21:30 | 377 | ბელგია21-ავსტრია21 | 1.75 | 3.20 | 3.70 | 1.13 | 1.18 | 1.71 |
| 22:00 | 378 | ნორვეგია21-ჰოლანდია21 | 2.90 | 3.10 | 2.05 | 1.49 | 1.20 | 1.23 |
| 22:30 | 379 | ირლანდია21-პორტუგალია21 | 3.30 | 3.20 | 1.85 | 1.62 | 1.18 | 1.17 |
| 22:30 | 380 | ჩრდ.ირლანდია21-გერმანია21 | 7.50 | 4.20 | 1.28 | 2.69 | 1.09 | 1.00 |
| 23:00 | 381 | იტალია21-ფარერები21 | 1.01 | 10.00 | 25.00 | 1.00 | 1.00 | 7.14 |
| | | 8 სექტემბერი | | | | | | |
| 16:00 | 382 | სომხეთი21-ჩეხეთი21 | 9.00 | 5.00 | 1.18 | 3.21 | 1.04 | 1.00 |
| 17:00 | 383 | ალბანეთი21-ხორვატია21 | 4.50 | 3.30 | 1.60 | 1.90 | 1.18 | 1.07 |
| 17:00 | 384 | აზერბაიჯანი21-საბერძნეთი21 | 7.50 | 4.30 | 1.28 | 2.73 | 1.09 | 1.00 |
| 18:00 | 385 | ფინეთი21-შოტლანდია21 | 2.45 | 3.00 | 2.40 | 1.34 | 1.21 | 1.33 |
| 18:00 | 386 | სერბეთი21-ბელარუსი21 | 1.50 | 3.40 | 5.30 | 1.04 | 1.16 | 2.07 |
| 19:00 | 387 | ლიხტენშტეინი21-თურქეთი21 | 15.00 | 6.50 | 1.06 | 4.53 | 1.00 | 1.00 |
| 19:30 | 388 | შვეიცარია21-მაკედონია21 | 1.17 | 5.10 | 9.00 | 1.00 | 1.03 | 3.25 |
| 22:00 | 389 | ბოსნია ჰერცოგოვინა21-მალტა21 | 1.17 | 5.10 | 9.50 | 1.00 | 1.04 | 3.31 |
| | | ევრ.2008 შესარჩევი მატჩები | | | | | | |
| | | 8 სექტემბერი | | | | | | |
| 22:15 | 231 | სან მარინო-ჩეხეთი | 40.00 | 10.00 | 1.01 | 8.00 | 1.00 | 1.00 |
| 18:00 | 233 | შოტლანდია-ლიტვა | 1.22 | 4.40 | 10.00 | 1.00 | 1.08 | 3.05 |
| 18:00 | 234 | შოტლანდია-ლიტვა 0:1 | 1.65 | 3.40 | 3.20 | | | |
| 18:00 | 235 | უნგრეთი-ბოსნია ჰერცოგოვინა | 2.05 | 3.20 | 2.95 | 1.24 | 1.20 | 1.53 |
| 21:30 | 236 | მალტა-თურქეთი | 14.00 | 6.00 | 1.11 | 4.19 | 1.02 | 1.00 |
| 20:15 | 238 | ლატვია-ჩრდ.ირლანდია | 3.20 | 3.10 | 1.95 | 1.57 | 1.21 | 1.19 |
| 23:45 | 239 | ისლანდია-ესპანეთი | 9.00 | 4.50 | 1.22 | 3.00 | 1.07 | 1.00 |
| 23:45 | 240 | ისლანდია-ესპანეთი 1:0 | 3.30 | 3.80 | 1.60 | | | |
| 19:00 | 241 | რუსეთი-მაკედონია | 1.15 | 5.80 | 10.00 | 1.00 | 1.03 | 3.67 |
| 19:00 | 243 | ლუქსემბურგი-სლოვენია | 10.00 | 5.20 | 1.18 | 3.42 | 1.05 | 1.00 |
| 20:00 | 245 | ინგლისი-ისრაელი | 1.20 | 4.50 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.10 |
| 20:00 | 246 | ინგლისი-ისრაელი 0:1 | 1.65 | 3.60 | 3.00 | | | |
| 19:00 | 247 | ბელარუსი-რუმინეთი | 5.80 | 3.50 | 1.50 | 2.18 | 1.19 | 1.04 |
| 19:00 | 248 | ბელარუსი-რუმინეთი 1:0 | 2.25 | 3.30 | 2.25 | | | |
| 22:00 | 249 | მოლდოვა-ნორვეგია | 8.00 | 4.20 | 1.28 | 2.75 | 1.10 | 1.00 |
| 22:00 | 250 | მოლდოვა-ნორვეგია 1:0 | 2.80 | 3.50 | 1.65 | | | |
| 22:15 | 251 | სერბეთი-ფინეთი | 1.32 | 3.80 | 8.00 | 1.00 | 1.13 | 2.57 |
| 22:30 | 252 | უელსი-გერმანია | 7.50 | 3.70 | 1.32 | 2.47 | 1.12 | 1.00 |
| 22:30 | 253 | უელსი-გერმანია 1:0 | 2.60 | 3.40 | 1.85 | | | |
| 22:30 | 254 | სლოვაკეთი-ირლანდია | 2.40 | 3.10 | 2.60 | 1.35 | 1.24 | 1.41 |
| 22:30 | 255 | ხორვატია-ესტონეთი | 1.12 | 6.00 | 12.00 | 1.00 | 1.02 | 4.00 |
| 22:30 | 257 | შვედეთი-დანია | 1.95 | 3.10 | 3.20 | 1.19 | 1.21 | 1.57 |
| 22:30 | 258 | ჰოლანდია-ბულგარეთი | 1.30 | 3.80 | 7.70 | 1.00 | 1.11 | 2.54 |
| 22:30 | 259 | ჰოლანდია-ბულგარეთი 0:1 | 1.95 | 3.30 | 2.55 | | | |
| 22:50 | 260 | იტალია-საფრანგეთი | 2.10 | 3.00 | 3.20 | 1.23 | 1.26 | 1.54 |
| 23:45 | 261 | პორტუგალია-პოლონეთი | 1.38 | 3.60 | 8.00 | 1.00 | 1.17 | 2.48 |
| 23:45 | 262 | პორტუგალია-პოლონეთი 0:1 | 2.05 | 3.30 | 2.50 | | | |
| | | სამხრეთ ამერიკის თასი | | | | | | |
| | | 6 სექტემბერი | | | | | | |
| 23:45 | 334 | სან ლორენსო-არსენალი | 1.40 | 3.70 | 5.40 | 1.01 | 1.11 | 2.19 |
| | | მსოფლიო ჩემპიონატი 17 სამხ კორეა | | | | | | |
| | | 6 სექტემბერი | | | | | | |
| 14:00 | 367 | ნიგერია17-გერმანია17 | 2.05 | 3.10 | 3.00 | 1.23 | 1.21 | 1.52 |
| | | ჰოკეი. რუსეთი | | | | | | |
| | | 6 სექტემბერი | | | | | | |
| 12:00 | 390 | ამური-ნეფტეხიმიკი | 2.20 | 4.00 | 1.90 | 1.41 | 1.01 | 1.28 |
| 15:00 | 391 | ნოვოკუზნეცკი-ლოკომოტივი ი | 3.20 | 4.20 | 1.35 | 1.81 | 1.00 | 1.02 |
| 16:00 | 392 | ავანგარდი-მვდ | 1.25 | 4.50 | 3.80 | 1.00 | 1.00 | 2.06 |
| 16:00 | 393 | სიბირი-სევერსტალი | 1.60 | 4.30 | 2.40 | 1.16 | 1.00 | 1.54 |
| 17:00 | 394 | მაგნიტოგორსკი-აკ | 1.45 | 4.30 | 3.20 | 1.08 | 1.00 | 1.83 |
| 17:00 | 395 | ს.იულაევი-ტორპედო ნ | 1.07 | 5.00 | 7.00 | 1.00 | 1.00 | 2.91 |
| 17:00 | 396 | ტრაქტორი-ხიმიკი | 2.30 | 4.20 | 1.80 | 1.48 | 1.00 | 1.25 |
| 17:30 | 397 | ლადა-ცსკა | 2.10 | 4.00 | 2.00 | 1.37 | 1.02 | 1.33 |
| 19:00 | 398 | ვიტიაზი-აკ ბარსი | 3.20 | 4.20 | 1.35 | 1.81 | 1.00 | 1.02 |
| 19:00 | 399 | სპარტაკი მ-დინამო | 3.00 | 4.20 | 1.45 | 1.75 | 1.00 | 1.07 |
| | | ჰოკეი. გერმანია | | | | | | |
| | | 6 სექტემბერი | | | | | | |
| 21:30 | 273 | კიოლნი-ჰამბურგი | 1.70 | 4.00 | 2.50 | 1.19 | 1.01 | 1.53 |
| | | 7 სექტემბერი | | | | | | |
| 21:30 | 274 | დიუსელდორფი-მანჰაიმი | 1.95 | 4.00 | 2.20 | 1.31 | 1.03 | 1.41 |
| 21:30 | 275 | ინგოლშტადი-აუგსბურგი | 1.30 | 4.30 | 4.00 | 1.00 | 1.00 | 2.07 |
| 21:30 | 276 | ჰანოვერი-ფრანკფურტი | 1.80 | 4.00 | 2.30 | 1.24 | 1.00 | 1.46 |
| 21:30 | 277 | ნიურნბერგი-დუისბურგი | 1.20 | 4.60 | 5.00 | 1.00 | 1.00 | 2.39 |
| 21:30 | 278 | სტრაუბინგი-იზერლონი | 1.95 | 4.00 | 2.20 | 1.31 | 1.03 | 1.41 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

# ტაილანდში ჩინური საქმე უნდა გაკეთდეს

## ერთი ყველასთვის!


ვანო გრიქუროვი


გიორგი ასანიძე

**17-26 სექტემბერს ტაილანდურ ჩანგ-მაი ძალოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. სეზონის უმთავრესი ტურნირისთვის მოსამზადებელ ციკლს საქართველოს ნაკრები თბილისში ასრულებს. ვანო გრიქუროვის გუნდი მესამე კვირაა, გლდანის ოლიმპიური რეზერვების ცენტრშია შეკრებილი. ვარჯიშები 14 სექტემბრამდე გასტანს, მერე კი ხუთი ან ექვსი ძალოსნით დაკომპლექტებული ნაკრები ჩინეთს მიაშურებს. წინასწარ განსაზღვრულ ექვსკაციან განაცხადს შესაძლოა, გია მაჭავარიანი (105 კგ) გამოაკლდეს. ახლახან საქართველოს ჩემპიონატზე მიღებული ტრავმის გამო იგი ინდივიდუალურად ემზადება**

**ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜ** ხუთეულს — ზვიად სამუკაშვილს (56 კგ), გიორგი ასანიძეს, რაულ ცირეკიძეს (ორივე 85 კგ), არსენ კასაბიევსა (94 კგ) და ალბერტ კუზილოვს (105 კგ) მთავარი მწვრთნელი დღეში ორჯერ ავარჯიშებს. მოსამზადებელ ციკლზე, შეგირდების ფორმასა და შანსებზე გრიქუროვმა გუშინ, დილის ვარჯიშის შემდეგ მოგვითხრო.

„მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადება თებერვალში, ორი პოლონური შეკრებით დავიწყეთ. მერე ცოტა ხნით თბილისში ჩამოვედით და ზაფხულის დასაწყისში ისევ პოლონეთში გავემგზავრეთ. იქედან 26 ივლისს დავბრუნდით და ორი ოცდახუთდღიანი გლდანური შეკრება დავგეგმეთ. დასკვნითი ნაწილი 19 აგვისტოს დავიწყეთ. ამ პერიოდში რამდენიმე პატარა ტურნირზეც გამოვედით, ბოლო რეპეტიცია კი საქართველოს ჩემპიონატი იყო.

...მომავალ მსოფლიოს პირველობაზე პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიები თამაშდება. მთავარი საზომი გუნდური ქულები იქნება და აქედან გამომდინარე, ჩვენც მთავარ აქცენტს სწორედ გუნდურ შედეგზე გავაკეთებთ. რისკს მაქსიმალურად მოვერიდებით და ინდივიდუალურ მედლებზეც ნაკლებად ვიფიქრებთ. მთლიანობაში ნაკრები საკმაოდ კარგ ფორმაშია. ერთადერთი, რაც მაფიქრებს, ტრავმიანობაა. ამ მიზეზით, მოსამზადებელი ეტაპის სრულყოფილად გავლა ვერც ერთმა ძალოსანმა ვერ შეძლო.

...ზვიად სამუკაშვილმა გასული წლის 13 დეკემბერს ურთულესი ოპერაცია გაიკეთა. მას მხარში ოთხი პლატინის იმპლანტი ჩაუყენეს. ვითარება ისე მძიმე იყო, თითქმის არავის აღარ სჯეროდა, საერთოდ თუ შეძლებდა შტანგის აწევას, მაგრამ ოპერაციამ საოცარი შედეგი გამოიღო და ზვიადი ექვს თვეში ვარჯიშს შეუდგა. სულ რაღაც სამი თვეა, რაც შემოგვიერთდა, მაგრამ უკვე თავის საუკეთესო შედეგებს ეჭიდება. იმედია, პირველ გუნდურ ქულებს ის მოიპოვებს.

...გიორგი ასანიძეზე ჯერ კიდევ წლის დასაწყისში ვთქვი, რომ ისეთ კარგ ფორმაში ათენის ოლიმპიადის მოსამზადებელი ეტაპისასაც არ ყოფილა. ახლაც იგივე აზრზე ვრჩები. ოღონდ ამ ორ ციკლს შორის ერთი დიდი განსხვავებაა — მაშინ უკან დასახევი გზა მოჭრილი გვქონდა და საოცარი ტემპით ვმუშაობდით, რისკს არ ვერიდებოდით, ახლა კი არ ღირს. ჯობს, ნელ-ნელა მივყვეთ და ერთიანი საქმე მშვიდად გავაკეთოთ. გიორგიმ გაზაფხულზე ნაკრებთან ერთად ორი შეკრება გაიარა, მაგრამ მერე თავის საქმეებზე გადართვა მოუწია, რამაც მისი მსოფლიოს შანსები ძალიან შეამცირა. თბილისში დაბრუნებულს არც ერთი ვარჯიში არ გაუცდენია, თუმცა გუნდთან ერთად რომ არ იყო, რეჟიმის და დისციპლინის შენარჩუნება მაინც გაუჭირდა. ახლაც სასწაულად მონდომებულია. გულმოდგინედ ვარჯიშობს, მაგრამ ხანდახან ისევ გასვლა უწევს. ჩინეთში მისი მთავარი ამოცანა გუნდისთვის ჩასათვლელი ქულების მოპოვება იქნება. ხოლო თუ პეკინის ოლიმპიადაზე გამოსვლას გადავწყვეტთ, მერე უკვე სხვა დისციპლინა და კონცენტრაცია დაგვჭირდება. ორი საქმის ერთად კეთება აღარ გამოვა.

...რაულ ცირეკიძე ნაკრებში ყველაზე უმცროსია. იგი ოცი წლისაა და ძალიან კარგი მომავალი აქვს. ამჯერად კი მხოლოდ ერთ დავალებას ვაძლევთ, სალიცენზიო ქულების დაგროვებაში პატარა წვლილი შეიტანოს. ამის ძალა რაულს რეალურად შესწევს. ერთადერთი, რაც მაფიქრებს ისაა, რომ გამოცდილება აკლია.

...არსენ კასაბიევს 2005 წლიდან მოყოლებული ათასგვარი ტრავმა აწუხებდა. ყველაზე რთული ხერხემლის დაზიანება იყო. შარშან, წლის ბოლოს ოპერაციის გაკეთებაც კი გადავწყვიტეთ, მაგრამ ექიმმა გადაგვაფიქრებინა და ექვსთვიანი მკურნალობის კურსი დაუნიშნა. ქირურგიული ჩარევის შემთხვევაში მინიმუმ ერთი წელი გაუცდებოდა. სარეაბილიტაციო პერიოდში მუხლმაც შეაწუხა. ჩვენც ვისარგებლეთ იმით, რომ არ ვარჯიშობდა და ოპერაცია გავუკეთეთ. მისი და სამუკაშვილის გერმანიაში ოპერაცია ოლიმპიურმა ფონდმა დაგვიფინანსა. არსენი აპრილის შუა რიცხვებიდან შეუდგა ვარჯიშს, მაისში კი პოლონეთში შეჯიბრზეც გამოვიდა და პატარა შედეგი აჩვენა. იმ ტურნირიდან მოყოლებული დატვირთვებს ნელ-ნელა ვუმატებთ და საუკეთესო ფორმას მსოფლიოს ჩემპიონატის წინ უნდა მიაღწიოს.

...ალბერტ კუზილოვი წელის ტკივილმა დატანჯა. ბოლო ოთხი თვის განმავლობაში წესიერად ერთხელაც არ უვარჯიშია. არანაირმა მკურნალობამ არ უშველა. აშკარა იყო, გაცილებით მეტი დრო სჭირდებოდა სარეაბილიტაციო პერიოდისთვის. არადა, ჩემპიონატი კარს მოგვდგომოდა. ბოლოს მხსნელად ჭიდაობის ფედერაციის გენერალური მდივანი ომზარ შოშიტაშვილი მოგვევლინა. სწორედ მან დაგვიყენა კუზილოვი ფეხზე, რისთვისაც მინდა, ულრმესი მადლობა გადავუხადო. კუზილოვი კი მომჯობინდა, მაგრამ ბოლომდე გამოჯანმრთელებული ჯერ მაინც ვერაა და ფრთხილად ვარჯიშობს. მძიმეწონიან შტანგასთან რომ მიდის ხოლმე, სიმართლე გითხრათ, მუხლები მიკანკალებს.

...გია მაჭავარიანი შარშანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე მეშვიდე ადგილზე გავიდა და ახლაც შეუძლია, გუნდური ქულების დაგროვებაში თავისი წვლილი შეიტანოს, მაგრამ, სამწუხაროდ, ტრავმა აწუხებს. საქართველოს ჩემპიონატზე არასწორად განსაზღვრა თავისი შესაძლებლობები, მძიმე შტანგას შეეჭიდა და მაჯა დაიზიანა. ვცდილობთ, მოვარჩინოთ, მაგრამ ასე უცებ ძნელია. ამჟამად გია ინდივიდუალურად ვარჯიშობს. იმედია, ტაილანდში ისიც ნაკრებთან ერთად იქნება.

...თუ გიორგი ასანიძეს არ ჩავთვლით, ეროვნული გუნდი მთლიანად 20-22 წლის ბიჭებითაა დაკომპლექტებული. ასეთი ახალგაზრდული და პერსპექტიული ნაკრები საქართველოს არასოდეს არ ჰყოლია. ესენი დიდ სპორტში გაშინაურებას ახლა იწყებენ და იმედია, ალლოს იოლად აუღებენ. მსოფლიოს ჩემპიონატზე სალიცენზიო ქულას ოცდახუთ საუკეთესოში მოხვედრა იძლევა. თუ მოვახერხებთ და სამი კაცი ათეულში შევა, სამიც — ოცეულში, სავარაუდოდ, პეკინის ოლიმპიადის ოთხ ლიცენზიას მოვიპოვებთ."

**ოთარ ბაღლაძელიძე**

**ბადრი ძეთილაძის ფოტოები**


არსენ კასაბიევი


ალბერტ კუზილოვი



# გოგი თოფაძის უცნაური გასროლა

**გუშინ კომპანია „ყაზბეგი“ სათაო ოფისში „სახალხო ბანკის“ გენერალურმა დირექტორმა გიორგი გოგუაძემ და საქართველოს სათხილამურო ფედერაციის პრეზიდენტმა გიორგი თოფაძემ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს ხელი მოაწერეს**

**ამ მემორანდუმის** თანახმად, „სახალხო ბანკი“ ჩვენი ქვეყნის სათხილამურო ფედერაციას ერთი წლის განმავლობაში გენერალურ სპონსორობას გაუწევს და 40 000 ლარით დააფინანსებს. თავის მხრივ, სათხილამურო ფედერაცია „სახალხო ბანკის“ მიერ გამოხატული კეთილი ნების საპასუხოდ, ვალდებულებას იღებს, უსასყიდლოდ გაუწიოს ბანკს რეკლამირება.

მართალია, დღეს მთელი მსოფლიოს სპორტი და ოლიმპიური მოძრაობა სპონსორთა უდიდესი მხარდაჭერით სარგებლობს, მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოში ეს საქმე ერთ ადგილს ტკეპნის ან, უკეთეს შემთხვევაში, მძიმედ მიიწევს წინ. ჩვენთან სპონსორებიც და სპონსორობაც ერთნაირად იბეგრებიან, რადგან დონორობის წასახალისებლად შესაბამისი კანონი არ გვაქვს. და მაინც, რამდენიმე ორგანიზაცია, ფირმა, საზოგადოება თუ კერძო პირი კეთილ ნებას იჩენს და ჩვენი სპორტის განვითარებას ფინანსურად ეხმარება. სწორედ ერთ-ერთი ასეთი ორგანიზაცია გახლავთ „სახალხო ბანკი“, რომელიც ქართული სპორტის აქტიური მხარდამჭერია. იგი აფინანსებს ჭიდაობის ფედერაციას, საქართველოს კალათბურთის ფედერაციას და ამ სახეობის ეროვნულ ნაკრებს, აგრეთვე ყინულის ჰოკეის ფედერაციას, საფეხბურთო კლუბ სოხუმის „დინამოს“ და სხვა... ამასთან, თავად „სახალხო ბანკის“ გენერალური დირექტორი საქართველოს სამბისტთა ფედერაციის პრეზიდენტია, რომელიც, რაღა თქმა უნდა, ამ სახეობის ფინანსური პრობლემების მოგვარებაზეც ზრუნავს.

იგივე უნდა ითქვას კომპანია „ყაზბეგსა“ და მის გენერალურ დირექტორ გოგი თოფაძეზე, რომელიც საქართველოს სათხილამურო სპორტის ფედერაციის პრეზიდენტია.

გოგი თოფაძე უკვე მრავალი წელია, რაც არა მხოლოდ სათხილამურო, არამედ საერთოდ, სპორტის ზამთრის სახეობებს უდიდეს ფინანსურ დახმარებას უწევს. ამ სახეობათა წარმომადგენლები სწორედ თოფაძის წყალობით გამოდიან ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში, ევროპის ზამთრის ახალგაზრდულ ფესტივალსა და სხვა შეჯიბრებებში.

სწორედ ამიტომაც გაგვიკვირდა გოგი თოფაძის უცნაური გასროლა.

რაკი სპორტულ სამყაროში „ყაზბეგისა“ და სათხილამურო ფედერაციის სახელები გოგი თოფაძესთანაა გაიგივებული, ერთმა კოლეგამ მემორანდუმზე ხელმოწერამდე ხუმრობით ისიც კი იკითხა, ნეტავ „სახალხო ბანკი“ უსპონსორებს „ყაზბეგს“ თუ პირიქითო. ამიტომაც, მემორანდუმზე ხელმოწერის შემდეგ გოგი თოფაძეს გავესაუბრეთ.

**— ბოლო წლებში თქვენს კისერსა თუ ჯიბეზეც გადავიდა ლამის მთელი საქართველოს ზამთრის სპორტი, ახლა კი სათხილამურო ფედერაცია „სახალხო ბანკის“ სპონსორი გამხდარა.**

— „ყაზბეგი“ არა მხოლოდ ზამთრის სახეობების წარმომადგენლებს, არამედ ბევრ სხვასაც სპონსორობდა და კვლავაც სპონსორობს — გვეუბნება გოგი თოფაძე — უამისოდ სპორტი ვერ განვითარდება. ოღონდ არ იფიქროთ, რომ ამიერიდან უარს ვამბობთ სათხილამურო ან სხვა სახეობების სპონსორობაზე. უბრალოდ, ვერც საქართველოს სპორტის დეპარტამენტი, ვერც კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, ვერც ჩვენი ფედერაცია და ვერც სამივე ეს ორგანიზაცია. ერთად აღებული, საქმეს ვერ გასწვდება.

**— ეს 40 ათასი ლარი უშუალოდ სათხილამურო სპორტის განვითარებას მოხმარდება თუ საერთოდ სპორტის ზამთრის სახეობებს?**

— არა, ეს მემორანდუმი უშუალოდ სათხილამურო სპორტისა და ბაკურიანის, როგორც სამთო კურორტის განვითარებისთვის დახმარებას გულისხმობს. რა თქმა უნდა, ამ საქმისთვის ეს თანხა ზღვაში წვეთია, ამიტომაც საამისოდ სხვებმაც უნდა იფიქრონ. საქართველოში სამთო ტურიზმის განვითარება მეტად პერსპექტიული საქმეა. ევროპის სამთო კურორტები ჩამოსულ ტურისტებს ველარ იტევენ. ამიტომაც ხალხი ოკეანეს გაღმა მიეშურება, ზოგი კანადაში, ზოგიც ალიასკაზე, საქართველო კი აქვეა, ევროპაში...

**ავთანდილ ბუვიშვილი**

---

## თავგადასავალი გრძელდება თუ ეს დასასრულია?

# ცის კაცი ცაში დაკარგულა

**მსოფლიოს** ერთ-ერთი, ან იქნებ ყველაზე საოცარი ადამიანი, 63 წლის ამერიკელი მილიარდელი, თავგადასავალთა მაძიებელი და რეკორდსმენთა რეკორდსმენი სტივ ფოსეტი უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

სტივ ფოსეტის მსუბუქძრავიანი თვითმფრინავი ორშაბათს ნევადის შტატში სმიტის ველზე მდებარე კერძო აეროდრომიდან დილით 8 საათსა და 45 წუთზე აფრინდა. იგი უკან შუადღისას უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ ფოსეტის თვითმფრინავი რადარების ეკრანებიდან გაქრა, ძებნა კი მას მერე დაიწყეს, რაც მისი ოჯახის წევრებმა ყოველივე საავიაციო დისპეჩერებს აცნობეს.

დაკარგულის ძებნაში მონაწილეობს 13, მათ შორის 6 სამოქალაქო ავიაციის და 7 აშშ-ის სამხედრო საჰაერო ძალების თვითმფრინავი და შვეულმფრენი.

სტივ ფოსეტის თვითმფრინავი 5 საათიანი ფრენისთვის საკმარისი საწვავით სავსე ავზით აფრინდა. თვითმფრინავს ჰქონდა ლოკატორი, რომელსაც საავარიო დაჯდომის შემთხვევაში სათანამგზავრო სიგნალიც უნდა გაეგზავნა, მაგრამ სამაშველო სამსახურებს მსგავსი რამ არ მიუღიათ.

სამწუხაროდ, სტივ ფოსეტი უპარაშუტოდ აფრინდა, რაც ახლა ყველას აღელვებს. უცნობია, თვითმფრინავზე სხვა რა სამაშველო აღჭურვილობა იყო თუ არა.

სამძებრო სამუშაოებს ძალიან ართულებს ისიც, რომ ფოსეტს ფრენის გეგმა არ დაუტოვებია, ის 966 კვადრატულკილომეტრიანი უდაბური რაიონი კი, სადაც ავარიის კვალს ეძებენ, მეტად ძნელი სავალია და ღრმა ხეობებით სავსე.

ფოსეტის ფრენისას მშვენიერი დარი იყო, მაგრამ ახლა მეტეოროლოგები ამინდის გაფუჭებას ელიან და, სავარაუდოდ, ძებნა ერთი დღით შეწყდება.

ბრიტანელი მილიარდერი სერ რიჩარდ ბრენსონი, რომელსაც ფოსეტის მრავალი აქცია დაუფინანსებია, მასთან ერთად უფრენია, ბევრ ხიფათში გაუყვია თავი და თავის მეგობარივით თავგადასავლების მაძიებელია, ამბობს, მალე სტივისგან კარგ ამბებს შევიტყობთო. ბრენსონი არ გამორიცხავს, რომ ფოსეტი სადღაც მშვიდობით დაჯდა და მაშველს ელის.

ერთ-ერთ ინტერვიუში ფოსეტმა თქვა, ძალიან მიყვარს წიგნების, განსაკუთრებით ცნობილი მოგზაურების ბიოგრაფიების და მოგონებების კითხვა. მაშინაც კი, როცა ეულად მივფრინავ და დედამიწას გარს ვუვლი, წიგნიც თან მიმაქვსო.

იმედია, ასეთი წიგნი ფოსეტის ამ ფრენაზეც დაიწერება, რომელიც ჰეფი ენდით დამთავრდება, მანამდე კი გავიხსენოთ სტივ ფოსეტის უნიკალური მიღწევები. მას დედამიწაზე, წყალსა და ჰაერში 120-მდე მსოფლიოს რეკორდი დაუმყარებია. აქედან ნახევარი ხელუხლებელია.

სტივ ფოსეტმა ვაშინგტონისა და სტენფორდის უნივერსიტეტები დაამთავრა, მერე ბიზნესს მიჰყო ხელი და ჩამოაყალიბა საინვესტიციო კომპანია „ლაზოტა“ და დაცვის ფირმა „მარათონ სეკურითი“. მანამ მსოფლიოს გაოცებას დაიწყებდა, თავისი კაპიტალი ჩიკაგოს ბირჟაზე იღბლიანი თამაშის წყალობით გაზარდა, ბოლოს კი მთელი ცხოვრება ექსტრემალურ სპორტს მიუძღვნა.

ამ საქმეში სტივ ფოსეტი პირველად ლა მანშის სრუტეს შეეჭიდა და მეოთხე ცდაზე გადაცურა, მერე დაადო თავი და მარტოდმარტომ მრავალდღიანი სათხილამურო გადარბენა მოაწყო, მონაწილეობდა ამერიკის წრიულ ავტორბოლაში, სახელგანთქმულ ავტორბოლაში „ლე მანის 24 საათი“, აფრიკის რალში. მის აქტივშია ძაღლებშებმული მარხილებით რბოლაც; ექვსჯერ დალაშქრა დედამიწის უმაღლესი მწვერვალი ევერესტი (8848 მ).

სტივ ფოსეტმა მრავალი მსოფლიოს რეკორდი დაამყარა საჰაერო ბურთებით ფრენაში. ამგვარი ბურთით მან პირველმა განახორციელა ძირსდაუშვებელი გარსაქვეყნო მოგზაურობა. მან მიზანს 2002 წელს მეექვსე ცდაზე მიაღწია. ფრენა 19 ივნისს დაიწყო და 4 ივლისს დასრულდა. ამგვარად, მან დაამყარა საჰაერო ბურთით ფრენის ხანგრძლივობისა და სიშორის რეკორდი.

2005 წელს ფოსეტმა თავისი თვითმფრინავით მსოფლიოში პირველმა დედამიწას ძირსდაუშვებლად და საწვავის შეუვსებლად შემოუფრინა. მაშინ მან 36 ათას 898 კილომეტრი 67 საათში დაფარა და 1962 წელს ამერიკელ ბომბდამშენის „ბ-52“-ის ძირსდაუშვებელი ფრენის რეკორდი გააუმჯობესა.

2006 წლის აპრილში სტივ ფოსეტმა ძირსდაუშვებლად და საწვავის შეუვსებლად დედამიწას ახლა უკვე საგანგებოდ შექმნილი თვითმფრინავით მარტოდმარტომ შემოუფრინა, როცა 75 საათზე ნაკლებ დროში უკან 40 ათასი კილომეტრი მოიტოვა და ფრენის სიშორეში მსოფლიოს რეკორდი დაამყარა.

ფოსეტმა ავიაციის სფეროში 88 მსოფლიოს რეკორდი დაამყარა, ასევე მრავალი რეკორდი ეკუთვნის წყალზე.

საავიაციო სფეროში მიღწევებისთვის ამ თვენახევრის წინ სტივ ფოსეტი ოფიციალურად შეიყვანეს ამერიკული ავიაციის დიდების დარბაზში. დეიტონაში გამართულ საზეიმო სხდომაზე ფოსეტმა პირობა დადო, რომ ფრენას კვლავაც გააგრძელებდა და მრავალ სხვა რეკორდსაც დაამყარებს. კერძოდ, იგი საზოგადოებას დაჰპირდა, წლეულს ნოემბერში არგენტინაში წავალ და პლანერით შორს ფრენის მსოფლიოს რეკორდს დავამყარებო.

ახლა, თავის ბოლო ფრენისას, იგი სწორზედაპირიანი დამშრალი ტბის მოსაძებნად გაემართა, რათა მერე იქ დედამიწაზე სისწრაფის რეკორდი დაემყარებინა. იგი საამისოდ აპირებდა საგანგებო ავტომობილს, რომელიც საათში 1280 კილომეტრის სისწრაფით გავარდებოდა.

იმედია, სტივ ფოსეტი სალსალამათი გამოჩნდება და ამ სისწრაფითაც გავარდება...

**ავთანდილ ბუვიშვილი**




სტივ ფოსეტი

AFP

# RUGBY WORLD CUP 2007

IRB RUGBY WORLD CUP 2007 FRANCE

**საფრანგეთი. 7 სექტემბერი — 20 ოქტომბერი**

**C ჯგუფი**

ახ. ზელანდია
იტალია
შოტლანდია
რუმინეთი
პორტუგალია

## ახალი ზელანდია

# მშიერი ერი

მსოფლიო რეიტინგი: 1

**მსოფლიოს თასებზე**

1987 — ჩემპიონი
1991 — ნახევარფინალში წააგო ავსტრალიასთან, მესამე ადგილისთვის მოუგო შოტლანლიას
1995 — ფინალში წააგო სამხრეთ აფრიკასთან
1999 — ნახევარფინალში წააგო საფრანგეთთან, მესამე ადგილისთვის წააგო სამხრეთ აფრიკასთან
2003 — ნახევარფინალში წააგო ავსტრალიასთან, მესამე ადგილისთვის მოუგო საფრანგეთს

**ჯონ ქირვანი,** ზინზან ბრუკი, ტანა უმაგა, რუბენ სორნი... იმის გარდა, რომ ისინი ლეგენდარული „ოლ ბლექსის" ვარსკვლავები იყვნენ, მათ კიდევ ერთი რამ აერთიანებთ — „ოლ ბლექსის" საბრძოლო ყიჟინის ჰაკას „ბელადობით" გაითქვეს სახელი.

ალეწილი სახით და გაქვავებული მუშტებით ჩამწკრივებულ „შავებს" წინ მათი „ბელადი" უდგას. ის ტომით აუცილებლად მაორი უნდა იყოს. ვინ მოთვლის, რამდენ ლეგენდას შეუსრულებია ჰაკა. ყველაზე ცნობილი მეჰაკე ზინზან ბრუკი იყო, ახლა კი „შავების" ლაშქარს გაუპარსავი, ბუღასავით მორკინალი კარლ ჰეიმანი იყოლიებს.

ვერბალური ჰაკას შემდეგ კი ძნელია მეტოქეს მუხლი არ აუკანკალდეს და კუნთში ძალა შერჩეს. „ოლ ბლექსის" დევიზია: „მოვიგოთ ლამაზად, სხარტად და არ დავინდოთ არავინ, ვინც ამაში ხელს შეგვიშლის."

„ჩვენ ყველაზე მაგრები ვართ. ეს მსოფლიო ჩვენია. ყველას პატივს ვცემთ, მაგრამ გზაზე ნუ გადაგვეღობებით, ჩვენ ყველას გადავთელავთ" — ამბობს ახალი ზელანდიის ახლანდელი კაპიტანი, ამ დროისთვის მსოფლიოს საუკეთესო მორაგბედ აღიარებული რიჩი მაკქოუ და კუნთებს იბურებს.

ან ახლა, ან არასდროს, ამ განწყობით ჩავიდნენ „შავები" საფრანგეთში. 20 წელია, ისინი ჩემპიონები არ გამხდარან, არადა, ეს ლამის ყოველ მსოფლიოს თასზე შეეძლოთ, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ყოველთვის რაღაც ემართებოდათ. ეს „რაღაც" ზელანდიურ სინდრომად მოინათლა.

მუდამ ეშხიანი „ოლ ბლექსი" პრაგმატულ მეტოქესთან მარცხდებოდა. „ახლა ასე აღარ იქნება, ჩემი გუნდი ყველაფრისთვის მზადაა. მეტოქეს ვურჩევ, ტაქტიკური მონახაზების გამოგონებით თავი არ აიტკივოს, მაინც არაფერი გამოვა. ჯობს, გამოვიდნენ და კაცურად გვერაგბნონ" — ეს უკვე „ოლ ბლექსის" მოძღვარის გრემ ჰენრის სიტყვებია.

და ერთიც: თუ ღმერთი გწამთ, ახლა ნუ მოგვთხოვთ ზელანდიური რაგბის დეტალურად აღწერას. მის სიდიდეზე წერა იგივეა, რაც ჰაერის არსებობა ვამტკიცოთ. ქვეყანაში, სადაც ატირებულ ბავშვს ოვალური სატყუარათი აჩუმებენ და სადაც თითო ბავშვის საფენებიც კი სარაგბოა, თავიანთ რჩეულებს მსოფლიოს თასით ელოდებიან.

**უკანა ხაზი:** მილს მულიაინა, ლეონ მაგდონალდი, დაგ ჰაულეტი, როკოკოკო, სიტივენი სივივატო, ისაია ტოეავა, კონრად სმიტი, ლუკ მაკალისტერა, აარონ მაუგერე, დანიელ კარტერი, ნიკ ევანსი, ბაირონ კელეჰერი, ბრენდონ ლეონარდი, ენდრიუ ელისი
**მორკინალები:** როდნი სოოიალო, კრის მასო, რიჩი მაკქოუ (კაპ), ჯერიკ ოლენზი, სიონე ლაუკაი, რუბენ სორნი, ალი ულიამსი, კრის ჯეკი, კიტ რობინსონი, კარლ ჰეიმანი, ნეემია ტიალატა, ტონი ვუდკოკი, გრეგ სომერვილი, ანტონ ოლივერი, კევინ მეალამუ, ენდრიუ ჰორი
**მწვრთნელი:** გრემ ჰენრი

# მოშივდათ კაციჭამია მაორებს


რიჩი მაკქოუ


კარლ ჰეიმანი



## შოტლანდია

# მამაცი გული მძიმე დროში

მსოფლიო რეიტინგი: 10

**მსოფლიოს თასებზე**

1987 — მეოთხედფინალში წააგო ახალ ზედანდიასთან
1991 — გახევარფინალში წააგო ინგლისთან, მესამე ადგილისთვის წააგო ახალ ზედანდიასთან
1995 — მეოთხედფინალში წააგო ახალ ზედანდიასთან
1999 — მეოთხედფინალში ახალ ზედანდიასთან
2003 — მეოთხედფინალში ავსტრალიასთან

**1707 წლის** პირველ მაისამდე შოტლანდია დამოუკიდებელი სამეფო იყო. მთებითა და კუნძულებით დახუნძლულ ნისლიან ქვეყანაში ქარივით თავისუფალი ხალხი ცხოვრობდა. თმაში ყვავილებჩაწნული ულამაზესი გოგონები წამწამების ჩეროდან სიყვარულით აკიაფებული თვალებით უჩუმრად შესციცინებდნენ რაშებზე ამხედრებულ კილტით შემოსილ ვაჟკაცებს და მათი გრძნობები იმ შოტლანდიური გუდასტვირის ჰანგებს მიჰყვებოდა, ვიღაც მთვრალ მუსიკოსს ფერდობს გადაღმა სოფელში რომ ჩაებღუჯა და აწითლებული სახით გოგო-ბიჭებშემოხვეული, მთელი ძალ-ღონით უკრავდა.

მთაში გაზრდილი „მამაცი გულები" დღესაც ძნელად ეგუებიან ინგლისელთა უღელს. მართალია, დღესდღეობით ისტორიული შუღლი და მტრობა მიჩუმებულ-მინელებულია, მაგრამ სახელმწიფოდაკარგული ერი ნების მიერ საქმეში თავისი უპირატესობის დამტკიცებას ცდილობს მთელი მსოფლიოს წინაშე. ამიტომაა, რომ ინგლისისა და შოტლანდიის ნაკრებების სარაგბო ჯახებიც პატარ-პატარა ომებად იქცა, გამარჯვებულს კი თითქოს წინაპართა სისხლი ლოცავს და ამხნევებს. შოტლანდიურ კულტურას ბევრი ისეთი სპორტი შემორჩა, რომლის ანალოგიც ჩვენს პლანეტაზე არ მოიძებნება და ისინი დღემდე ისეთ ბობოლა სახეობებთან თანაარსებობენ, როგორებიცაა — ფეხბურთი და რაგბი.

მსოფლიო თასებზე შოტლანდიას ყველა მეოთხედფინალში უთამაშია, ხუთიდან სამში „მამაცი გულები" ახალ ზელანდიასთან დამარცხდნენ, რაც ოდნავადაც არ აკნინებს მათ მებრძოლ სულს. წლევანდელ თასს სკოტები არცთუ საუკეთესო ნაკრებით ხვდებიან და ღრუბლებთან შეთამაშების შანსიც არ აქვთ, მაგრამ ჯგუფიდან გასვლას და მეოთხედფინალში ვინმეს გამწარებას აუცილებლად შეეცდებიან. მათი ჯილები — ჯეისონ ვაიტი, საიმონ ტეილორი და კრის პატერსონი „ოვალური" სამყაროს მასშტაბით გამორჩეულ მოთამაშეებად ითვლებიან.



**უკანა ხაზი:** მაიკ ბლეირი, კრის კიუსიტერი, რობ დოუი, მარკუს დი როლო, ენდრიუ ჰერდენსონი, რორი ლამონტი, შონ ლამონტი, რორი ლოუსონი, დან პარკსი, კრის პატერსონი, ჰუგო სალთველი, ნიკი უოლკერი, საიმონ უებსტერი
**მორკინალები:** ჯონ ბარკლაი, კელი ბრაუნი, დეივ ქელამ, როს ფორდი, ჯიმ ჰემილტონი, ნათან ჰაინისი, ალისტერ ჰოგი, ალან ჯეკობსენი, გევინ კერი, სკოტ ლოუსონი, სკოტ მაკლეოდი, იუან მიურეი, სკოტ მიურეი, კრეიგ სმიტი, საიმონ ტეილორი, ფერგიუს ტომსონი, ჯეისონ უაიტი (კაპ)
**მწვრთნელი:** ფრანკ ჰედენი

ჯგუფში სქოთებს ერთი გამოკვეთილი მეტოქე ჰყავთ: წლევანდელ ექვს ერში მისი მძლეველი იტალია, რომელიც როგორც არასდროს ისე ძლიერია და ჯერაც უნახავი მეოთხედფინალისკენ გზაზე შოტლანდიის მთავარ დაბრკოლებად აღიქვამს. ახლა უნდა გამოაჩინონ მამაცმა მთიელებმა მებრძოლი სული.

# იტალია

## ვინ თქვა, ცისფერები არიანო?!

მსოფლიო რეიტინგი: 9
**მსოფლიოს თასებზე**
1987 — ჯგუფში ჩარჩა
1991 — ჯგუფში ჩარჩა
1995 — ჯგუფში ჩარჩა
1999 — ჯგუფში ჩარჩა
2003 — ჯგუფში ჩარჩა


AFP

**ოთხი წლის წინ,** სუსხიანი თებერვალი იყო, ერთა თასის მატჩისთვის მატჩისთვის თბილისში ესპანეთის ნაკრები რომ ჩამოვიდა. ესპანელები ვარკეთილში, თოვლჭყაპში ვარჯიშობდნენ, როცა სტუმართა უფროსობას ერთი ახალგაზრდა გამოეყო და ენრიკედ გაგვეცნო — გუნდის ადმინისტრატორი ვარო.

სანამ ესპანელები ვარჯიშობდნენ, ენრიკე გაყინულ ხელებს იფშვნეტდა, მერე მოვგიბრუნდა და დიალოგი გაგვიბა. ქიცზეც ვისაუბრეთ და ქიცმაცურზეც, ცხალია რაგბიზეც. იტალიასაც შევეხოთ. იტალიის ხსენება და ენრიკეს ხელების გასავსავება ერთი იყო. ოღონდ ეგენი არ მიხსენოთ, ჩვენ რომ ვეთამაშებოდით, მატჩის წინ ბრიოლინით „დაიბანეს" თავი და ჭიპამდე მაისურებით ვარჯიშობდნენო.

იტალიის ნაკრებს „სკუადრა აძურა", „ცისფერი გუნდი" კი ჰქვია, მაგრამ ეს თავისთავად არ ნიშნავს, რომ პირწმინდად ყველა იტალიელი არატრადიციული სექსუალური ორიენტაციისაა.

კაი ბიჭი ხარ და გაუბედე, ძმებ ბერგამასკოებს ან გაიტალიელებულ ახალზელანდიელს ჯოშ სოლეს, შე პიჟონოო... ხომ ჩაგინგრიეს ორივე ყბა. მე შენ გეტყვი და მოერიდებათ, მოედანზე საჯაროდ აკეთებენ ამას და მის გარეთ ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

ასეთები რომ არიან, ოთხი წლის წინ საქართველოსთან ტესტ-მატჩშიც გამოჩნდა. მაშინ ორივე მსოფლიოს თასისთვის ემზადებოდა. იტალიას ლეგენდარული ახალზელანდიელი ჯონ ქირვანი წვრთნიდა, საქართველოს კი ფრანგი კლოდ სორელი. ჰოდა, ამ ტესტისას მსაჯმა იმდენი ქნა, რომ სამი კაცი გაგვიგდო და იტალიას მოაგებინა. არადა, აძურელები არც მსაჯს ერიდებოდნენ — ჩვენებს ყველა მომენტში ურტყამდნენ. ქართველებმაც მაგრად უბრაგუნეს იტალიელებს, კლოდ სორელმა კი ქირვანს საჯაროდ აგინა. ქირვანი თურმე ამტკიცებდა, ქართველებმა ჩემი ბიჭები ჩაალურჯესო, სორელს კი უპასუხია, შენები კაცები კი არა, პროვოკატორები არიანო. ვერ შეთანხმდნენ და... ეს მატჩის შემდგომ ბანკეტზე მოხდა.

საზოგადოდ, იტალიელები ხშირად სარგებლობენ უცხოელთა ნიჭით და გამოცდილებით. მწვრთნელიც უცხოელი ჰყავთ, ლეგენდარული ფრანგი პიერ ბერბიზიე და გუნდშიც რვა „ლეგიონერია". უმეტესობა არგენტინელია, თითო-თითო კი ახალზელანდიელი და ტონგელი.

ბოლო დროს იტალია ძალიან მომძლავრდა, მისთვის უელსის და შოტლანდიის დამარცხება სენსაცია აღარ არის. ჰოდა, თუ ახლაც შეძლო ჯგუფში მამაცი შოტლანდიის დამარცხება, ეგებ პლეი ოფში პირველადაც ითამაშოს.

**უკანა ხაზი:** მირკო ბერგავასკო, დავიდ ბორტოლუჩი, გონსალო კანალე, პაბლო კანავოსიო, როლანდ დემარინი, ეზიო გალონი, პოლ გრიფენი, ანდრეა მასი, რამირო პეცი, მატეო პრატიჩეტი, კეინ რობერტსონი, მარკო სტანოიევიჩი, ალესანდრო ტრონკონი
**მორკინალები:** მატიას აგუერო, რობერტ ბარბიერი, მაურო ბერგამასკო, ვალერიო ბერნაბუ, მარკო ბორტოლამი (კაპ), მარტინ კასტროჯოვანი, კარლ ანტონიო დელ ფავა, სანტიაგო დელაპე, კარლო ფესტუჩია, ლეონარდო ჯირალდინი, ანდრეა ლო ჩიჩერო, ფაბიო ონგარო, სერჯიო პარიზე, სალვატორე პერუჯინი, ჯოშ სოული, მანუა ვოსავაი, ალესანდრო ძანი
**მწვრთნელი:** პიერ ბერბიზიე

# რუმინეთი

## იყო დრო, რუმინეთი იყო...

მსოფლიო რეიტინგი: 16
**მსოფლიოს თასებზე**
1987 — ჯგუფში ჩარჩა
1991 — ჯგუფში ჩარჩა
1995 — ჯგუფში ჩარჩა
1999 — ჯგუფში ჩარჩა
2003 — ჯგუფში ჩარჩა

**იყო დრო,** რუმინელები, რომელთაც მეტსახელად „მუხის ფოთლები" ჰქვიათ, ყოჩაღ ფრანგებს აცამტვერებდნენ და ახვეწნინებდნენ, ერთხელაც გვეთამაშეთო. ეს 60-იან წლებში ხდებოდა, როცა კარპატელები აღმოსავლეთ ევროპაში, ხოლო ფრანგები მთელ მსოფლიოში ბატონობდნენ.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, საბჭოურმა წითელმა ქარმა მუხას ბევრი ფოთოლი გააყრევინა. საბჭოურმა პოლიტიკამ კარპატული ფესვმაგარი ხეც მოწამლა, დიქტატორულმა რეჟიმმა რუმინულ რაგბის შინაპატიმრობა მიუსაჯა. მე თქვენ გეტყვით და, ხმის ამოღებას გაბედავდა ვინმე. ასე აღმოჩნდნენ რუმინელები შინ გამოკეტილები და ტურნეებს ვინ ჩივის, „საძაგელ კაპიტალისტებთან" კინკილა ტესტიც კი სანატრელი დაუხდათ.

ასე გაგრძელდა, სანამ ნიკოლაი ჩაუშესკუს კედელთან მიაყენებდნენ და ტყვიებს დააზლიდნენ. რეჟიმის გადაგდება და დასავლეთთან ძველი ნაცნობობის აღდგენა ერთი იყო. თუმც იზოლაციამ მაინც თავისი ქნა და „მუხის ფოთლებს" ტაშ-ფანდურით არავინ შეხვედრია. პირიქით, მაშინ ჯერ კიდევ ხუთი ერის კონსერვატორულ ოჯახში რუმინეთი ზღურბლზე შეაჩერეს — ჯერ მომაგრდი და მერე შემოდიო.

„ცისფერი მთების" არ იყოს, მიდგნენ-მოდგნენ ის ჩვენი რუმინელები, ხალხი შეაწუხეს, ფრანგებს გაუშინაურდნენ, პერსპექტიული ჯეელები იქაურ კლუბებში მოაწყვეს და სარაგბო ქვეშევრდომობაც შეჰფიცეს. ამან თავისი შედეგიც გამოიღო, რუმინეთი ნელ-ნელა დაბურუნდა სარაგბო ქველიგას, მაგრამ ეგაა, რომ ოცნება ჯერ მაინც ვერ აისრულა, ევროელიტურ ექვს ერში წელში კარგახნის წინ გამართულმა იტალიამ შეასწრო.

დარჩა რუმინეთი საქართველოს, რუსეთის, ესპანეთის, პორტუგალიის და ჩეხეთის ამქარში, ანუ ევროპის მეორე ეშელონში და აქედან მოყოლებული საქართველოს სისხლს სწოვდა. ყოველ შემთხვევაში, ასე იყო შარშანდლამდე, მაგრამ ბოლო ორ შეხვედრაში ჩვენებმა აქაც და იქაც მიახრჩვეს დრაკულას თანამემამულენი.

ერთი სიტყვით, რუმინეთი კვლავ ცდილობს, ბობოლებში დაბრუნდეს. ძლიერების მოდრეკას ველარ ახერხებს, თუმც იმუქრება, ხვალ-ზეგ არა, მაგრამ მაზეგ ექვს ერში შევძვრებითო. ეს ალბათ იტალიის „მოტეხვის" ხარჯზე სურს, მაგრამ ახლა ეს საქმე გაცილებით გაუძნელდება, ვიდრე 10, თუნდაც 5 წლის წინ. იტალია ერთიორად გაძლიერდა, ხანდახან ძირძველი სარაგბო ქვეყნებს — შოტლანდია-უელსის დამარცხებასაც კი ახერხებს. თუ რუმინელებს რომაელთა ძლევის შნო შერჩათ, სულ მალე მიეცემათ ამის დამტკიცების შანსი — რაგბის მამებმა ისინი ერთ გუნდში განთესეს.

**უკანა ხაზი:** ვალენტინ კალაფატიანუ, ლუჩიან სირბუ, იონუც ტიმოფტე, იონუც ტოფანი, რომეო გონტინიაკი, კსაბა გალი, კატალინ დასკალუ, დან ვლადი, კატალინ ფერკუ, იონ ტოდერაშკუ, გაბრიელ ბრეზოიანუ, იულიან დუმიტრაში, ფლორინ ვლაიკუ, კატალინ ნიკოლაე
**მორკინალები:** პეტრუ ბალანი, ბოგდან ბალანი, ცეზარ პოპესკუ, პეტერსონ ტოდერაშკი, იონ პაულიცა, მარიუს ტინკუ, რაზვან მავროდინი, სორინ სოკოლი (კაპ), კრისტიან პეტრე, ვალენტინ ურსაჩე, აუგუსტინ პეტრიჩეი, ოვიდიუ ტონიცა, კოსტიცა მერსოიუ, ფლორინ კოროდიანუ, ალესანდრუ მანტა, ალესანდრუ ტუდორი
**მწვრთნელი:** დანიელ სანტამანსი

# პორტუგალია

## ფიზკულტურელები

მსოფლიო რეიტინგი: 21
**მსოფლიოს თასებზე**
1987 — არ მონაწილეობდა
1991 —არ მონაწილეობდა
1995 — არ მონაწილეობდა
1999 — არ მონაწილეობდა
2003 — არ მონაწილეობდა

**1957 წელს** პორტუგალიის ქალაქ გიმარაეშში, საშუალო გაქანების ოჯახში ბიჭი დაიბადა. როგორც პორტუგალიელთა უმეტესობა, ეს ბიჭი თავიდან ფეხბურთს თამაშობდა, სკოლის დამთავრების შემდეგ კი ფიზკულტურის აკადემიაში ჩააბარა და მრგვალი ბურთი ოვალურზე გადაცვალა. რაგბის თამაშ-თამაშით 22 წლისამ აკადემია დაამთავრა და სწავლა მაგისტრატურაში განაგრძო. ერთი ეგაა, მუხლის მძიმე ტრავმის გამო რაგბი ველარ ითამაშა, სწავლით კი იცოცხლეთ, ისწავლა და ახლა ფიზმომზადების პროფესორია, პარალელურად კი ლისაბონის აკადემიაში ლექციებს კითხულობს.

ამ კაცს ტომაშ მორაეში ჰქვია. მისი ახლანდელი ძირითადი საქმიანობა კი პორტუგალიის ნაკრების მწვრთნელობაა. 40 წლის მორაეშმა პორტუგალიელი „მგლები" ოთხი წლის წინ ჩაიბარა, როდესაც გუნდი ერთა თასის სარდაფში სულს ლაფავდა. ორი წლის შემდეგ მორაეშის პორტუგალია საკუთარ თავსაც გადაახტა და მეტოქეებსა, რუმინეთის, საქართველოს და რუსეთის მარწუხებში ერთი შეხედვით შეუძლებელი შეძლო — ევროპის ერთა თასი დიდი სლემით ანუ წაუგებლად მოიგო! ამის შემდეგ პორტუგალია ერთა თასზე ველარ ყოჩობს, თუმც იმდენი ქნა, წლევანდელი მსოფლიოს თასის შესარჩევში საქართველო აწვალა, მერე კი რეპეშაჟში ურუგვაის ორრაუნდა ბრძოლა მოეგო. ეს ის ურუგვაია, წინა მსოფლიოს თასზე ჩვენებს რომ აჯობა.

პორტუგალია მსოფლიოს თასის დებიუტანტი და ყველაზე უამბიციო გუნდია, თუმც მათთვის ეს უკვე უდიდესი წარმატებაა. პირინეელებს ძლიერ გუნდებთან ერთად ჯგუფში ჰყავთ რუმინეთი, რომლის დამარცხების გემო უკვე გაუსინჯავთ. ვინ იცის, ამ თასზე შეძლოს ორი წლის წინანდელი მცირე სასწაულის გამეორება? ისინი თავისას ეცდებიან.

**უკანა ხაზი:** ჟოზე პინტუ, ლუის პისარა, კარდოსო პინტუ, გონსალო მალეირუ, პედრო კაბრალი, დიოგუ გამა, დიოგუ მატეუში, ფედერიკო სოუზა, მიგელ პორტელა, დავიდ მატეუში, გონსალო ფორო, პედრო კარვალიუ, ანტონიუ აგილარი, პედრო ლეალი
**მორკინალები:** ანდრე სილვა, ჟოაკიმ ფერეირა, ხუან მურე, კრისტიან სპაშუკი, რუი კორდეირუ, დუარტე ფიგუერედუ, ჟოაო კორეირა, დანიელ პენალვა, ხუან სევერინუ, გონსალო უვა, ჟოაო უვა, ვასკო უვა, მარსელო დორეი, დიოგუ კოუტინიუ, პაოლო მურინელო, ტიაგო გირაო
**მწვრთნელი:** ტომაშ მორაიში

# ჯონი ისევ დაიმტვრა



**ვერა და ვერ** მოკეთდა ჯონი უილკინსონი ისე, რომ გემრიელად აკეთოს თავისი საქმე და მოედანზე ბოლომდე დაიხარჯოს. ტრავმების გამო მისი კარიერა 2003 წლის შემდეგ ფატალურად განვითარდა. ყველას მოენატრა ამ გენიალური დამრტყმელის საქმეში ხილვა. თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა და შაბათს ჯადო-ჯონის „იანკების" წინააღმდეგ უნდა ეთამაშა, მაგრამ ისევ ბედმა უმუხთლა და მის დაზიანებულ მუხლს, ხელს თუ მხარს წვივის ახალი ტრავმაც შეემატა.

სანამ ამერიკის შეერთებულ შტატებთან სათამაშო ძირითად თხუთმეტეულს დაასახელებდა, „ვარდების" თავკაცმა ბრაიან ეშტონმა წლეულს აგერ მერამდენედ გაიგო ეს ცუდი ამბავი — ჯონიმ ვარჯიშზე წვივის ტრავმა მიიღო. რამდენად სერიოზულია დაზიანება, ჯერ გარკვეული არ არის, მაგრამ აშშ-სთან ათ ნომრად ოლი ბარკლი რომ ითამაშებს, გადაწყვეტილი ამბავია.

# ლომუს სიტყვა: დავიმსახუროთ თასი!



**ახალზელანდიელმა** ცოცხალმა ლეგენდა ჯონა ლომუმ მსოფლიოს თასის დაწყებამდე ორი დღით ადრე „ოლ ბლექსის" საჩემპიონო შანსებზე და მაორ მორაგბეთა შესაძლებლობებზე თქვა თავისი კომპეტენტური სიტყვა:

„საქმე ისაა, რომ მთელი სარაგბო სამყარო ყოველთვის და ყველა ტურნირზე ახალი ზელანდიისგან გამარჯვებას ელის და საფუძვლიანადაც. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს ნაკრებს მსოლფიოში ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელი ჰყავს. მე მქონდა ბედნიერება, მეთამაშა 1999 წლის მუნდიალზე უეინ სმიტის ხელში და ახლანდელი დამრიგებლის გრემ ჰენრის მეთაურობითაც. ეს ორი სპეციალისტი თავიანთი სტილით რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისგან. უეინ სმიტი აანალიზებდა მოწინააღმდეგის ძლიერ და სუსტ მხარეებს და ცდილობდა, დაცვის გამრღვევი საკვანძო ფიგურები მოენახა თავის გუნდში, ხოლო გრემ ჰენრის თავიდანვე არჩეული აქვს სტრატეგია და ცდილობს, განახორციელოს იგი. გრემ ჰენრი უეინ სმიტისგან განსხვავებით ახალი ზელანდიისთვის ჰაერივით საჭირო პრაგმატული გონებით გამოირჩევა.

ახლანდელი ნაკრების ძირითად ბირთვს 2003 წლის მუნდიალზეც უთამაშია. ისინი ოთხი წლით გაიზარდნენ და ორთხჯერ უფრო გამოცდილები გახდნენ. დროის ამ ინტერვალში გამარჯვებებთან ერთად „მაორებმა" დამარცხებებიც განიცადეს, რასაც ისინი არასოდეს ივიწყებენ და ცდილობენ სამაგიეროს გადახდას. ნამდვილად მოვიდა დრო, რომ ახალმა ზელანდიამ მსოფლიოს თასი მოიგოს, მაგრამ ნაკრების თითოეულ წევრს მინდა მივმართო — ჩვენ ყოველ თამაშში უნდა დავიმსახუროთ გამარჯვება!

ახალ ზელანდიას ახალგაზრდა ტალანტები ყოველთვის ჭარბად ჰყავდა და ჰყავს ახლაც, მაგალითად, საიონე ლაუაკი ფლანგზე ქარიშხალივით დაქრის და, ვფიქრობ, მალე დაგვანახვებს თავის ჭეშმარიტ შესაძლებლობებს. ასევე ჯერი კოლინზი და როდნი სოოიალოც ნიჭიერი ბიჭები არიან.

დენ კარტერი თანამედროვე რაგბში საუკეთესო ათ ნომრად მიმაჩნია. ის ჯერ კიდევ საკმაოდ ახალგაზრდაა, მაგრამ ზურგს დიდი გამოცდილება უმაგრებს. მის გვერდით რიჩი მაკქოუ ბრწყინვალედ გამოიყურება. რიჩი გუნდში ერთ-ერთი საკვანძო ფიგურაა და საუკეთესო შვიდი ნომერია მსოფლიოში. ჯო როკოკოს და სიტივენი სივივატუს კი პატარა სივრცეც რომ მისცე, უკვე წასულია მოწინააღმდეგის საქმე. ბოლოს რამდენიმე სიტყვა ჩემს მეგობარ დაგ ჰაულეტზე მინდა, ვთქვა — ის სრულყოფილი გარემარბია და კოლოსალურ სამუშაოს ასრულებს."

მოკლედ, 90-იანი წლების ლეგენდას ქება არ დაუკლია თანამოძმეთათვის, რომელთაც გამხნევება და ზურგზე ხელის დარტყმა ძალიანაც სჭირდებათ. 1987 წლის პირველი თასის შემდეგ ისინი აგერ 20 წელია ელიან ჩემპიონობას და მუდამ ნიჭიერი გუნდის ყოლის მიუხედავად სადღაც ნახევარფინალში ამთავრებენ თასისთვის ბრძოლას.

**ზურაბ მიგრიაული**



## ვუელტა–2007

ესპანეთი. 1–23 სექტემბერი

# კატამ იარა და მთა გადაიარა

**ესპანელმა** ოსკარ ფრეირემ გუშინ „ვუელტას" მე-5 ეტაპი მოიგო. ესპანელმა მრბოლმა მშობლიურ ტრასებსა და ციცაბო აღმართ-დაღმართებზე წლეულს ხუთიდან მეორე ეტაპი მოიგო და ამით მსოფლიოს ჩემპიონს, იტალიელ პაოლო ბეტინის გაუტოლდა.

ისე, ფრეირე ბეტინიზე ნაკლები როდია, პირიქით, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონია და სამთო რბოლების მოყვარულიცაა, ამიტომაც მეტსახელად „კატას"ეძახიან. ჰოდა, ადგა ეს ჩვენი „კატა" და გუშინ, კანგასიდან რეინოსამდე გასავლელი ალაგ-ალაგ სწორი, ძირითადად კი 157-კილომეტრიანი სამთო გზა ყველაზე სწრაფად გაიარა და ფინიშზე შამპანურითაც იწუწავა.



ოსკარ ფრეირემ მეორე ეტაპი მოიგო

ზევით ბეტინი ვახსენეთ და მასზეც ვთქვათ. ბეტინიმ წლეულს ორჯერ მოასწრო ეტაპის მოგება, მაგრამ ახლა ფრეირემ ხომ აჯობა და ფინიშთან თანამემამულე დანიელე ბენატიმაც მიასწრო.

საერთო ჩათვლაში გუშინდელ ესპანურ-იტალიურ ფინიშს ბევრიც არაფერი შეუცვლია. ლიდერთა ხუთეული იგივეა, რაც გუშინდლამდე იყო. ერთი სიტყვით, „ვუელტას" მე-5 ეტაპის შემდეგ 189 ველომრბოლთა ამქარს ისევ რუსი ვლადიმირ ეფიომკინი ლიდერობს, მას კუდში თანამემამულე დენის მენშოვი მისდევს, რომელიც „ვუელტას" შარშანწინდელი გამარჯვებულია.

**ბაჩო სვანიძე**

| მე-5 ეტაპი. 5 სექტემბერი. კანგასი–რეინოსა. 157 კმ | |
|---|---|
| 1 ოსკარ ფრეიე (ესპანეთი, რაბობანკი) | 4 სთ, 7წთ, 51 წმ |
| 2 დანიელე ბენატი (იტალია, ლამპრე) | |
| 3 პაოლო ბეტინი (იტალია, ქუიქსტეპი) | |
| 4 ფილიპ ჟილბერტი (ბელგია, ფრანსის დე ჟუი) | |
| 5 ერიკ ცაბელი (გერმანია, მილრამი) | ყველას იგივე დრო |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1 ვლადიმირ ეფიომკინი (რუსეთი, კაისე) | 20 სთ, 10 წთ, 41 წმ |
| 2 დენის მენშოვი (რუსეთი, რაბობანკი) | +1 წთ, 6 წმ |
| 3 კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) | +1 წთ, 6 წმ |
| 4 მაქსიმე მონფორტი (ბელგია, ყოფიდისი) | +1 წთ, 6 წმ |
| 5. სტიინ დევოლდერი (ბელგია, დისქოვერი) | +1 წთ, 6 წმ |



# ამბობენ, იტალიაში ფინელი მოიგებსო

**კვირას** ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული და ამაღელვებელი საპირველფორმულო სპექტაკლი შედგება — მილანის მახლობლად, მონცას „აუტოდრომო ნაციონალეზე" 58-ედ ჩატარდება იტალიის გრან პრი.

„სამეფო რბოლების" ამ ყველაზე სწრაფ ტრასაზე დღევანდელებიდან მხოლოდ ორ პილოტს გაუმარჯვია. ათი წლის წინათ ეს მაკლარენელმა დევიდ კულჰარდმა შეძლო, ხოლო შემდგომ ორჯერ, 2002 და 2004 წლებში, ფერარელმა რუბენს ბარიკელომ. ახლა სხვა დროა, ორივენი ჩაჩანაკ გუნდებში გამოდიან, ფავორიტებად კი სადღეისოდ მათი შემცვლელები ითვლებიან.

ბრიტანელი ბუქმეიკერები იტალიური ეტაპის ფავორიტებად მასპინძელი „სკუდერია ფერარის" მრბოლებს თვლიან. კიმი რაიკონენის კოეფიციენტია 1,6, ფელიპე მასასი — 2,2. სეზონის მეწინავე „მაკლარენ-მერსედესის" მძღოლების შანსი ნაკლებია: მსოფლიოს ჩემპიონი ფერნანდო ალონსო — 3,0, ხოლო ჩემპიონატის ლიდერ ლუის ჰემილტონის კოეფიციენტი მხოლოდ ოთხია.

# რალფ შუმახერი იაპონიას აღარ უნდა

**ჩემპიონატი** ფინიშს უახლოვდება და სულ უფრო ხშირდება მრბოლების გადასვლა-გადმოსვლის ამბები.

წლეულს უხეირო ჯირითის გამო წყალშემდგარ რალფ შუმახერს ალბათ „ტოიოტას" დატოვება მოუწევს, მით უმეტეს, რომ კონტრაქტი სეზონის ბოლოს ეწურება. საეჭვოა, იაპონურმა სუპერკონცერნმა თითქმის ორი წელი უპოდიუმოდ მოხეტიალე პატარა შუმისთან თანამშრომლობა გააგრძელოს. ასე რომ, 32 წლის ვეტერანს სხვა სამუშაოს ძებნა მოუწევს, თუმც მის ასაკში ეს იოლი არაა.

ათიოდე დღის წინ ხმა გავრცელდა, შესაძლოა, რალფი „ტორო როსოში" გადავიდესო. გერმანელი პილოტი მართლაც შეხვდა საჯინიბოს თანამფლობელ გერჰარდ ბერგერს, თუმც ლაპარაკს პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია.

ერთი სიტყვით, რჩება, უკეთეს შემთხვევაში ისევ „ტოიოტა", ან სხვა ავტოსერია, ვთქვათ, DTM. ამ საკმაოდ პოპულარული დახურულკორპუსიანი მანქანების ჩემპიონატის ერთ-ერთი ბოსი ჰანს-ვერნერ აუფრეხტი ძალიანაა მოწადინებული, რალფი ხელში ჩაიგდოს: „DTM-ს ვარსკვლავები სჭირდება და რალფთან კონტრაქტი ჩვენი ჩემპიონატის სერიოზული აქტივი გახდებოდა. დარწმუნებული ვარ, კონკურენტუნარიანი მანქანით შუმახერი ყველაზე სერიოზული ამოცანების გადაჭრას შეძლებს, ხოლო მისი ბრძოლა მიკა ჰაკინენთან წარსულ დღეთა საინტერესო ამბებს მოგვაგონებდა".

მოკლედ, გერმანული სერიის კარი ყოველთვის ღიაა ფორმულა 1-ის, თუნდაც სიკაშკაშეს მოკლებულ ვარსკვლავთათვის.

ამასობაში უკვე მსჯელობენ იაპონურ გუნდში რალფის შემცვლელზე. გერმანული „ბილდის" ცნობით, რალფ შუმახერს თანამემამულე ექსმეფორმულე ტიმო გლოკი შეცვლის, რომელიც სადღეისოდ BMW-ზაუბერის ტესტპილოტია, პარალელურად GP2 სერიაშიც დაჯირითობს და ფრიად წარმატებულადაც — ჩემპიონატის დასრულებამდე სამი ეტაპით ადრე გენერალური კლასიფიკაციის ლიდერია.

ამბობენ, თუ ეს კონტრაქტი შედგა, ტიმო „ტოიოტაში" ორ მილიონ დოლარს მიიღებსო. შესადარებლად, რალფს ათჯერ მეტს უხდიან, შედეგი კი — წლევანდელ 12 რბოლაში მათხოვრული ხუთი ქულა ამხელა თანხად ნამდვილად არ ღირს.

**გია ახალაძე**

# ევროპის ჩემპიონატი
## ესპანეთი. 3–16 სექტემბერი

# ტონი პარკერი: გამომიყენეთ!

**A ჯგუფი**

**საბერძნეთი 68:67 სერბეთი**
**ძირითადი დრო 56:56**
**12:11 19:20 9:7 16:18 12:11**
**საბერძნეთი:** დიკუდისი (20), სპანულისი (10)
**სერბეთი:** იარიჩი (18), მილიჩიჩი (17)

**რუსეთი 90:56 ისრაელი**
**17:15 23:13 26:13 24:15**
**რუსეთი:** ჰოლდენი (18), კირილენკო (17 ქულა, 13 მოხსნა, 5 პასი)
**ისრაელი:** ელიაჰი (17), ჰალპერინი (14)

„არ მაინტერესებს, კარგად ვთამაშობ, თუ ცუდად. ჩემი მიზანი ყოველთვის ერთია და ესაა გამარჯვება" — თქვა ნამატჩევს ბერძენთა ლვაწლმოსილმა უკანახაზელმა თეოდორას პაპალუკასმა, რომელმაც, მართალია, როგორც სჩვევია, ისე ბასრად ვერ ითამაშა, მაგრამ, რაც მთავარია, მისმა გუნდმა იმარჯვა.

იმარჯვა და თანაც როგორ ჯახში. წინა დღეს რუსებთან შერცხვენილმა სერბებმა ალბათ სახარებაზე დაიფიცეს და ევროპის მოქმედ ჩემპიონებთან საომრად ისე შემართულნი გავიდნენ, მტერსაც რომ შეშურდებოდა. ბალკანელები ისე დამაჯერებლად თამაშობდნენ, სულაც არ ეტყობოდათ, რომ ლამის მთელი ოქროს თაობა პენსიაში გაუშვეს. ეს გუნდი ხომ გაფილტრულია იმ ღიადი მოთამაშეებისგან, რომლებმაც არცთუ შორეულ წარსულში სებრეთს თითქმის ყველაფერი მოაგებინეს.

თავდაპირველად კი გალიდერდნენ ბერძნები, მაგრამ რაც დრო გადიოდა, სერბები ღონიერდებოდნენ და პირველი ტაიმის მიწურულს თამაში თანაბარ კალაპოტში ჩადგა.

დიდი შესვენებისას თანაბრობა იყო და ასე გაგრძელდა თამაშის ბოლომდე, მაგრამ სანამ დასასრული მოატანდა, მოედანზე დიდი ამბები დატრიალდა.

ძირითადი დროის დამთავრებამდე საბერძნეთი 2 ქულას იგებდა და კონსტას ცარცარისი საჯარიმოს ხაზზე დადგა. მან მხოლოდ 1 ჩააგდო და სერბეთი 51:54 ჩამორჩა. მარკო იარიჩმა 9 წამით ადრე ქულამდე შემცირა სერბების დეფიციტი და ბერძნებმა თითქოს უკანასკნელი შეტევა წამოიწყეს. აქ კი საოცარი რამ მოხდა. ელინელებმა ბურთი სწრაფად გაათამაშეს და დიმოსთენეს დიკუდისი ფარის მისადგომებთან მარტომარტო დარჩა. სირენამდე 2-3 წამი რჩებოდა და იმის მაგივრად, რომ მას ბურთი დროის ამოწურვამდე შეენარჩუნებინა, გაექანა და არ დაცხრა ბურთიანად სერბების კალათს?!

ამით დიმოსთენემ თავისიანები 3 ქულით კი გაალიდერა, მაგრამ მეტოქეს წამზე ოდნავ მეტი დაუტოვა თავის გადასარჩენად. სერბებმა ბურთი გვერდიდან შემოიტანეს და მილან გუროვიჩმა ლამის მოედნის ცენტრიდან ჩააკალათა გამთანაბრებელი სამქულიანი!

თამაში ოვერტაიმში გადაიზარდა, სადაც, წესით, მორალურად განადგურებულ ბერძნებს შანსი არ უნდა ჰქონოდათ, მაგრამ იმავ დიკუდისმა იჩუბინა, ვისი „დამსახურებაც" იყო თამაშის ოვერტაიმში გადაყვანა.

დიმოსთენემ შორი გასროლით 4 ქულამდე აწია ბერძენთა უპირატესობა მაშინ, როცა დამატებითი დროის ამოწურვამდე 40 წამი რჩებოდა. ყველაფერიც აქ დასრულდა.

რუსეთის ნაკრები კი განაგრძობს ფავორიტთან მიახლოებულის იმიჯის გამყარებას, სანამ მართლა ძლიერი გუნდები შეეჩეხებიან. რუსებმა ამჯერად ებრაელები გამოიჭირეს და 34 ქულით დაზურგეს. ისევ იჩაუქა ანდრეი კირილენკომ.

რუსეთი და საბერძნეთი ბოლო ტურში პირველობისთვის დაეჭიდებიან.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 2 | 2 | 0 | 163:121 | 4 |
| საბერძნეთი | 2 | 2 | 0 | 144:133 | 4 |
| სერბეთი | 2 | 0 | 2 | 132:141 | 2 |
| ისრაელი | 2 | 0 | 2 | 122:166 | 2 |

**B ჯგუფი**

**ესპანეთი 93:77 ლატვია**
**25:20 16:16 29:19 23:22**
**ესპანეთი:** პ. გასოლი (26 ქულა, 9 მოხსნა, 4 დაფარება), ფერნანდესი (20)
**ლატვია:** ბიედრინსი (17), სკელე (16)

**ხორვატია 90:68 პორტუგალია**
**19:19, 23:17, 33:14, 15:18**
**ხორვატია:** პოპოვიჩი (14), მარკოტა (13)
**პორტუგალია:** გომესი (17), კუნია (13)

ლატვია განაგრძობს კერკეტ კაკლობას, მაგრამ ესპანეთთან გინდაც კიმბერლის ალმასი იყავი, შუაზე გახლეჩვა არ აგცდება. ბალტიისპირელებმა მასპინძლებთან მატჩში დაამტკიცეს, რომ პირველ ტურში ხორვატია შემთხვევით არ დაუმარცხებიათ. ლატვიელებმა თავიდან დიდი ბრძოლა გაუმართეს მასპინძლებს და ცოტა რომ გამართლებოდათ, პირველ ტაიმსაც მოუგებდნენ.

როცა მეორე მეოთხედის დასრულებამდე 12 წამი რჩებოდა, ბალტიელმა სანდის ვალტერსმა სამქულიანი გააცუდა, არადა, რომ ჩაეგდო, 36:38 ჩამორჩენილი ლატვიელები გალიდერდებოდნენ. ასე კი ესპანელმა ხოსე კალდერონმა ისარგებლა და საპასუხო შეტევაში სამქულიანი თავად მოინადირა, რამაც მასპინძლებს პირველი ტაიმი 5 ქულით მოაგებინა.

„ჩვენ ვუყურეთ ესპანელების პორტუგალიისთან თამაშს და ის დასკვნა გამოვიტანეთ, რომ ფარი უნდა გაგვემაგრებინა. ამიტომაც იყო, პირველ ტაიმში რომ კარგად ვითამაშეთ. ხოსე კალდერონს სივრცე შევუზღუდეთ, რომელიც ვერ ეხმარებოდა ესპანელთა ლიდერ პაუ გასოლს" — თქვა ლატვიელთა დამრიგებელმა კარლის მუიზნიეკსმა.

ლატვია მესამე მეოთხედის შუაწელამდე უძალიანდებოდა მრისხანე ესპანელებს — ანდრის ბიედრინსის სროლის შემდეგ მხოლოდ ექვს ქულას აგებდა. არადა, საცაა, გადამწყვეტი მეოთხედი უნდა დაწყებულიყო. და აი, აქ გატყდნენ ლატვიელები. რუდი ფერნანდესმა სამიზნე შორიდან გამართა, პაუ გასოლი კი ფარქვეშ გამაგრდა და მესამე მეოთხედის დარჩენილ წუთებში ესპანელებმა 15-ქულიანი ლიდერობა დაიბევეს.

„ლატვიელები კარგი მეპასეები არიან. ამის გამო მათ პრობლემები შეუქმნეს ჩვენს დაცვას და ქულებსაც უხვად იხვეჭდნენ. მაგრამ ჩვენ მთავარი კოზირი ავამოქმედეთ: სისწრაფის, რიტმისა და დისციპლინის ხარჯზე ბოლოს იოლად მოვდრიკეთ უტეხი მეტოქე" — განაცხადა ესპანელთა დამრიგებელმა პეპუ ერნანდესმა.



AFP

მეორე მატჩში კი წინა ტურში წაგებულები ხვდებოდნენ. აუტსაიდერმა პორტუგალიამ ხორვატიას თავიდან ბრძოლა გამოუცხადა, მაგრამ, ლატვიისა არ იყოს, მასაც მხოლოდ პირველი ტაიმისთვის გასწვდა ძალები. იასმინ რეპეშას შეგირდებმა დიდი შესვენების შემდეგ ლაგამი ამოსდეს ლუზიტანიელებს და საბოლოოდ დამაჯერებლადაც იმარჯვეს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 2 | 2 | 0 | 175:133 | 4 |
| ხორვატია | 2 | 1 | 1 | 167:153 | 3 |
| ლატვია | 2 | 1 | 1 | 162:170 | 3 |
| პორტუგალია | 2 | 0 | 2 | 124:172 | 2 |

**C ჯგუფი**

**სლოვენია 70:52 პოლონეთი**
**13:19 21:7 12:7 24:19**
**სლოვენია:** ლორბეკი (16), ლაკოვიჩი (15)
**პოლონეთი:** ბლუტა (12), ვიტკა (9)

**საფრანგეთი 69:62 იტალია**
**17:20 14:16 20:11 18:15**
**საფრანგეთი:** პარკერი (36), კორკისი (11)
**იტალია:** ბარნანი (16), ბელინელი (15)

ტონი პარკერმა უყურა დირკ ნოვიცკის არქიმეჭულეობას და ალბათ თქვა, რით ვარ მაგაზე ნაკლები, ეგ თუ რეგულარული სეზონის უძვირფასესი გახდა, მე პლეი ოფის ფინალის უძვირფასესი ვარო. ჰოდა, ადგა და იტალიას 36 ქულა ჩაუსეტყვა. მოკლედ, მან დაჩრდილა ყველა და ყველაფერი.

„ეს კალათბურთია, სადაც არაფერია შეუძლებელი — თქვა ნამატჩევს ტონი პარკერმა — ყველა თამაში ერთმანეთისგან განსხვავდება და დღეს ისე წავიდა საქმე, რომ გუნდს მექულედ დავჭირდი. ხვალ შეიძლება, სხვა რამის გაკეთება უფრო მნიშვნელოვანი გამიხდეს და მეც მზად ვარ, საფრანგეთს გამოვადგე."

იტალია დაარხეინებული იყო, რადგან თითქმის მთელი თამაში იგებდა — ბევრით არა, მაგრამ 6-8 ქულა თითქმის სულ მარაგში ჰქონდა. პარკერის ქვეშქვეშა გარღვევებით ფრანგები ნელ-ნელა აქუჩებდნენ ქულებს და ბოლო მეოთხედში გადამწყვეტი შტურმი მოაწყვეს. სირენამდე 3 წუთით ადრე ანგარიში გათანაბრდა (60:60), რასაც ფრანგების 9:0 გაქცევა მოჰყვა და იტალიამ ხელები ასწია.

„კმაყოფილი ვარ, რადგან წინა მატჩისგან განსხვავებით, დღეს უკეთ ვითამაშეთ — თქვა იტალიელთა თავკაცმა კარლო რეკალკატიმ — თუმცა შედეგით, რა თქმა უნდა, ვერ ვიქნები კმაყოფილი, რადგან წავაგეთ. პირიქით, იმედგაცრუებული ვარ, ერთადერთი კაცი იყო დასაკავებელი, მაგრამ ვერაფერი მოვუხერხეთ."

ეს არის იტალიელთა მეორე წაგება, მაგრამ „სკუადრა ადურას" შეუძლია, მშვიდად იყოს, რადგან ჯგუფის ბოლო ტურში უსახურ პოლონეთს ხვდება, რომელიც სლოვენიასთან უიმედოდ დამარცხდა. ჯგუფიდან კი სამი გუნდი გადის.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 2 | 2 | 0 | 162:127 | 4 |
| ლიტვა | 2 | 2 | 0 | 181:184 | 4 |
| ჩეხეთი | 2 | 0 | 2 | 153:178 | 2 |
| თურქეთი | 2 | 0 | 2 | 118:165 | 2 |

**D ჯგუფი**

**გერმანია 79:49 თურქეთი**
**16:11 24:16 18:12 21:10**
**გერმანია:** ნოვიცკი (24), ოკულაია (13)
**თურქეთი:** თურქოღლუ (15), ათსური (7)

**ლიტვა 95:75 ჩეხეთი**
**32:15 22:16 18:24 23:20**
**ლიტვა:** კ. ლავრინოვიჩი (22), კლეიზა (14)
**ჩეხეთი:**ველში (18), ბენდა (14)

ჯგუფის ლიდერებმა გაინავარდეს — ლიტვამ ჩეხეთი გაიგემრიელა, ხოლო გერმანიამ — თურქეთი. ისე, თურქეთზე ეგებ ვინმე შეგვედაოს, რომელი აუტსაიდერი ეგ არისო, მაგრამ გერმანელებმა ოსმალოები ისე შეარცხვინეს, თავის გამოსაყოფი არ დაუტოვეს.

„ვერაფრით ავხსნი ამ საშინელ წაგებას — ნამატჩევს ხელებს ასავსავებდა თურქთა დამრიგებელი ბოგდან ტანიევიჩი — მეტოქემ ისე ითამაშა, როგორც სურდა და ჩვენ მას ხელი ვერაფერში შევუშალეთ. როცა ლიტვისა და გერმანიის დარ გუნდებს სროლათა 50 პროცენტზე მეტს ჩააგდებინებ, ხოლო თავად 30-საც ვერ ჩააგდებ, სხვას რას უნდა ელოდო. არადა, 45 დღე გვქონდა მოსამზადებლად და ტაქტიკაც სანიმუშოდ დავამუშავეთ, თუმც დაიწყო ტურნირი და ყველას ყველაფერი დაავიწყდა."

ამჯერად დირკ ნოვიცკი მარტო არ ყოფილა. ოქროსთმიანმა გენიოსმა 24 ქულა იკმარა, რაც სრულიად საკმარისი აღმოჩნდა თურქების გასანადგურებლად.

**ირაკლი ბერტაია**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სლოვენია | 2 | 2 | 0 | 139:120 | 4 |
| საფრანგეთი | 2 | 2 | 0 | 143:128 | 4 |
| იტალია | 2 | 0 | 2 | 130:138 | 2 |
| პოლონეთი | 2 | 0 | 2 | 118:144 | 2 |

## მესამე ტური. გუშინ

**A ჯგუფი**
ისრაელი 87:83 სერბეთი
რუსეთი 61:53 საბერძნეთი

**B ჯგუფი**
პორტუგალია 77:67 ლატვია
ხორვატია 85:84 ესპანეთი

**C ჯგუფი**
ლიტვა 84:80 გერმანია
ჩეხეთი 72:80 თურქეთი

**D ჯგუფი**
სლოვენია 67:66 საფრანგეთი
პოლონეთი 70:79 იტალია

US OPEN 2007 ამერიკის ღია პირველობა 2007 ჰარდი. საპრიზო 20 000 000 $

# შავდის ავი ბედისწერა

## სანამ ქმარს გაეყრება, ენინი სერენას გადაეყარა

**კაცები**

**მეოთხე წრე**

**კარლოს მოია** (17, ესპანეთი) — **ერნესტ გულბისი** (ლატვია) 7:6 6:2 6:7 6:4; **ნოვაკ ჯოკოვიჩი** (3, სერბეთი) — **ხუან მონაკო** (23, არგენტინა) 7:5 7:6 6:7 6:1; **ხუან-იგნასიო ჩელა** (20, არგენტინა) — **სტანისლას ვავრინკა** (შვეიცარია) 4:6 6:2 7:6 1:6 6:4; **დავიდ ფერერი** (15, ესპანეთი) — **რაფაელ ნადალი** (2, ესპანეთი) 6:7 6:4 7:6 6:2

**ქალები**

**მეოთხედფინალი**

**ჟუსტინ ენინი** (1, ბელგია) — **სერენა უილიამსი** (8, აშშ) 7:6 6:1





AFP ნიუ იორკიდან

წლეულს „ფლეშინ მედოუზზე“ საკულტოდ ქცეულ ვერც ერთ ჯახს — ვერც შავდა უილიამსების შიდაოჯახურ გარჩევასა და ვერც უკანასკნელ წლებში ჩოგბურთში მთავარ სანახაობად ქცეული ფედერერ-ნადალის ომის მორიგ თავს ვერ ვიხილავთ. ეს ყველაფერი გუშინ გაირკვა, როცა წლის უკანასკნელი სლემტურნირი სერენა უილიამსსა და რაფაელ ნადალს ერთდროულად დაატოვებინეს.

პირველად ეს „პატივი“ სერენას ხვდა წილად, რომელსაც ისევ ჟუსტინ ენინი მოერია. ჭინკა ბელგიელი პირდაპირ კოშმარად ექცა უმცროს შავდას — ბენელუქსელი ზედიზედ მესამე სლემტურნირია, მეოთხედფინალურ ეტაპზე ამარცხებს სერენას და ტიტულისკენ გზას ულობავს. არადა, ავსტრალიაში, სადაც ენინი პირადი პრობლემების გამო (ქმარს ეყრებოდა) ვერ ჩავიდა, მისი გამჩერებელი არავინ აღმოჩნდა, იქიდან მოყოლებული კი ბელგიელი ავი ბედისწერასავით დასდევს სერენას — არც „როლან გაროსზე“ გაახარა, არც უიმბლდონზე და აგერ გუშინაც ხელები აწევინა წაგების ნიშნად.

მატჩის წინ უმცროსი უილიამსი კი ამბობდა, კარგ ფორმაში ვარ და ენინს ნამდვილ ომს გავუმართავო, მაგრამ ბელგიელმა მაინც დაჯაბნა ამერიკელი და დაამტკიცა, რომ კომბინაციურობითა და მრავალფეროვნებით კვლავაც შესაძლებელია უკიდურესად მძლავრი, მაგრამ უფანტაზიო ჩოგბურთის დაჯაბნა.

ენინმა უკეთ დაიწყო და პირველივე გეიმში ბრეიკის გაკეთებით დაწინაურდა კიდეც. ეს უპირატესობა ბელგიელმა კარგა ხანს შეინარჩუნა და სეტის მოგებასთან ახლოსაც იყო, მაგრამ სერენამ შეძლო ანგარიშის გათანაბრება და წინაც გავიდა — 6:5. ბენილუქსელის მოწოდებაზე უმცროს შავდას სეტპოინტიც ჰქონდა, მაგრამ ენინმა შეძლო მისი განეიტრალება და ტაიბრეიკიც დაიმსახურა. აქ კი ჟუსტინი გაცილებით კონცენტრირებული იყო, რამაც ჭინკა ბელგიელს ეს საჩოგბურთო ლატარია მოაგებინა.

მეორე პარტიაში ენინს პრობლემა საერთოდ აღარ შექმნია — საკუთარ მოწოდებაზე ახლოსაც არ გაიკარა ამერიკელი, თვითონ კი ორი ბრეიკი მიითვალა და სერენა გადაჭედილი თანამემამულეების თვალწინ ბეჭებზე გააკრა.

„ვიცოდი, რომ სერენასთან ყველა ქულა მნიშვნელოვანი იქნებოდა. მაგრამ როცა პირველი სეტის მოგებასთან ახლოს ვიყავი, ავნერვიულდი და უპირატესობა გავანიავე. თუმც რაც ტაიბრეიკზე და მეორე სეტში ვითამაშე, მხოლოდ ერთი სიტყვით უნდა აღიწეროს — იდეალური“ — ხარობდა ნამატჩევს ენინი.

ნირწამხდარმა სერენამ კი მხოლოდ ეს ჩაიბურტყუნა — „ახლა როგორმე ენინის დამარცხება უნდა ვისწავლო. სხვა არავისთან მიჭირს.“

ნახევარფინალში ენინი ან კიდევ ერთ უილიამსს, ამჯერად უფროს შავდა ვენუსს, ანაც ელენა იანკოვიჩს შეხვდება. ვენუსთან ურთიერთშეხვედრებში ჭინკა ბელგიელი 1:7-ს აგებს, სერბს კი 7:0-ს უგებს — ჰოდა, თავად განსაჯეთ, ვისთან შეხვედრა სწადია. თუმც თავად ჟუსტინი ამბობს, ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, ვის დავეტაკებიო — „ახლა ჩემთვის ყველა მატჩი ფინალია. სადღაც კარგიც იქნება ვენუსს თუ დავეჯახები — საინტერესოა, მეორე დასთან რას ვიზავ.“

ქალებს ახლა თავი მივანებოთ და ნადალის მარცხის ამბავს მივუბრუნდეთ, რომელიც თანამემამულე დავიდ ფერერმა შეიწირა. მალიორკელი ჰარდზე ისევ ვერაფერს ახერხებს — „გრუნტის მეფედ“ შერაცხულმა ესპანელმა ვარსკვლავბიჭუნამ ბალახს უფრო აული ალღო და აკი უკანასკნელი ორი უიმბლდონის ფინალშიც იჩოგნავა, მაგრამ მაგარსაფარიან სლემტურნირებზე მისთვის ნახევარფინალიც კი სანატრელად ქცეულა, ახლა კი მეოთხედფინალსაც ვერ უწია.



რაფაელ ნადალს ხელი მოეცარა

AFP ნიუ იორკიდან

მოდით, ფერერსაც ნუ დავუკარგავთ დიდებულ გამოსვლას — ამ ესპანელმა ალბათ კარიერის საუკეთესო თამაში აჩვენა და ნადალს მშვენიერ სტილში გაუსწორდა. ფერერმა სწორი ტაქტიკა აირჩია და შემტევი ჩოგბურთი ითამაშა, რაც ნადალისთვის სიურპრიზად იქცა. „ფლეშინგ მედოუზის“ მაგვარი სწრაფი კორტები კი შემტევი სტილით მოთამაშეებს უფრო სწყალობენ ხოლმე და ახლაც ასე იყო — ფერერი უფრო აქტიური იყო და თამაშსაც ის უფრო ხშირად ამწვავებდა, რამაც შედეგი გამოიღო კიდეც.

თუმც მატჩის მოულოდნელობად მალიორკელის წაგება კი არა, გასავათებული და თავჩაქინდრული ნადალის ხილვა იქცა — ადამიანისა, რომელსაც მუდმივად ბოლომდე ბრძოლის, არანორმალური ფიზიკური მომზადებისა და დაუღლელობის გამო „რკინის კაცი“ შეარქვეს ზედმეტსახელად. ეს ამბავი მეოთხე სეტის მიწურულისკენ მოხდა, როცა ფერერის მორიგი კომბინაციის შემდეგ რაფა მუხლებზე დავარდა და ძლივსღა წამოდგა. ტელეოპერატორებმა მაშინვე ნადალის მტკივი ადგილი აჩვენეს და მათი განწირული სახეების დანახვამ საბოლოოდ დაგვარწმუნა იმაში, რომ რაფა ამ მატჩის გადამრჩენი აღარ იყო.

ნადალს ტრავმა რომ აწუხებდა, ახალი ამბავი სულაც არ გახლდათ — მან მუხლი ტურნირამდე რამდენიმე დღით ადრე დაიზიანა და წინა მატჩებშიც ეტყობოდა, რომ რიგზე ვერ იყო. თუმც ბოლო დღეებში თითქოს მწყობრში ჩადგა და ისევ ძველებურად დაუღლელად გამოიყურებოდა... მაგრამ არა, ნადალი ტრავმამ მაინც დაალალატა.

თავად მალიორკელს ამაზესაუბარი არ სურდა — „ჩემს სხეულზე საუბარი არ მსურს — მოკლედ მოჭრა ნადალმა — ფერერმა ძალიან კარგად ითამაშა, დამსახურებულად მოიგო და ვულოცავ კიდეც მეოთხედფინალში გასვლას.“

ნადალისგან განსხვავებით, მეოთხედფინალში გზა გაიკაფა ბადის ქვედა ნახევრის მეორე ფავორიტმა ნოვაკ ჯოკოვიჩმა. ზუსტადაც რომ გაიკაფა, რადგანაც ხუან მონაკომ არაფერი დაუთმო სერბს და თითქმის ოთხი სეტი თანაბრად ეომა. ბალკანელმა უკვე მეორე ასეთი ბატალია გამოიარა წლევანდელ აშშ-ს ღია პირველობაზე — რადეკ შტეპანეკთან მისი ხუთსაათიანი ჯახი ხომ გახსოვთ და აგერ არგენტინელს საათით ნაკლები დაახარჯა.

20 წლის სერბმა პირველი ორი სეტი უფრო მაღალი კლასისა და ნაწილობრივ გამართლების ხარჯზე მოიგო. თანაბარი ბრძოლა იყო მეოთხეშიც, სადაც უკვე არგენტინელმა იხეირა, მიუხედავად იმისა, რომ ტაიბრეიკზე ერთი ქულა უაზროდ დაკარგა, რადგან ერთ-ერთი გათამაშების დროს ჯიბიდან სათადარიგო ბურთი ამოუვარდა. პატაგონიელი პირდაპირ გაცოფდა და მაყურებელს რამდენიმე ცხელ-ცხელი ესპანური გინებაც „გააცნო“, მაგრამ ამან მონაკო ემოციურად დამუხტა და ეს ტაიბრეიკი მოიგო კიდეც. თუმც ჯოკოვიჩმა საქმის მეტი გაწელვა აღარ ინდომა და მეოთხე სეტში უკვე იოლად იხეირა.

„არ ველოდი მონაკოსგან ასეთ თავგამოდებას — მას გრუნტის მოთამაშედ უფრო ვიცნობდი. დღეს ყოველი ქულისთვის ბრძოლა მიწევდა. საკუთარი გამოსვლით უკმაყოფილო ვარ, რადგანაც ჩემს დონეზე მხოლოდ ზოგიერთ მომენტში ვითამაშე“ — თვითკრიტიკული იყო ჯოკოვიჩი.

მეოთხედფინალში ჯოკოვიჩი 31 წლის ვეტერან კარლოს მოიას შეხვდება. პირინეელმა გუშინ ტურნირის ერთ-ერთ მოულოდნელობად ქცეული ლატვიელი თინეიჯერი ერნესტ გულბისი დაჩაგრა.

ფერერის შემდეგი მეტოქე კი ხუან-იგნასიო ჩელა იქნება — არგენტინელი მხოლოდ ხუთ სეტში გაუმკლავდა სტანისლას ვავრინკას.

**კახა ლომჯურ ლომჯ**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო ხვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოღებაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზეიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი
სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge